

საბჭოთა ხელოვნება



11

1959

Библиотека
Г И М А



საბჭოთა ხელოვნება

საპარტვილო სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო



11

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საპარტვილო“

თ ბ ი ლ ი ს ი

1959



ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ჟურნალისტებთან ბეჭდვითი სიტყვის ნაციონალურ კლუბში ვაშინგტონში
 Встреча Н. С. Хрущева с журналистами в Национальном клубе печати, в Вашингтоне

გენერალური ასამბლეის დიდი დღე. ნ. ს. ხრუშჩოვი მიემართება
 სხდომათა დარბაზისაკენ

Большой день в Генеральной Ассамблее. Н. С. Хрущев
 направляется в зал заседания

რედაქტორი — ოთარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი,
 გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავაძე-
 რიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე,
 დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე (პ. მგ. მღვანე).





ფილმი როდის აღიზაანს მთავარ კაცობრივას

ФИЛЬМ, КОТОРЫЙ ВОЛНУЕТ ВСЕ
ЧЕЛОВЕЧЕСТВО

ფარადი დოკუმენტური ფილმი
„ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“



მერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს მთელი მოწინავე კაცობრიობა აფასებს, როგორც უმნიშვნელოვანეს მოვლენას მსოფლიო ისტორიაში. მშვიდობის და მეგობრობის ამ დიადმა მისიამ ასობით მილიონ ადამიანთა გულში აღძრა მხურვალე იმედი და რწმენა იმისა, რომ შენეიდლება საერთაშორისო დაძაბულობა, რომ ვალდებუა ცივი ომის ყინული, რომ დაძვეიდრდება მშვიდობა და თანამშრომლობა მსოფლიოს ხალხებს შორის. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები, რომლებმაც კიდევ უფრო აამაღლებ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პრესტიჟი, წარმოადგენს უდიდეს წვლილს მშვიდობის განმტკიცების საქმეში და მთელი

დელამიწის მშრომელი მასების მხრივ უდიდეს მადლიერებას იმსახურებს.

ჯერ კიდევ ცხოვლად არის ჩვენს მესხიერებაში აღბეჭდილი სექტემბრის დაუფიწყარი დღეები, როცა ყოველი ჩვენანი დაძაბული ყურადღებით და შეუნდებელი ინტერესით კითხულობდა ამერიკის შეერთებულ შტატებიდან მოსულ ცნობებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოგზაურობის ყოველი ეტაპის, ამერიკის ხალხთან, აშშ-ის ოფიციალურ წარმომადგენლებთან და საზოგადოებრიობასთან ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრის და გენერალურ ასამბლეაში მისი გამოსვლის შესახებ. ამ ისტორიული მოგზაურობის ბევრი ეპიზოდიაგანი, რომელთაც გავხე-თებში და რადიოთი გეცნობოდით, რომელთაც ჩვენ გონების თვალთი წარმოვიდგენდით, საბჭოთა კინოოპერატორების მიერ აღბეჭდილ იქნა ფირზე. უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების და უცხოეთის ეკრანებზე მიდის დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის მიერ გამოშვებული სრულმეტრაჟიანი ფარადი ფილმი ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში, რომელიც დიდი ოსტატობით არის გადაღებული ამ სტუდიის კინოოპერატორების ვასილი და სერგეი კისლეოვების, ვლადიმერ ტროშკინის, ხმის ოპერატორის ვიტალი ნესტროვის მიერ, ირინა სეტიკინას რეჟისორობით.

ადვენებს რა თვალყურს ეკრანზე მიმდინარე ამბებს, მაყურებელი თითქოს თვითონ მოგზაურობს ამერიკაში საბჭოთა მთავრობის მეთაურთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად.

ფილმი იწყება კადრებით, რომლებზედაც აღბეჭდილია 1959 წლის 15 სექტემბრის დღია, როცა საბჭოთა დელეატალის მშრომელთა წარმომადგენლებმა პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებმა ვენუკოვოს აეროდრომზე გააცილეს ამერიკაში მიმავალი ნ. ს. ხრუშჩოვი. მალე კინოკადრებს მაყურებელი გადაჰყავს კამინგტონის ახლო მდებარე სამხედრო-საჰაერო ბაზა ენრიუსში; მიწაზე ეშვება გიგანტი ლაინერი „ტუ-114“ მისზე მყოფი ნ. ს. ხრუშჩოვით და მისი თანამგზავრებით. საბჭოთა მთავრობის მეთაურის გულთბილად ეგვებთან აშშ-ის პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი და სხვა ოფიციალური პირები, და აი ჩვენს თვალწინ ავტომანქანათა მოელი ქარავანი მიემარება აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონისაკენ; ათასობით ამერიკელი გულთბილად გრძნობით მიესალმებიან უმადლეს საბჭოთა სტუმარს. შემდეგ კინოსურათი გვიჩვენებს ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრას და ეიზენჰაუერთან თერთ სახლში. ამას მოსდევს საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლა ბეჭდვითი სიტყვის ნაციონალურ კლუბში, მისვლა აბრამ ლინკოლის მაგზოლუმში და ა. შ.

ნ. ს. ხრუშჩოვის და მის თანამგზავრებს გვხვდათ ნიუ-იორკში; ეკრანზე გავრთიანებული ერების გენერალური ასამბლეის დარბაზია, ტრუმენუნაქა ნ. ს. ხრუშჩოვი — კითხულობს საბჭოთა მთავრობის დელარაციას სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ.

როგორც ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დაწყების წინ, ისე მისი დასრულების შემდეგ დარბაზი ზანზარებს მტუხარ ტანისცემისაკენ.

საბჭოთა მთავრობის მეთაური და მისი თანმხლები პირები იწყებენ მოგზაურობას აშშ-ის ქალაქებში. გულ-



თილად ეგებებიან მათ ლოსანჯელოსის მცხოვრებნი, ამერიკელი კინომოღვაწენი პოლიედლი; მასურებელი ხედვას სანფრანცისკოს ქუჩებზე გამოფენილ ათი ათასობით მოქალაქეებს, რომლებიც მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა სტუმარს. ასეთივე გულითადობითაა აღბეჭდილი ნ. ს. ხრუშოვიან შეხვედრა დე-მოინსა და პიტსბურგში.

კინოადარებს კვლავ ვაშინგტონში გადაყვართ. სსრკ მიწისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და აშშ-ის პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი შეველმფერნით მიემართებიან კემპ დევიდში, სადაც უნდა შესდგეს ორი დღის სახელმწიფო მეთურთა მოლაპარაკება. ლაინერი „ტუ-114“ ისევ ცის სივრცეშია, მოგზინავს უკან სამშობლოსაკენ. სურათი თავიდა კადრებს, რომლებიც ალაღვენს იმ მხურვალე შეხვედრას, რომელიც საბჭოთა დედაქალაქის მშრომლებმა მოუწყვეს ამერიკიდან დაბრუნებულ ნ. ს. ხრუშოვს.

ფილმში არის მრავალი მკაფიო კადრი, რომელიც გვიჩვენებს ნ. ს. ხრუშოვის დაუცხრომელ მოღვაწეობას აშშ-ში მისი სტუმრად ყოფნის დღეებში. განსაკუთრებით აღსანიშნავი და დასაფასებელია ის, რომ საბჭოთა კინოოპერატორებმა შესძლეს ფირზე აღებუდეთ უბრალო ამერიკელთა უადრესად გულთბილი დამოკიდებულება ნ. ს. ხრუშოვისადმი, ამერიკელი ხალხის მისწრაფება დამყარდეს მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა ხალხთან.

ქებას იმსახურებს ფილმის სადიქტორო ტექსტი, რომელიც საბჭოთა მწერალს ნ. გრიბაჩოვს ეკუთვნის. გამომსახველი, ლაკონური და გონებამახვილი სიტყვებით მწერალი განმარტავს და კომენტარს უკეთებს ფილმში ნაჩვენებ ისტორიულ ამბებს. ნ. გრიბაჩოვმა, როგორც ამ იშვიათი მოვლათობის მონაწილემ, შესძლო ჩინებულად გადმოეცა ამერიკელი მასებ-ს განწყობილება და ის ატმოსფერო, რომელიც ნ. ს. ხრუშოვის ისტორიული ვიზიტის დროს შეიქმნა აშშ-ში.


არაჩვეულებრივი ინტერესი აღძრა ამ ისტორიულმა ფილმმა საზღვარგარეთაც. მსოფლიოს ხალხები აფასებენ

მას, როგორც მკაფიო დოკუმენტს, რომელიც ცხადყოფს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის გამარჯვებას, — ეს ფილმი, — წერს გაზეთი „ნიუიეს დილიანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — დიდ მთავებქდილებას სტოვებს. მასურებელს შესაძლებლობა ეძლევა თვალყური ადევნოს ნ. ს. ხრუშოვის ვიზიტის ყველა ეტაპს, ვიზიტის, რომელსაც მილიონობით აღამიანები მიუღეს მსოფლიოში უკავშირებულ თავიანთ იმედს, რომ შენეღდება საერთაშორისო დაძაბულობა, რომ დამყარდება ურთიერთგაგება და საყოველთაო მშვიდობა. ბერლინის საზოგადოება ცხოველი ყურადღებით უყურებს ფილმს და სურათის დემონსტრირების დროს სსრკ ვაშარის თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკის თავის მოწონებას გამოხატავს აპლოდისმენტებით. როცა ნ. ს. ხრუშოვს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში შეაქვს წინადადება სრული და საყოველთაო განიარაღების შეახებ და აცხადებს, რომ სახსრები, რომლებიც შეიარაღებაზე იხარჯება, უნდა მოხმარდეს სამშვიდობო მიზნებს — სკოლებს და უნივერსიტეტებს, საავადმყოფოებს და დასვენების სახლებს, ბერლინის საზოგადოება, რომელიც ავესებს კინოდარბაზებს, ამ სიტყვებს მქუხარე ტამსკვით ხვდება. ფილმის ავტორებმა, — წერს იგივე გაზეთი, — დიდი ადგილი დაუთმეს ნ. ს. ხრუშოვის შეხვედრას ამერიკელ ხალხთან. მათ გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ცივი ომის მომხრეთა ამაო კედისა გაუფუჭებით აშინდ, ამერიკელი ხალხი ყველან სიმბათით და პატივისცემით მიესალმებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს. მის მოლოდინში ამერიკელი უბრალო აღამიანებით გაიქვედა თითქმის ყველა ქუჩა და მოედანი. გვიან საღამოს ან აღადრელით ქუჩაში მდგარნი მოქალაქენი სიხარულით მიესალმებოდნენ საბჭოთა პრემიერ მიწისტრს, როცა იგი გამორიდებოდა აივანზე ან სასტუმროს ფანჯარაში. აი ერთი სცენაც, რომლის მაგვარი ფილმში ცოტა არ არის: რკინიგზის სადგურზე ნ. ს. ხრუშოვი გდმოდის მატარებლიდან და გაერყვა ხალხში, რომელიც სიხარულს და მისალმების გამოზბატველი გულითადი შეახილებით

გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა 1959 წ. 18 სექტემბერს. ტრიბუნაზეა ნ. ს. ხრუშოვი

Пленарное заседание Генеральной Ассамблеи ООН 18 сентября 1959 г. Выступает Н. С. Хрущев





პოლიედრს კინოგარსკლავები ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად გამართულ ვახშაზე. პირველ ფოტოზე — კიმ ნოვაკი, მეორეზე — მერილინ მონრო

Звезды Голливуда на обеде в честь Н. С. Хрущева. На первом снимке — Ким Новак, на втором — Мерилин Монро

ხვდება და გარს ტრეკმის მას, როგორც დიდიხნის ნანატრ მეგობარს. კინოაპარატის ოპიეტტივით დაჭერილ ყველა ასეთ მომენტს ცხოველი გამოახილთ ეგუება მაყურებელი.

პირველ ოთხ დღეს სოფიამი (ბულგარეთი) ეს ფილმი ნახა 80-ათასმა მაყურებელმა. — წერს ბულგარული გაზეთი „კომპერტივინო სელო“. — ეს სარეკორდო ციფრია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არ დარჩება არც ერთი ბულგარელი მოქალაქე, რომელმაც ეს ისტორიული ფილმი არ ნახოს. — ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ აშშ-ში, — წერს მეორე ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, ლახვარი ჩანს ციფრისა და სათავე დაულო გამოდარებას საერთაშორისო ურთიერთობაში, სინაჩულით და მტიკე მშვიდობის იმედით გამაჰკვალა პილონების გული მთელ მსოფლიოში. აწელია მოიძებნოს მეორე დოკუმენტური ფილმი, რომელსაც გამოეწევის ისეთი დიდი ინტერესი, რაც აღძრა საბჭოთა კინოშუშაკების ამ ახალმა ნაწარმოებმა. ძალა და მიმზიდველობა ამ ფილმისა, უწინარეს ყოვლისა, იმაშია, რომ იგი ხდის მაყურებელს იმ მოვლენის უშუალო მონაწილედ, რომელმაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა და სათავე დაულო საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას, მოლაპარაკების გზით საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას.

— ეკრანზე ჩვენ ვნახეთ ათი ლასობით ამერიკელნი, — აღიზნავს ჰესამე ბულგარული გაზეთი „ნაროდნი კულტურა“, — რომელთაც გაიგეს და დაიჯერეს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების მშვიდლიანი თანაარსებობის იდეა, გაიგეს და დაიჯერეს, რომ ეს შესაძლებელი და აუცილებელია. ბულგარული პრესა და მაყურებლები განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევენ კადრებს, რომლებიც აღგებენ საბჭოთა პრეზიდენტის პირად თვისებებს — ენერგიას და ოპტიმიზმს, მგზნებარებას, რომლითაც იგი იცავს მშვიდობის საქმეს.

თითქმის ორ კვირასზე მეტს ხანს მიდიოდა ფილმი „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკის უდიდეს კინოთეატრ „კაპიტოლში“. ფინურმა ჟურნალ-გაზეთებმა გამოაქვეყნეს აღფრთოვანებული რეცენზიები. გაზეთი „კასან უუტისეტი“ წერს, რომ ეს არის ყველაზე საინტერესო იმ 14 ფილმიდან, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მიდიოდა ჰელსინკის კინოთეატრებში. მეორე ფინური გაზეთი „სუომენ სოხიალი დემოკრატი“ ჩამოთვლის რა ფილმის ღირსებებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაყურებლებს საშუალება ეძლევათ მოუსმინონ ნ. ს. ხრუშჩოვის და დ. ეიზენშტაუერის ნამდვილ სიტყვებს. ეს დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. გაზეთი დასაკვისს, რომ თუმცა ოპერატორებმა, რა თქმა უნდა, ვერ აღებულენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა მთელი მისი მრავალფეროვნებით, მათ მაინც შესძლეს ჩინებულად გადმოეცათ გრძნობები ამერიკელებისა, რომლებიც მეგობრულად ხვდებოდნენ საბჭოთა პრეზიდენტს.

მეტად საინტერესო და საკულისმოთა ის აზრები, რომელთაც ამ ფილმის შესახებ გამოთქვები სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კულტურის მოღვაწეებმა.

ბულაქმტის მთავარმა არქიტექტორმა იმრე ბერენიმ განაცხადა: — მე შედივარბა მეორდა მენახა საბჭოთა დოკუმენტური ფილმი „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“. ეს მე ბედოიერებად მიმაჩნია იმიტომ, რომ მე შეზამეკვა მოცეა თანასათლიე მეხლა ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ყველანი მძელვარებოთ ვითხოვობდით გაზეთების ფურცლებზე აშშ-ში ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ვიზიტის დღეებში.

შეუძებელია აღტაცებამ არ შევიპყროთ, როცა ფიქრობთ საბჭოთა პრეზიდენტი — მშვიდლიანი თანაარსებობის ამ შესანიშნავი პროპაგანდისტის დაუცხრომელ შრომასზე. უბრალო ამერიკელები, რომელთაც ცრუ პროპაგანდა მრავალი წლის მანძილზე განაწყოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ახლა უშუალოდ გაეცნენ დიდი საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლებს, გაიგეს სიმართლე საბჭოთა ქვეყნის შესახებ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ, მისმა შეხებდრებმა, საუბრებმა და კამათმა აშშ-ის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან დიდი სამსახური გაუწიეს მშვიდობის საქმეს.

ამ ფილმში — თქვა პოლიელმა მწერალმა ვოიციხ ჟუკოვსკიმ, ჩემის აზრით, ორი მთავარი გმირია: პრეზიდენტი-მინისტრი ხრუშჩოვი და ამერიკელი ხალხი. თუ ასე შევხვდებით ამ ფილმს, მისი პოლიტიკური იდეა ერთბაშად გასაგები და ნათელი ხდება. სურათში ნაჩვენებია პოლიტიკის კორდონები, პოლიციელთა ავტომანქანები. ამავე დროს ვხედავთ დიდი სტუმრის მისახამელად მოსულ აურაცხელ უბრალო ადამიანებს. ხალხის ზღვა ირ-

ხევა და ჰქუხს მისასალმებელი შეპახილებით, ელვარებს ნაირნაირი ფერებით, იქცევა მისასალმებლად აღმართული ხელების მთლიან ტყედ. ჩვენ ვხედავთ იმედს, ყველა უბრალო ადამიანის მისწრაფებას მშვიდობისადმი, საყოველთაო განიარაღებისადმი, თანაარსებობისადმი.

— ეს შესანიშნავი ფილმია, — აღტაცებით განაცხადებს პოლონელმა მწერლებმა ალინა და ჩესლავე ცენტკევიჩებმა. — ამხანაგ ხრუშჩოვის მისასალმებლად მოსული ადამიანების გულწრფელი ღიმილი ყველგან — ქუჩებში, ქარხნებში, ფერმებში... — ეს არის ისტორიული დოკუმენტი, ყველაზე სასუკეთესო, ყველაზე დამაჯერებელი დასტურება იმისა, რომ უბრალო ადამიანი შეუძლებლად გრძნობს სიმაართლეს. მან გაიგო, როგორი მისიით მივიდა მასთან დიდი ხალხის წარმომადგენელი, მან იცის, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ბოლო მივლის უაზრო ციგ ომს.

პოლონელი მწერლის იანინა პრეკეს აზრით, — ეს ფილმი ფართო ეპიკური ტილოა, რომელიც ასახავს ორი სამყაროს ურთიერთშეცნობის მომენტს. ფილმი აღვიძებს

ნათელ აზრებს, ნერვებს ხვალისდელი დღის რწმენას, აღძრავს სურვილს ვიფიქროთ მომავალზე და ვიბრძოლოთ ნათელი მერმისისათვის.

ფენიანში ფილმის გასინჯვის შემდეგ, კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ პაკ ენ სონმა ჟურნალისტებს გაუზიარა თავისი აზრი: — ფილმი უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს არის ჩვენი ეპოქის შესანიშნავი დოკუმენტი. ყოველი მაყურებელი, ვინც ამ სურათს ნახავს, კიდევ უფრო ნათლად გაიგებს იმ დიდ წვლილს, რომელიც მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეიტანა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავისი ვიზიტით აშშ-ში. ჩვენ ვხედავთ, რა კოლოსალური ნერვით მუშაობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რა შედგრად იცავდა იგი მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს. ფილმიდან სჩანს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა პირდაპირ დაიპყრო უბრალო ამერიკელის გული. ფილმის ყოველი კადრი გვარწმუნებს, რომ მშვიდობის და სოციალიზმის ძალები იზიებმენ თავის გამარჯვებას ომისა და ბნელეთის ძალებზე.

ვ. წულუკიძე

ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი მეუღლე პოლონელის მსახიობთა შორის
Н. С. Хрущев с супругой среди артистов Голливуда



ქ ყვ ზი სუყუას რო მჭერობას უქოროს

ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა თბილისში, საქართველოს ქალაქებსა და სასოფლო რაიონების ცენტრებში დემონსტრაცია შესანიშნავი კინოფილმისა „ნ. ს. ბრუშჩოვი ამერიკაში“. როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ, ჩვენს რესპუბლიკაშიც ამ ფილმის დემონსტრაცია იყო საბჭოთა დოკუმენტური ფილმის ნამდვილი ტრიუმფი. ერთი თვის მანძილზე კინოთეატრები როგორც დღის, ისე საღამოს სენსიზზე, გაკედილი იყო მაყურებლებით. ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ისტორიას არ ახსოვს, რომ ოდესმე დოკუმენტური ფილმი ასე დაინტერესებული ყოფილიყო მისახლეობის უარყოფენები. ფილმში აღბეჭდილმა სიმართლემ, ფილმის დიდმა იდეურ-პოლიტიკურმა მიზანდასახულობამ და მაღალმა მხატვრულმა ღირსებამ განაპირობა მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა. ქვემოთ ჩვენ ვაჩვენებთ საქართველოს ხელოვნების ზოგიერთი მოღვაწის გამომხიზლს და თბილისში ჩამოსული უცხოელი სტუმრების აზრს ამ ისტორიული ფილმის მნიშვნელობის შესახებ.

ლინი ვამეცნაბითი და „სეთატიკური ღირებულების კინოლოკუმიანიტი

КИНОДОКУМЕНТ БОЛЬШОЙ ПОЗНАВАТЕЛЬНОЙ И ЭСТЕТИЧЕСКОЙ ЦЕННОСТИ



აბჭოთა დოკუმენტურმა კინემატოგრაფიამ ბრწყინვალე შემოქმედებებით წარმატება მოიპოვა. დღემდე მას არ შეუქმნია, საერთოდ დოკუმენტური კანრის ხელოვნებას არ მოუცია ესოდენ შთამბეჭდავი და ამაღლებული ნაწარმოები. ფილმი „ნ. ს. ბრუშჩოვის ვიზიტი შვედეთებულ შტა-

ტებში“ ქეშმარიტად მხატვრული ქმნილებაა, რომელსაც აქვს არა მარტო ღრმა შემეცნებითი მნიშვნელობა, ასევე დიდი ემოციური ზემოქმედების ძალაც და ესთეტიკური ღირებულებაც, რამდენადაც იგი წარმოშულს სულიერ კმაყოფილებას გერის მაყურებელთა უფართოეს ფენებს.

რასაკვირველია, ამ ფილმის დიდი წარმატება ჩვენს ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში, პირველ ყოვლისა, გაპირობებულია თვით იმ მოვლენის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობით, რომელსაც ეს ნაწარმოები ასახავს. მე იტალიაში ვიმყოფებოდი, როდესაც პრესაში გამოქვეყნდა პირველი ცნობა საბჭოთა მთავრობის მეთაურისა და ამერიკის პრეზიდენტის შეთანხმების შესახებ ურთიერთ ვიზიტის საკითხზე, და ჩემი თვალით ვნახე, უშუალოდ განვიცადე, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ცნობას დასავლეთის სამყაროს საზოგადოებრივი აზრი, როგორი კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა უკვე ამ პირველმა ცნობამ სა-


ერთაშორისო პოლიტიკურ კლიმატზე, როგორი იმედი და რწმენა შეაბერა ამ ცნობამ სრულიად სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური რწმენის ადამიანებს.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ახლა დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს მმართველი წრეებისა და სამხედრო მრეწველობის ზრდით პირადად დაინტერესებულ ავანტიურისტ-ბიზნესმენთა გარდა, მსოფლიოში აღარავის სჯერა, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს მოწინააღმდეგე წყობილებათა და იდეოლოგიათა კონფლიქტის გადაწყვეტა იარღის საშუალებით, სისხლიანძვრული შეჯახებების გზით. ამიტომ მშვიდობიანი თანაარსებობის საბჭოთა იდეოლოგია ამჟამად უდიდესი პოპულარობით სარგებლობს დედამიწის ყოველ კუთხეში და საცარიე სისწრავეთ ეუფლება ყოველი სოციალური მდგომარეობის ადამიანთა უფართოეს მასეს. ამიტომ აღფრთოვანა მთელი კაცობრიობა იმ დიდმა წარმატებამ, რომლითაც დამთავრდა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მშვიდობის მისიით მოგზაურობა უდიდეს და უშლიერეს კაპიტალისტურ სახელმწიფოში — ამერიკის შვედეთებულ შტატებში.

შეუძლებელია კეთილშობილური მღელვარების გარეშე უტკიროთ ფილმს, რომელიც ცხოლად, მეტყველოდა, შთამბეჭდავდა მოკითხარების შესახებ, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო ყველაზე მძლავრ კაპიტალისტური ქვეყნის მოსახლეობაში, მისი საზოგადოებრიობის ყველა ფენაში, როგორი პატივისცემით და ყურადღებით ეგებებიან ჩვენი ქვეყნის მეთაურის ყოველ გამოსვლას ისინიც კი, რომლებიც გუშინ თუ გაუშინწინ გააფრთხებით აღვივებდნენ „ვიცი ომის“ უკუნურ პოლიტიკას.

საბჭოთა ნაციონალური სიამაყის კანონიერი გრძნობით აღავსებს ჩვენს გულს ამ ფილმის ყოველი კადრი, რომელშიც მკაფიოდ არის გამოხატული ჩვენი სამშობლოს ძლიერება, ჩვენი იდეების სიმართლე და ყოვლისდამძლველი ცხოველმყოფელობა.

ყველაფერი ის, რასაც ეკრანზე ვხედავთ, ჩვენ უკვე ვიცოდით გაუთუბიდან, მაგრამ სულ სხვა მიზნიდევ-



ლომა და შთამავგონებელი ძალა აქვს თვალთი ნახულს, პლასტიკურად გამოხატულს, მხატვრულად წარმოსახულ სინამდვილეს.

და სწორედ ამ მხატვრულობაშია ამ ფილმის ღირსება და მნიშვნელობა. ყველაფერში მოჩანს მისი ავტორების მხატვრული თვალის და პროფესიულად ნაწრთობი ხელი. ფილმი გამსჭვალულია ნამდვილი პოეზიით.

БЕСО ЖЕНТИН

БЕСО ЖЕНТИН

Секретарь Союза писателей Грузии

იწყება ახალი ეტაპი

**საერთაშორისო
ურთიერთობაში**

**НАЧИНАЕТСЯ НОВЫЙ
ЭТАП
В МЕЖДУНАРОДНЫХ
ОТНОШЕНИЯХ**



ფ-ებში ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის ამსახველმა ფილმმა მთელს მსოფლიოს დაანახა, რომ თანაარსებობა ამერიკელებთან შესაძლებელია, რადგან იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა დიდი სიხარულით ეგებებოდნენ უბრალო ამერიკელები ნ. ს. ხრუშჩოვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტი პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან უკანასკნელი დროის მთავარი და დიდი მოვლენა იყო.

ეს ვიზიტი გამოხატავს მთელი მსოფლიოს ხალხების სურვილს დაიწყოს დიალოგი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, და ადასტურებს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის პოლიტიკის სისწორეს და სამართლიანობას.

ამ ვიზიტით, ამ პოლიტიკით იწყება ახალი ეპოქა კაცობრიობის ცხოვრებაში, საერთაშორისო ურთიერთობაში, ამიტომაც ჩვენ — ბერძნები მივესალმებით ღონისძიებებს, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვის თაოსნობით ტარდება.

რაც შეეხება ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ, იგი მშვიდობის მისაღწევად წარმოებული პოლიტიკის ყველაზე რეალური საშუალებაა. ეს წინადადება ცივი ომის მომხრეებს უსიბუხეს შესაძლებლობას ამტკიცონ, თითქოს სსრ კავშირის პოლიტიკა გულწრფელი არ იყოს.

სტავროს ილიოპულოსი

ადვოკატი, საბერძნეთის პარლამენტის
დებუტატი.

Ставрос Илиопулос

СТАВРОС ИЛИОПУЛОС

Адвокат, депутат Греческого
парламента


**ყველაზე მნიშვნელოვანი
მოვლენა ომის შემდეგ**

**САМОЕ ЗНАЧИТЕЛЬНОЕ
СОБЫТИЕ ПОСЛЕ ВОЙНЫ**



ე ნახე დოკუმენტური ფილმი „ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ამერიკაში“. ის შეხვედრა, რომელიც ხრუშჩოვის მოუწვევს, ის მიღება, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურს გაუმართეს, ამერიკელთა გრძობებს გამოხატავს.

პირადად ჩვენ ნ. ს. ხრუშჩოვის ე-



ზიტი ამერიკაში ვაფასებთ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ომის დამთავრების შემდეგ, რადგან იგი (ვიზიტი) მოასწავებს შემორუხნებას ხალხთა საერთაშორისო ურთიერთობაში.

ამ ვიზიტს მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რომ იგი განხორციელდა უმაღლეს კონსონანს დაპყრობის შემდეგ. ეს იყო სსრ კავშირის გულწრფელობის მკაფიო დადასტურება.

როგორც ბერძენი, მე მივესალმები დაძაბული ვითარების შენელების დასაწყისს, რაც უთუოდ კეთილდღეობას მოუტანს კაცობრიობას.

ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

რამდნად ეს წინადადება გაკეთებულია ძლიერი პოზიციიდან, მით უფრო აშკარა ხდება საბჭოთა კავშირის გულწრფელობა, ეს არის სსრ კავშირის მთავრობის გულწრფელობის ახალი დადასტურება.

ემანუილ ზანისი

ექიმი-ფსიქიატრი, საბერძნეთის პარლამენტის
დებუტატი.

Εμμανουήλ Ζαννής

ЭММАНУИЛ ЗАННИС

Врач-психиатр, депутат Греческого
парламента





მზვიდღობისა და
მეგობრობისაკენ
მოგზოვლებელი ფილმი

**ФИЛЬМ, ПРИЗЫВАЮЩИЙ
К МИРУ И ДРУЖБЕ**



თელი საბჭოთა ხალხი დაუხცრომელი ყურადღებით აღწევნებდა თვალყურს ამხანაფ ნ. ს. ხრუშოვის გამოსვლებს ამერიკის შერებულ შტატებში. ახლახანს კი ის გაეცნო ისეთ საყურადღებო კინოლოკუმენტს, როგორიცაა დოკუმენტური ფილმი „ნ. ს. ხრუშოვი ამერიკაში“.

არა მარტო ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებმა უდიდესი ინტერესით ნახეს ეს ფილმი, რომელშიც აღბეჭდილია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამერიკაში ყოფნის ისტორიული დღეები.

ნ. ს. ხრუშოვის ვიზიტი ამერიკის შერებულ შტატებში მივლამა მოწინავე კაცობრიობამ შეაფასა, როგორც მსოფლიო ისტორიის შესანიშნავი მოვლენა. მშვიდობისა და მეგობრობის ამ დიდამა მისიამ ასეულ მილიონობით ადამიანს გულში ჩაუნერგა საერთაშორისო დაძაბულობის შეწყველების მხურვალე იმედი, ამაღლა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ბრესტიცი. ამხ. ნ. ს. ხრუშოვის გამოსვლები მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდმნიშვნე-

ლოვანი წვლილია და მან მსოფლიოს ყველა ხალხის მაღლიერება გამოიწვია. ამ მოგზაურობის შედეგებს ერთსულოვნად იწონებს მთელი საბჭოთა ხალხი.

ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებული გრანდიოზული წარმატებები როგორც საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ისე მეცნიერებისა და კულტურული აღმშენებლობის ფრონტებზე, შემოქმედ მუშაყებს აღგაფრთოვანებს ჩვეს საქმიანობაში. ჩვენი ვაღია, ვიყოთ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენების ღირსეული ამსახველები, მხატვრულ ქმნილებებში აღბეჭდოთ ეპოქის სულისკვეთება და დიადი გზა კომუნიზმისაკენ, რომლისკენა შეუდრეკელად იღვტვის ყოველგვარი სიძნელის გადაამალაველი ვიბრი საბჭოთა ხალხი.

УЧА ДЖАПАРИДЗЕ
Народный художник ГССР



ოცა ამხ. ნიკიტა სერგის ძე ხრუშოვი ამერიკაში მოგზაურობიდან საბჭოთა კავშირში დაბრუნდა მან მსოფლიოს ყველა კოთხიდან მიიღო უამრავი წერილი, რომელშიც

**მადალი მოქალაქეობრივი
ბათოსის კინოწარმოება**

**КИНОПРОИЗВЕДЕНИЕ
С ВЫСОКИМ
ГРАЖДАНСКИМ
ПАФОСОМ**

უსაზღვრო მაღლობას უხდიდენ იმ დიდი მოღვაწეობისათვის, რომელსაც იგი მშვიდობისათვის ეწევა.

ისინი გამოსტყამდენ რწმენას, რომ საბჭოთა მთავრობისა და კერძოდ მისი მეთაურის მეცადინეობა საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის, კიდევ მეტ ნაყოფს გამოიღებს მომავალში და შესაძლებელს გახდის მშვიდობიან თანარსებობას.

ეს წერილები კიდევ ერთხელ ცხად-

პყოფენ, თუ როგორ გაეძაბა საბჭოთა მთავრობის მთლიანად მშრომელთა გულებისაკენ. ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, თვალნათლივ სურდა ეხილას ის შეხვედრები, რომლებიც მოუწვევს ამხ. ნ. ს. ხრუშოვის ამერიკაში, და რომელსაც ესოდენ დიდი წარმატებები მოჰყვა. და აი მსოფლიოს კერძანებზე გამოვიდა დოკუმენტური ფილმი „ნ. ს. ხრუშოვი ამერიკაში“, რომელსაც ენთუზიაზმით შეხვდნენ ყველგან. ეს ფილმი ცხადად, დოკუმენტური შეუვალობითა და გარკვეულობით



გადმოგვეხსნას ამ ისტორიული ვიზიტის ყოველ ძირითად მომენტს.

ნ. ს. ხრუშოვის ყოველი მოქმედება, გამოსვლა თუ სიტყვა ემსახურება მშვიდობის დიდ საქმეს — ამიტომაც ხვდებოდნენ ასეთის სიხარულით მას ამერიკის ქარხნებში და ნავთსადგურებში, სამეცნიერო დაწესებულებებში და ფერმერთა ველმინდვრებზე, სტუდენტთა აუდიტორიებში და პოლიციის სტუდენტებში. ეს შეხვედრები დიდი გულთბილობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა და როცა ამ სურათს ვუყურებთ, ყველაზე მეტად სწორედ ამ წუთებს განვიცდილი, ვინაიდან ვგრძნობთ თუ როგორ დენება „ცივი ომის“ ყინული ორ დიდ ხალხს შორის.

В. Ш. Ш. Ш. Ш.

ВАХТАНГ ЧАБУКИАНИ
Народный артист СССР



კასობრიობის ბედნიერების
მადუყაბელი ვიზიტის

**ВИЗИТ,
ПРЕДВЕЩАЮЩИЙ
СЧАСТЬЕ ЧЕЛОВЕЧЕСТВА**



ილი და სამართლიანი სიამაყის გრძობა იყურებს თვითელი საბჭოთა მოქალაქის გულსა და სულს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისა და ლენინური პარტიისადმი, როდესაც უყურებს ფილმს „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“.

ფილმი გვაძლევებს არა მარტო ჩვენ, საბჭოთა მოქალაქეებს, ის აძლევებს მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს, ვინაიდან მას მოაქვს მილიონებისათვის თანამედროვეობის დიადი იდეა — საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა, მსოფლიოს ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების იდეა. ფილმს მოაქვს მილიონებისათვის ბედნიერი მომავლის, ადამიანთა კეთილი ნების გამარჯვების რწმენა.

სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებული წარმატება, რითაც სარგებლობს ეს ფილმი მთელ მსოფლიოში.

ფილმი, როგორც მშვიდობის და მეგობრობის მოამბე, წარმატებით მიღის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კრანებზე. მსოფლიოს ხალხებს, უყურებენ რა ამ ფილმს, სჯერათ, რომ გამარჯვებას მშვიდობა მთელ

მსოფლიოში, ვინაიდან ამ საქმეს სათავეში უდგას და მისთვის დაუღალავად იბრძვის საბჭოთა კავშირი.

ნიკიტა ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვის ყოველი სიტყვა, ყოველი გამოსვლა, საბჭოთა კავშირში სხვა სახელმწიფოების მთავრობის მეთაურთა მიღებაზე, ან საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს, სწვდება ადამიანების გულებს, ვინაიდან ისინი გამოხატავენ მშვიდობისმოყვარე ხალხების ნებას და საუფილს.

ხალხი, უყურებს რა ამ ფილმს და ეცნობა ნიკიტა ხრუშჩოვის ძის ისტორიულ მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაღლობას სწირავს მას ხალხზე ზრუნვისათვის, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ზრუნვისთვის.

ა. აბულაძე

ТЕНГИЗ АБУЛАДЗЕ
Кинорежиссер

**სიამაყის აღმძვრელი
კინოფილმი**

**ФИЛЬМ, ВЫЗЫВАЮЩИЙ
ГОРДОСТЬ**



რი თვა, რაც საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა. მან დიდი წარმატებით შემოიარა „ცივი ომის“ სამყარო და იმედი ცეცხლი დანათო მილიონთა გულში. ამერიკაში გამგზავრების წინ საბჭოთა ადამიანები წერილებს სწერდნენ მშობლიური მთავრობის მეთაურს: „ამ მოგზაურობის დროს ჩვენ თქვენთან ერთად ვიქნებით!“ მართლაც ასე იყო. საბჭოთა ადამიანები ორი კვირის განმავლობაში გულმოღვინედ ადევნებდნენ თვალს გაჯეტს, რადიოსა და ტელევიზორს.

კრანებზე გამოვიდა ამ ისტორიული ფილმის შესანიშნავი დოკუმენტი — ფილმი „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“. ამ ფილმით მილიონობით მასურებელი საბჭოთა მთავრობის მე-



თურთან ერთად მოგზაურობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მასურებელი ხედავს ხრუშჩოვის ვაშინგტონში ეივნაპურთან შეხვედრის დროს, სან-ლუის-ობისპოში, სან-ფრანცისკოში ზღვა ამერიკელებს შორის. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ ასე ესალმებიან ამერიკელები ხრუშჩოვს.

ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში გადადის მასურებელი ხრუშჩოვთან ერთად.


დიდხანს არ დაევიწყებდათ საბჭოთა ადამიანებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოხველა გენერალური ასამბლეის სპეციალურ სხდომაზე. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა წამოაყენა საყოველთაო და სრული განიარაღების გეგმა, რითაც ლახვარი ჩასცა მშვიდობის მტრებს და იმედი მოჰფინა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს.

ხრუშჩოვის სიტყვამ მთელი ამერიკა შესძრა. აიოვას შტატის ქალაქ ეიშის მოსახლეობა მიდლობას უხდის ნიკიტა ხრუშჩოვის-ძეს განიარაღების გეგმის წამოყენებისათვის...

უყურებ რა ამ ერთსაათიან დოკუმენტურ ფილმს, საოცარ სიამაყეს გრძნობ, რომ სწორედ ჩვენი ქვეყანა უდგას სათავეში მშვიდობის დიდ საქმეს.

აკაკი ხორავა

АКАКИЙ ХОРАВА
Народный артист СССР



მშვიდობისათვის
მებრძოლთა
შთაავარონებალი ფილმი

**КИНОКАРТИНА
ВДОХНОВЛЯЮЩАЯ
БОРЦОВ ЗА МИР**



აბჭოთა მთავრობის მეთაუ-
რის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩო-
ვის ვიზიტს ამერიკის შეერ-
თებულ შტატებში ხალხებმა
სამართლიანად უწოდეს მშვიდობისა
და მეგობრობის დიადი მისია. მთე-
ლი საბჭოთა ხალხი სიხარულის
გრძნობით განიხილავს ამ ისტორიუ-
ლი ვიზიტის შედეგებს, ვიზიტისა,
რომელიც დაკავშირებული იყო მთე-
ლი კაცობრიობის ბედის საკითხ-
თან.

მშვიდობის განმტკიცების დიადი
ჭუმანური პროგრამა იყო ამხ. ნ. ს.
ხრუშჩოვის გამოსვლა ვაერთიანებუ-
ლი ერების ორგანიზაციის გენერა-
ლური ასამბლეის XIV სესიაზე. სა-
ყოველთაო და სრული განიარაღების
შესახებ აქ გამოტანილ საბჭოთა
პროგრამას ეთუზიანებით გამოეხე-
რნენ მშვიდობისმოყვარე ხალხე-
ბი.

მილიონობით უბრალო ამერიკელი
თვალნათლივ დარწმუნდა, რომ გულ-
წრფელია საბჭოთა ხალხის მისწრა-
ფება მშვიდობისა და ყველა ხალხთან
მეგობრობისადმი, მტკიცეა მისი ნე-
ბა — ბოლომდე იბრძოლოს „ცივი
ომის“ ლოკიდაციისათვის, მთელ

მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებ-
სათვის.

ჩვენ, საბჭოთა ხელოვნების მუშა-
კები უდიდესი მღელვარებით გაეცეცა-
ნით დოკუმენტურ ფილმს „ნ. ს.
ხრუშჩოვი ამერიკაში“, ენახეთ თუ
რამდენი ახალი მეგობარი გაევიჩინეთ
ამერიკაში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის
გულწრფელი და მკუნებარე გამოსე-
ვლების შედეგად. მსოფლიოს პროგრე-
სულ ადამიანებთან ერთად ჩვენი
ქვეყნის მშრომელები აღტაცებისა და
მადლიერების გრძნობით არიან გამს-
ქვალუნი საბჭოთა მთავრობის მეთა-
ურის მიმართ, რომელმაც ხალხთა
შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის
დაუცხრომელი მისწრაფებით ახალი
მძლავრი ძალები შემატა ომის წინა-
აღმდეგ მებრძოლთა მრავალმილიო-
ნიანი არმიის რიგებს.

ლადო გუდიაშვილი

ЛАДО ГУДИАШВИЛИ
Народный художник ГССР

**მშვიდობის საქმე
დაუძლეველია**

ДЕЛО МИРА НЕПОБЕДИМО



ვენი მთავრობის მეთაუ-
რის ნიკიტა სერგის ძე
ხრუშჩოვის ისტორიულ
ვიზიტს ამერიკის შეერ-
თებულ შტატებში დიდი აღფრთოვა-
ნებით შეხვდა მთელი მსოფლიო.
მშვიდობისმოყვარე ხალხები მღელ-
ვარებით ადევნებდნენ თვალყურს ამ
მოგზაურობის და მშვიდობისათვის ამ
დაუღალავი მებრძოლის მიმართ თა-
ვიანთ მადლობას აღტაცებით გა-
მოსთქვამდნენ პრესის ფურცლებე-
ზე.

ეს შესანიშნავი მოგზაურობა ოპე-
რატორებმა ვ. კისელითმა, ს. კისე-
ლითმა და ვ. ტროშკინმა აღბეჭდეს
კინოფირზე, რითაც საშუალება მი-
ცეს საბჭოთა და მთელი მსოფლიოს
მშრომელებს უფრო ახლოს გასცნო-
ბოდნენ ნიკიტა სერგის ძის მოგზაუ-
რობას, მისი დიდი მისიის შესრულე-
ბას ამერიკაში.

დოკუმენტური ფილმი „ნ. ს. ხრუშ-
ჩოვი ამერიკაში“ თბილისის ეკრანებ-



ზეც გამოვიდა, ქართული ხალხი
დიდი მადლიერების გრძნობით უყუ-
რებს ამ ფილმს და ანცვიფრებს ის
ენერჯია, რითაც ნიკიტა სერგის ძე
იბრძვის მშვიდობის საქმისათვის.

მაყურებელი ხრუშჩოვთან ერთად
მოგზაურობს, თანმიმდევრებით გე-
ნობა ამერიკის ქალაქებს, ამერიკელი
მუშების ცხოვრებას, ხრუშჩოვის შეხ-
ვედრებს პრეზიდენტთან, მუშებთან,
ფერმერებთან...

მსოფლიოს მილიონობით ადამიან-
ები განსაკუთრებით აღაფრთოვანა
საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამო-
სვლამ გენერალური ასამბლეის საე-
ციკლურ სხდომაზე, სადაც მან წამო-
აყენა სრული განიარაღების გეგმა.
ამით ხრუშჩოვმა გამოხატა მსოფლიო-
ს ხალხთა კეთილი ნება—მშვიდობის
შენარჩუნების სურვილი მთელს
მსოფლიოში.

ამ ფილმის ნახვისას გული სიამით
გვექსება, რომ ცხოვრობთ საბჭოთა
ქვეყანაში.

დოკუმენტური ფილმი „ნ. ს. ხრუშ-
ჩოვი ამერიკაში“ ერთ-ერთი ყველაზე
მნიშვნელოვანი ფილმია ჩვენს დოკუ-
მენტურ კინოხელოვნებაში. ეს ფილმი
დარჩება, როგორც ცოცხალი მატთანე
იმ დიდი საქმისა, რომელსაც მშვიდო-
ბის საქმე ეწოდება.

ოტარ ტაკტაჩიშვილი

ОТАР ТАКТАЧИШВИЛИ
Композитор

МЕЧТА СТАНОВИТСЯ ЯВЬЮ



რიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, თითქოს სახელმწიფო მოღვაწეთა მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტური ფილმები მოსაწყენი იყოს.

ფილმი — ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტო აშშ-ში აბათილებს რა ამ აზრს, ამტკიცებს, რომ დოკუმენტში დიდი ძალაა მე შემძლია ვთქვა, რომ ჩეხოსლოვაკიაში ამ ფილმის დემონსტრირების დროს ყველა ჩვენი კინოთეატრი ხალხით იყო გაჭედილი და ძნელი იყო ბილეთის შოვნა. ადამიანებს სურდათ საკუთარი თვალთი ენახათ, როგორ მიიღეს ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში, იმ ქვეყანაში, საიდანაც უწინარეს ყოვლისა მოედინებოდა ცივი ომის ტალღები ამ ფილმმა ყველა ჩვენანი დაარწმუნა, რომ ამერიკის უბრალო ადამიანების სურვილები ემთხვევა სოციალისტური ბანაკის და მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის სურვილებს.

ეს რწმენა, შეიძლება ითქვას, პირადად რწმენა მოქალაქეების აძლიერებს საყოველთაო რწმენას იმაში, რომ მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას.

ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი აშშ-ში მშვიდობის საქმეს ემსახურება. ადვილი არ არის სათანადოდ შეფასდეს იგი. მის მნიშვნელობაზე მეტყველებენ ფაქტები. ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის დღეებში ჩეხოსლოვაკელები რიგში იდგნენ, რომ ეყიდათ გაზეთი „რუდე პრაგო“! ჩვეულებრივ იმ გაზეთის შოვნა ძნელი არ არის. ვიზიტის დღეებში კი გაზეთი ერთბაშად იყიდებოდა და დავიკავებულნი რჩებოდნენ უგაზეთოდ.

ნ. ს. ხრუშჩოვი უზარმაზარი ქვეყნის წარმომადგენელია ის, რაც მან გააკეთა, ადამიანის შესაძლებლობას ალემატება. ამაზე მეტყველებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგი — ციგმა ომმა უკან დაიხია.

ხორცს ისხამს ადამიანთა ოცნება მშვიდობაზე. ამ მოგზაურობის მეოხებით ეს ოცნება სინამდვილედ ხდება.

გვაფთოვანებს ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადება სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ. როცა ადამიანი გაზეთში კითხულობს სტატიებს განიარაღების შესახებ, მას არ შეუძლია კონკრეტულად წარმოიდგინოს, თუ რას ნიშნავს ეს. როცა მე ვმოგზაურობდი თქვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, თვალნათლივ ვრწმუნდებოდი, თუ რა შეუძლია მოუტანოს განიარაღებამ მშვიდობიან მშენებლობას. მე ვნახე ამ ათი წლის მანძილზე ნაშენი ქალაქები კულტურულ-საყოველთაოვრებო დაწესებულებებით, მძლარი ქარხნებით და სამრეწველო საწარმოებით, თანამედროვე საცხოვრებელი სახლებით, მოსახერხებელი ბინებით. მე დავრწმუნდი, თუ მიღწეული იქნებოდა სრული განიარაღება, ქალაქები საბჭოთა კავშირში აშენდებოდა არა ათი, არამედ ერთი წლის მანძილზე, აშენდებოდა დიდებული არქიტექტურით და ყვავილოვანი მწვანე მორთულობით, და ამ მომავალ ქალაქებში იცხოვრებდნენ ბედნიერი ადამიანები მდიდარი და მშინაარსიანი კულტურული ცხოვრებით.

ევა ელინკოვა

ჩეხოსლოვაკური ჟურნალის „სვეტო სოვეტს“ რედაქტორი.

Ева Елинкова

ЕВА ЕЛИНКОВА

Редактор чехословацкого журнала «Свету Совету»



მშვიდობის პერსპექტივები ПЕРСПЕКТИВЫ МИРНОЙ ЖИЗНИ



ვერი რამ თვალნათლივ ჩანს ფილმი „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“, სახელდობრ თუ რაოდენ

დიდია მსოფლიოს ხალხთა მისწრაფება მშვიდობის საბოლოოდ დამყარებისათვის. ამერიკელი ხალხი გულმხურვალედ შეხვდა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც ორასამილიონიანმა ქვეყანამ წარგავნა მშვიდობის საქმეში თავისი ერთსულღებების გამოსახატავად. ერობილია, რომ ნ. ს. ხრუშჩოვისა და დ. ეიზენჰაუერის შეხვედრა დემოხვია იმ ისტორიულ მომენტს, როდესაც საბჭოთა მეციერებამ კოსმიური რაკეტები წარგავნა მთვარეზე და ამით მოელი კაცობრიობა დადგა მეციერებისა და ტექნიკის უდიდესი ძვრების უაქტის წინაშე. ეს ფაქტი არანახული ძალით მეტყველებს მშვიდობიანი ცხოვრების უსასრულო პერსპექტივებზე.

უყურებ რა ფილმს „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“, გჯერა, რომ ხალხთა მისწრაფება მშვიდობისათვის ღირსეულ ნაყოფს გამოიღებს.

А. Мачавариани

АЛЕКСЕЙ МАЧАВАРИАНИ

Композитор, народный артист СССР



საბჭოთა ხელოვნების შთავაზონებელი ძალა

ვასილ ლობჯანიძე

ოქროს ასოები ჩაიწერება ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში საბჭოთა ხალხის გამარჯვება დიდ სამამულო ომში: საბჭოთა კავშირმა იხსნა კაცობრიობა, კულტურა და პოეტრები ფაშისტური დამონებისაგან.

პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხელოვნებას, რომელიც დიდ როლს თამაშობს მასების იდეურ-პოლიტიკური და მორალური-ესთეტიკური აღზრდის საქმეში და რომლის როლი განსაკუთრებით ფასდაუდებელი იყო სამამულო ომის წლებში. ამიტომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანოებმა საქართველოს ხელოვნების ყველა დარგს ამოცანად დაუსახვეს შექმნა სპექტაკლები, კინოფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები, სურათები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ჩვენი ხალხის პატრიოტულ აღმავლობას და გააღვივებდნენ მასში მძულვარებას გერმანელი ფაშისტი ბარბაროსებისადმი, რომლებიც მუხანათურად თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს.

სამამულო ომისადმი მიძღვნილ მხატვართა ერთ-ერთ მიტინგზე მკაფიო პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, ხელოვნების მოღვაწე ვ. თიბიძე, ივ. ვეფხვაძე, ლ. გულიაშვილი, მოქანდაკე რ. თავაძე, მხატვრები ლორის-მელიქიძე და რომანოვილი. ყველა ორატორი უღრმესი აღშფოთებით ლაპარაკობდა გათავადებული ჰიტლერელი ბანდიტების ვერაგობის შესახებ, რომლებიც მზაკერულად თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირის ქალაქებს და სოფლებს; ამასთან ორატორები აცხადებდნენ თავიანთ მზადყოფნას — მიეღო საბჭოთა ხალხთან ერთად ურტყან მტერს მის საბოლოო განადგურებამდე.

თავიანთ მიმართვაში ჩვენი გამოჩენილი მსახიობები ა. ხორავა, ა. ვასაძე, უ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, შ. ლაბაშვიძე, გ. დავითაშვილი და სხვ. წერდნენ, რომ ამ მკაცრი განსაცდელის ქაშს ხელოვნების მუშაყნი ვდგავართ სასყვარელი სამშობლოსათვის ემბრძოლითა რიგებში, ჩვენი მოქმედება მთლიანად ემდებება ხალხს, და მზად ვართ თვით სიცოცხლეც კი შევწიროთ მას.

ხელოვნების მუშაკებმა თეატრებში, უჩაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში შემოქმედებით მუშაობასთან ერთად, ფართოდ გაშალეს მხატვრული საშუალო მოღვაწეობა სამხედრო ნაწილებსა და პოსპიტლებში, თეატრალურმა კოლექტივებმა გამოჰყვეს საუკეთესო არტისტული ძალები, რომლებიც სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე გამოიჩინდნენ გასაწვევ და საავტუკაციო პუნქტებზე, აგრეთვე წითელარმიელთა ყაზარმებში.

საქართველოს ხელოვნებამ სამამულო ომის წლებში არა მარტო შეინარჩუნა ყოველივე ის საუკეთესო, რაც

ომამდე შექმნა და დააგროვა, არამედ ომის მიმე ვითარებაშიც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, მოიპოვა ახალი ბრწყინვალე წარმატებანი. ის ფაქტი, რომ 1942-43 წლებში სტალინური პრემიები მიენიჭათ სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ვასაძეს კიკვიძის როლის შესრულებისათვის ამავე სახელწოდების პიესაში, კომპოზ. შალვა მშველიძეს — სიმფონიური პოემის „ზვიადურისათვის“, მხატვარ უჩაჯაფარიძეს სურათისათვის „1901 წლის პირველი მაისის დემონსტრაცია“ და მოქანდაკე კ. მერაბიშვილის რუსთაველის მონუმენტისთვის, ნათლად მეტყველებს ქართული ხელოვნების წინსვლაზე ამ პერიოდში¹.

სერიოზულ ყურადღება მიექცა თეატრების რეპერტუარს — გაიზარდა პატრიოტულ თემაზე დაწერილი პიესების ხვედრითი წონა. ორი სეზონის განმავლობაში საქ. სსრ თეატრებში დადგმული პიესებიდან 220 პიესა დაწერილი იყო საბჭოთა ავტორების მიერ.

თეატრებმა თავისი ყურადღების ცენტრში დააყენეს საბჭოთა ხალხის გირორული ბრძოლა, განახორციელეს ისეთი პიესები, როგორც იყო ზ. მდიენის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ცა“, „პარტიზანები“, „ბრძანება ფრანტისადმი“, ზ. გამრეკელის „გრივანი“, რუსული დრამატული ნაწარმოებები — კი. სიმონოვის „რუსი ადამიანები“, ლ. პოგოდინის „კრემლის სურანგები“, კ. ფინის „ბერლინის გასაღები“, კაცის „ოლეკო დენი“ და სხვ.

ჩვენი თეატრების რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ისტორიულ თემაზე დაწერილ საბჭოთა ავტორების პიესებს, რომლებიც ასახავდნენ ჩვენი ხალხის გვირუკე წარსულს და ამით პატრიოტიზმისა და მტრებისადმი სიძულვილის სულსიკვეთებით ზრდიდნენ საბჭოთა ადამიანებს.

ჩვენი თეატრების სცენაზე დადგმული ისტორიული პიესებიდან დამსახურებული წარმატებით სარგებლობდნენ ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“ და „კრწანისის გმირები“, ი. ვაკელის „დიდი მოურავი“, სამსონის „გენერალი ბგარბატიანი“, ი. სელვიანსკის „გენერალი ბრუსილოვი“, სოლოვიოვის „ფელდმარშალ კუტუზოვი“ და სხვ. ამ დრამატულ ნაწარმოებებში სიწართლით და დამარწმუნებელი ძალით მავტურებულთა წინაშე აღსდგნენ გამოჩენილი სახელწოდებული მოღვაწეები და დიდი მხედართმთავრანი, რომლებიც თავის დროზე თავდადებით იცავდნენ სამშობლოს უცხოელი დამპყრობლებისაგან².

¹ სამამულო ომის ისტორიის არქივი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიისთან, ფ. 4, საქმე 10, ფურცელი 1.

² სამამულო ომის ისტორიის არქივი საქ. სსრ მეცნ. აკადემიისთან, საქმე 10, ფურც. 2.



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარიც გამდიდრდა ორიგინალური ნაწარმოებებით. ისეთ ცნობილ ოპერებთან ერთად, როგორც არის ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეფრე“, „დაისი“, ვ. დილიძის „ქეთო და კოტე“, კ. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, ანდ. ბალანჩივაძის „მოთხის გული“, თეატრის სამამულო ომის დროს განაზრცივდა ვანო გოციელის ახალი ოპერა „პატარა კახა“, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას სამშობლოსათვის და აღვივებს პატრიოტიზმის წმინდა გრძობას. ამავე თეატრის რეპერტუარში დიდი ადგილი ეკავათ გამოჩენილი რუსი კომპოზიტორების — ჩაიკოვსკის, მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის, ბოროდინის, დარგომიჭკის, იპოლიტოვ-ივანოვის საოპერო ქმნალებებს, რომლებიც აცნობენ რა მამულებს დიდი რუსი ხალხის მდიდარ მემკვიდრეობას, ამაღლებდნენ ჩვენი მაყურებლის მუსიკალურ კულტურას.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა შესანიშნავი სპექტაკლი — ვანოან დანასელის „კიკვიძე“, რომელიც წარმოგვიასახავს ლეკვდარული დივიზიის გმირ მეთაურს, რომელიც მუსის აკვინო ვერმანელ მტკარებლებს და თეთრგვარდიელებს სამოქალაქო ომის წლებში.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა მკვეთრი და საინტერესო სპექტაკლი „ბერლინის გასაღები“, რომელშიც მაყურებელს გაახსენა რუსული იარაღის ერთერთი ბრწყინვალე გამარჯვება — რუსი ჯარების მიერ ბერლინის აღება.

პატრიოტული სპექტაკლი უდიდეს რუს მხედართმთავარ სუოროვზე შექმნა გრიბოედოვის სახელობის თეატრმა, ეს დადგმაც ასახავდა რა რუსი ხალხის სწორუბოვარ მემორალ გვირობას, მოუწოდებდა მაყურებლებს დაუდლობო ბოლო ბრძოლისაკენ ფაშისთვის გასანადგურებლად!

ფართო მუშაობა გაშალა სამამულო ომის პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამაც. სიმფონიური და კამერული კონცერტების გარდა, იგი ხშირად აწყობდა სასპერადო კონცერტებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სახელმწიფო თეატრების წამყვანი მსაბოიბები და საბჭოთა კავშირის გამოჩენილი არტისტები.

სამამულო ომის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ განართა 5.415 კონცერტი. შედგენილი იქნა ახალი საგანგებო რეპერტუარი ესტრადის არტისტებისათვის; იგი მოიცავდა შემდეგ ნომრებს: „წითელ ამიას“, „დედას“, „პიტლერი და გერინჯი“, „თესვის კამაშია“, „ლაპარაკობს ისტორია“, „კავკასიური გვარდიული“, „საქართველოს შვილი“, „სიმღერა ქართულ დივიზიაზე“ და სხვ.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა ძირითად თანისი მუშაობა წარმართა იქითკენ, რომ შექმნილიყო ისეთი მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ხალხის მობილიზაციას და დარაზმვას მტრის გასანადგურებლად.

ქართველ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი ნაწარმოებებიდან ფრონტზე მყოფ ანსამბლებს შესასრულებლად გადაეცათ: ჩრდილო კავკასიის ფრონტს — 15 ნაწარმოები, ამიერკავკასიის ფრონტს — 10, ყირიმის ფრონტს — 15, შავი ზღვის ფრონტს — 12, ქართულ დივიზიებს — 36, წითელი არმიის საოლქო სახლს — 5 მასობრივი სიმღერა.

იმავ დროს წითელი არმიის ნაწილებში საშალო სიმღერების შესწავლისა და გატრეკლების მიზნით მივლინებულ იქნეს კომპოზიტორი ალ. მაკუკარიაძე, გ. სვანიძე, ტბლიცი, დანოვსკი; ლოტარები გ. შაბაღა და ნ. ხურცია, რომლებმაც ნაყოფიერი მუშაობით წითელი არმიის ნაწილებსაგან დიდი მადლობა დაიმახუროს.

სამამულო ომის წლებში დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ბალანჩივაძის 1-ლი სიმფონია, შ. მშველიძის „სხარულისა და გამარჯვების სიმფონია“ წოდებული, სამამულო ომისადმი მიძღვნილი მეორე სიმფონია, ალ. მაკუკარიაძის ოპერა „დედა და შვილი“, შ. აზმაიფარაშვილის სიმფონიური პოემა „ქართული“, თ. ხარაშიშვილის სიმფონიური პოემა „სიმღერა ქარიშხალზე“ (მ. გორკის მიხედვით); სამამულო ომის თემაზე დაწერილი ნ. ნარმანიძის ორატორია: ნ. გუდიაშვილის კანტატა „კავკასიონი“, გრ. კილიძის „მეორეული სიმფონია“, მამაკე წითელი არმიისადმი მიძღვნილი სიმფონიური უვერტურა შ. თაქთაქიშვილისა და ბუკის სხვა!

სამამულო ომის დღეებში დიდი შემოქმედებითი მუშაობა გააჩადა საქართველოს მხატვართა კავშირმა. საყმაოა აღინიშნოს, რომ ომის წლებში ამ ორგანიზაციამ სურათების გალერეაში მოაწყო სამი დიდი თემატიკურა გამოფენა: „ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“, „სარესპუბლიკათაშორისო გამოფენა თემაზე“ „გერმანულ ფაშისტთა მწყობად და საბჭოთა ხალხის ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ“. ამ გამოფენაში, საქართველოს მხატვართა და მოქანდაკეთა გარდა, მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის და მოქმდ რესპუბლიკების — უკრაინის, აჭერბაჯანის, სომხეთის, ორჯონიკიძის და კრასნოდარის მხარის მხატვრებმა; და ბოლოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა თემაზე: „საბჭოთა ხალხის დიდი განმათავისუფლებელი ომი გერმანულ დამპყრობელ წინააღმდეგ“.

ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ელენე ახვლედიანის — „ძამბე ხერხეულძიკები“, ს. მათაშვილის — „გორგი სააკაძე საპარლამენტის ბრძოლაში“, შ. მაყაშვილის — „სპარსთა განდევნა თბილისიდან“.

სარესპუბლიკათაშორისო გამოფენაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს 30 მხატვარმა და ნ. მოქანდაკემ, რომლებმაც გამოაფინეს 54 ნაწარმოები. სხვა რესპუბლიკებიდან და მხარეებიდან — 72 მხატვარმა და მოქანდაკემ. ფერწერული სურათებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა სტალინური პრემიის ლაურეატის — მხატვარ ირაკლი თოიძის თხზი ტილო: „ზოია კოსმოდემიანსკაია“, „პარტიზანი არ კაცსემი“, „ფაშისტების ნეცობანი“, „ქართულ და ბერკავკასიულ ამოფრებით“, ამ უკანასკნელ სურათზე ირთოიქმე გამოხატა შემდეგი მოუნტი. სანერგში მყოფი



ფაშისტო მხეცები უკან ამოფარებენ ტყვე ბერკაცებს და ქალებს და ასე უზუნუნ ტყვიის ცეცხლს საბჭოთა მეომრების მოწინავე ხაზს. ამაყი საბჭოთა ადამიანები პირდაპირ შესცვრიან სახეში მოახლოებულ სიკვდილს. — უძლეველია მათი რწმენა გერმანულ დამპყრობელთა გარდაუვალი დამარცხებაში.

მეორე სურათზე „პარტიზანი არ გასცემს“ გამოსახულა ნავსადგურის მუშა-პარტიზანი, რომელიც ფაშისტ ჯალათთა მხრივ საწინავე საბჭოურ წამებებს განიცდის. დაფრეული პერანგში მოსჩანს შიშველი ზურგი. ბერკაცი შეუპოვარი და ურყევია თავის გადაწყვეტილებაში — მოკვდეს, მაგრამ არ გასცეს აზნაანება.

ხელმოწერის დამახსურებელი მოღვაწის ივ. ვეჯვაძის სურათზე „ფაშისტების მხეცობა“ ასახულია თუ როგორ ძარცვდენ ფაშისტები ყარაღები მშვიდობიან მცხოვრებლებს. სახლში შვარცდნილ ფაშისტებს მოუკლავთ ქალი (ღელა); გვათან დეკა გოგონა, ტირის და მწერს საყვედურით შეკატყვებს მკვლელს; მეორე ზანდიტს მისი უფროსი დისათვის — ბიონერისათვის დაცვაები უღრძვია. გაცოფებული ჰიტლერის ოფიცერი დაციინებით დაჰყურებს მოკვლილი ქალის გვამს. დანარჩენ ჰიტლერულ ყარაღებს ხელი ჩაუჭიდათ ნაძარცვისათვის და წასვლას აძირგებენ.

„დაპირის მოწოდება“ ასეთია სტალინური პოემის ლაურეატის მხატვარ უნა ჯაფარიძის სურათის თემა. დაჭრილ მეომარს, რომელიც მდიდრის დის მხარს დაყრდნობდა, ხელი შუშანიით მაღლა აუწევია და ქალაქში შემომაგვალ მეომრებს მიმართავს მოწოდებათ: შური იძიეთ დედების, ცოლების და ბავშვების შეგინებისა და შეურაცხყოფისათვის.

გამოფენაზე გამოტანილი ჯანრული და პორტრეტული ნამუშევრებიდან უურადლებას იქცედა ირ. თოძის „წერილი ფრონტიდან“. მყუდრო ოჯახურ ვითარებაში დედა და ქალიშვილი დიდი სიყვარულით კითხულობენ შვილისა და ძმისათვის მიღებულ დიდი ხნის ნალოღონე პარაოსს. საყოველთაო მოწონება ხვდა ს. ნადარეიშვილის სურათს „გმირის დაბრუნება“. გმირის მოულოდნელ დაბრუნებას მშობლიურ სოფელში არაჩვეულებრივად აღუღლებია მოხსული მშობლები, რომლებიც გრძობაშაღლით ხედებიან დიდი ხნის ნანატრ ვაჟს.

გამოფენაზე ექსპონირებული ქანდაკებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწის თამარ აბაკელიას „დაპირილი წითლარბიელი“, კ. გერბაიშვილის „წითელფლოტელი“ და მოქანდაკე ვ. თოფურიაძის „პარტიზანი“.

მესამე გამოფენა, რომელიც 1943 წლის ზამთარში გაიხსნა, ძირითადად ასახავდა წითელი არმიის და სამხედრო-სახლავო ფლოტის ბრძოლის ეპიზოდებს. ამ გამოფენაზე ექსპონირებული არაერთიდან აღანიშნავია:

1) „ფაშისტები უკან დახევისას ხვრეტენ მშვიდობიან მცხოვრებლებს“ — პანო შესრულებულია მხატვართა ბრიგადის (ივ. ვეჯვაძე, ალ. ციმაკური, დ. წერეთელი) მიერ. ქალაქში შეჭრილან წითელი არმიის მოწინავე ნაწილზე პარტიზანებთან ერთად. უკან დახეული ჰიტლერელები სამხედრო მარცხის გამო თავის გულისკავარს იყრიან მცხოვრებლებზე, უმოწყალოდ ზოცავენ მათ, არ ინდობენ ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს. მკვლელებს უპოვე-

ვიან ცხენოსანი მატკოთა მეომრები და დაღუპულთა მკვლელები მენ მათ. ასეთია ამ პანოს შინაარსი.

2) „წითელი ცხენოსანი მეომრები ანადგურებენ გერმანელებს სტალინგრადთან“ — ეს პანო შესრულებულია მხატვართა ბრიგადის მიერ (ბ. გორგაძე, ა. გიგოლაშვილი და ვ. რომანოვსკი). თმად აღებულია გერმანულ-ფაშისტთა განადგურება სტალინგრადთან. შეშინებულს, მშვირ-მწყურვარებს და სიცვისაგან გათოშლი ჰიტლერული არმიის ნაწილებს უტყვენ საბჭოთა მხედრები. ძლიერ-მოსილ ნიაღვრად მოსდებიან ისინი ველებს, მუსრავენ და სპობენ მტრის ცოცხალ ძაღს. ჰიტლერელთა ნაწილს, რომელიც ხელავს თავის უშიგოდ მდგომარეობას, სურს დანებდეს — ხელდობს მაღლა აუწევოს, მარტო მათი მცირე ნაწილი ლამობს წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენს მხედრებს; მხოლოდ ჰიტლერელთა ცალკეული ჯგუფები ცდილობენ გაქცევით თავს უშველიონ, მაგრამ მათაც ანადგურებს საბჭოთა არტილერიის ცეცხლი. შორს სჩანან სტალინგრადის გაიშვლებული და დანახშირებული კედლები.

3) მხატვართა ბრიგადის (ა. ღონგაღის, ვ. კეშელავას და სალომეოსის შემადგენლობის) დამატული აქვს პანო შემდეგ თემაზე — „საბჭოთა მეავტომატები სროლით აძევებენ გერმანულ ფაშისტებს ბლინდაჯიდან“. რუსული ზამთრის ბეზღის ფონზე, ჩამავალი მზის მეწამულ სხივებში, ჩვენი მამაცი მეავტომატები სროლით დევნიან დანგრეული ძელმიწურიდან ფრიცებს, ტანსაცმელ ჩამოფრეულინი, შიშილისა და სიცვისაგან გაღურებულ-გაყვირებულნი ჰიტლერელები, რომელთაც ადამიანის სახე დაუკარგავთ, გარდუვალი დაღუპვის წინაშე ცხოველური შიშით შეპტობილინი, გამოიღან ბლინდაჯის ნანგრევებიდან და იქვე შესასვლელთან ჰყრიან თავითა საჭურველს. მხოლოდ ერთი თავხეხულადებული ჰიტლერული მაღლულად ჩასადგრებულა და ბლინდაჯის კუთხიდან უშიზნებს ერთ საბჭოთა მეომარს, მაგრამ ფრთხილ და ფხიზრის საბჭოთა მეავტომატები დაუღონობლად სპობენ ფაშისტ ჯარისკაცებს. შორს მოსჩანს ცეცხლწყობილი გერმანული ტანკი და შეტევაზე გადასული ჩვენი მრობები.

4) „გერმანული შტაბის განადგურება ჩრდილო კავკასიის პარტიზანებისაგან“ — ასე ეწოდება მხატვართა ბრიგადის — ა. ქუთათელაძის და ს. ნადარეიშვილის მიერ შესრულებული პანოს. გერმანულ შტაბს მოულოდნელად თავს დასხიან სახალხო შურისმაძიებელინი — მიიღიონ პარტიზანები. მტრის ბუნაგში შეჭრილინი უმოწყალოდ სპობენ ოკუპანტებს, რბილად გაფხილ ნოხზე გადა ერთი მკვლელი ოფიცერთაგანი, მეორე ოფიცერი, პარტიზანის ტყვიით განგმირული, უსიკვებლოდ ჩამოვიდებულა სავარძელზე; მესამეს, თავი რომ გადაიჩინოს, დარცხვნიით ხელები მაღლა აუწევია. დანარჩენები, შიშით აკანკალებულნი, ციანათ თავის მწერავ ხედებს, იციან, რომ გერმანელებიან ხალხის შურისძიებას.

შემოქმედებასთან ერთად საქართველოს მხატვრები ეწეოდნენ ნაყოფიერ ნაშეუო მუშაობას ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ნაწილებში. ასე, მაგალითად, 1941 წლის მანძილზე საქართველოს ოცდათორმეტი წამყვანი მხატვარი მთელი 40 დღე უსასყიდლოდ მუშაობდა ქ. თბილისის აგიტატუნტების და ეკვებობის სახ. სახლის გასაფორმებლად.



დლი სამამულო ომის დაწყების დღიდან წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს მეომრებად, მეთაურებად და პოლიტმუშაკებად და ფრონტზე გაიკზავენ მხატვრები და მოქანდაკენი — ძმები რუბენ და დიმიტრი თავაძეები, ა. კობახიანი, ჯორჯაძე, გ. ჯაფარიძე, კურსელიძე და ბეგინი სხვა.

ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად მიმართულმა კომუნისტური პარტიის შენაღობრმა ნ. ციონაღობრმა პოლიტიკამ ბრწყინებულ შედეგები გამოიღო დღი სამამულო ომის პერიოდში. ომის მკარამა ეთიარებამ აიძულა მრავალი მხატვრული კოლექტივი დროებით დაეტოვებინა მშობლიური ადგილები და ეკვატორებულნი ყოფილიყო ქვეყნის სიღრმეში. ზოგიერთი მათგანი საქართველოში ჩამოვიდა, სადაც მათ გულთბილად შეხვდნენ. კერძოდ თბილისის ესტრუბო მოსკოვის სამხატვრო თეატრის გამოჩენილ მსახიობთა ჯგუფი (წს კაუი) სსრ კავშირის სახალხო არტისტ ვლ. ნემიროვი — დანჩენკოს მეთაურობით და მუსკოის მოღვაწენი (46 კაცი) პროფ. გოლდენვეიზერის მეთაურობით.

ომის წლებში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ აგრეთვე ბატრესკის სახელობის უკრაინული თეატრი, ლენინგრადის კომედის თეატრი, შორისის სახელობის უკრაინული თეატრი: სხვა დრამატული თეატრები, ესტრადის და ფილარმონიის ცალკეული მსახიობები (314 კაცი), მოსკოვის, ლენინგრადის და უკრაინის მხატვრები (32 კაცი). ყველა ამ კოლექტივს ჩვენი შეუქმნეს სათანადო საყოფაცხოვრებო და მორალური ბირობები შეიმუშედებოთ მუშაობისათვის. ცალკეულ შემოქმედ მუშაკებს ეძლეოდათ შეკეთების, მონაწილეობდნენ კონცერტებში, ეწოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას და საკონსულტაციო მუშაობას. თეატრალური კოლექტივები გამოიღიდნენ როგორც თბილისის, ისე ბათუმის, ქუთაისის და სხვა ქალაქების თეატრების სცენაზე. ხელოვნების მუშაკები იმედნენ საკუთარ ინიციატივას — მართავდნენ სექტორებს და კონცერტებს თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად, სატანკო კოლონების და საპაერო ესკადრილების ასაგებად, აგრეთვე საჩუქრების შესაკრებლად წითელი არმიის მებრძოლებისათვის.

1941 — 1943 წლებში ამ მიზნებისათვის შევადგინეთ ოთხი მისი 4,5 მილიონ მანეთი; დიდძალი სხვადასხვა სახის საჩუქრები (ეროვნული კოსტუმები, ხალხური საკრავები, ბატფონის ფირფიტები, თბილი ტანსაცმელი და სხვ.) გაეკზაუნათ წითელი არმიის თეთმომქმედ წრეებს.

პარტიის და მთავრობის მიწოდებამ წითელი არმიის მამაკე მეომრების ოჯახებისათვის მუდმივი და ყოველმხრივი დახმარების შესახებ ცხოველი გამოძახილი ჰყო ხელოვნების მუშაკთა შორის. ამ დახმარების სისტემატური ხასიათი მიეცა. ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად შევროვილი თანხა 8 მილიონ მანეთს აღმეტეოდა 1.

ფრონტისა და ფრონტისპირა სამხედრო ნაწილების მომსახურებისათვის მიეწყო 44 ბრიგადა. აქედან სამ ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სსრკ სახალხო არტისტები აკ. ხორავა და აკ. ვასაძე, საქ. სსრ სახალ-

ხო არტისტი შ. დამბაშიძე, შედიოდნენ საქ. სახალხო არტისტები თამარ ჭავჭავაძე, პიერ კობახიძე, გრ. ვენიკო რეს. დამს. არტისტები გ. საღარაძე და სტ. ჯაფარიძე, ხელოვნების დამსახ. მოღვაწე მ. კვალიაშვილი, მ. თარხნიშვილი და სხვ.

ერთი ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ სსრკ სახალხო არტისტები გ. კანაღოვი და ო. კნაიპერ-ჩეხოვა, სამხატვრო თეატრის დირექტორის მოადგილის ნენვის მეთაურობით, გაიკზაუნა შავი ზღვის ფლოტის მხატვრული მომსახურებისათვის. ბრიგადა კონცერტებს მარაგდა ფოსას და სოხუმშიც, აგრეთვე ვარში. საფრონტო ბრიგადებამ ომის უაღრესად დაძაბულ დღებში 2000 კონცერტი გამართეს მოქმედი არმიის ნაწილებში.

სამხატვრო სასწავლებელში მაშინ პედაგოგებად მუშაობდნენ ცნობილი რუსი რეალისტი მხატვრები ა. კორინი, ლ. პასტერნაკი, ნ. კასატკინი და ვ. სეროვი, რომლებსაც შესანიშნავი სასწავლო-შემოქმედებითი ატმოსფერო ჰქონდათ შექმნილი. ამ ისტაბლების უშუალო ხელმძღვანელობით, აგრეთვე მოსკოვისა და პეტერბურგის მუზეუმებში დატარებული მხატვრული შედეგების ზეგავლენით, გრიგოლ მესხის შემოქმედება იმთავითვე რეალისტური ხელოვნების გზით წარიმართა. გრ. მესხის შემოქმედებითი კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ სახალხო-რევოლუციურ აზირობებს, რომელიც მისი სტუდენტობის პირველ წლებს დაემთხვა. მომავალი მხატვარი მთელი გატაცებით დაეწაფა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას და თავისი სტუდენტური ცხოვრება მუშადა და მშრომელი გლეხობის თავისუფლებისათვის ბრძოლას დაუკავშირა.

დაიწყო ძიების, შემოქმედებითი დაოსტატებისა და რევოლუციური წრეების რთული, მაგრამ საინტერესო წლები...

დიდი იყო ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებითი ინტერესი. სტუდენტობის პერიოდში გ. მესხი გულმოდგინედ და ბეჯითად მეცადინეობდა სახვითი ხელოვნების ყველა სფეროში. განსაკუთრებით გატაცებული იყო ფერწერის კლასში ნ. კასატკინთან მუშაობით. ერთერთ გამოფენაზე თავისი მასწავლებლის, სახელოვანი რუსი მხატვარი-პორტრეტისტის ვ. სეროვის "ვირშმანის მეუღლის პორტრეტის" ნახვამ ისეთი ცხოველყოფილი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მხატვარზე, რომ მან მთელი გატაცებით დაიწყო პორტრეტულ ყანრში მუშაობა, რასაც ამჟამადაც დიდი სიყვარულით განაგრძობს.

სტუდენტობის პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებული ყურადღება დამისახურა სტუდენტთა გამოფენაზე წარმოდგენილმა "გოგონას პორტრეტმა", რომელიც მხატვრული ტილოების კოლექციონერ-მეცენატს სალადოენიკოვს შეუქმნია. ამ პერიოდში შექმნა მან რამდენიმე პორტრეტი, რომელთა შორის საყურადღებოა "ინჟინერ ტეიტლინის ქალიშვილის პორტრეტი" და ეტიუდები.

სტუდენტობის პერიოდს მიეკუთვნება ილია ჭავჭავაძის პორტრეტი, რომელიც ახალგაზრდა მხატვარმა მოსკოვის საეთნოგრაფო საზოგადოების მიერ ილიას ხსოვნის პატივსაცემად 1908 წლის 12 მარტს გამართული სხდომისათვის სპეციალურად დახატა. საღამოზე მოხსენებით გამოხსლად ა. ხახანაშვილი, გ. ჟორდანიანი, დ. არაკიშვილი. სიმღერები შეუსრულებიათ თ. ბახუტაშვილ-შულავისა და ქართველ სტუდენტთა გუნდს. გაზეთი "ამირანი" გ. მესხის პორტრეტის შესახებ წერდა: "დარბაზში მოთავსებული იყო მან გ. მესხის მიერ (მოსწავლეა აქაურ სამხატვრო სასწავლებლისა) ცოცხლად დახატული სურათი ილია ჭავჭავაძისა" ¹. ამ დროისათვის მოსკოვში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბები ხდებოდა. რუსეთის 1905 წლის რევოლუცია დიდ აღმავლობის განიცდიდა. მოსკოვი მუშათა რევოლუციური მოძრაობის უდიდეს კერად გადაიქცა. დეკემბრის შუა რიცხვებში ქუჩები ბარისკალებით მიივსნა. ყველგან იქმნებოდა შეიარაღებული მებრძოლი რაზმები. რევოლუციურად განწყობილი გ. მესხი კავასიელ სტუდენტთა რაზმის აქტიური წევრი იყო. იგი იარაღით ხელში იბრძოდა მოსკოვის ქუჩებში. ერთერთი შეტაკების დროს მისმა რაზმმა განაარადა პოლიცია და ნადავლი მოსკოვის რევოლუციურ შტაბს გადასცა. სხვებთან ერთად გრ. მესხი ბონონის ქუჩაზე აღმართულ ბარაკადაზე მთელი დღის მანძილზე წინააღმდეგობას უწევდა კაზაკთა დამსჯელ რაზმებს.

რევოლუციის დროებითი დამარცხების შემდეგ, გრ. მესხს კონსპირაციულად უხდებოდა ცხოვრება. რეაქციის გაძლიერებასთან დაკავშირებით იძულებული გახდა 1908 წელს სასწავლებლის მეთიხე კურსიდან გამოსულიყო და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

გამომგზავრების წინ გ. მესხმა გადაწყვიტა თან ჩამოე-

¹ "ამირანი" № 19 გვ. 3, 22 მარტი, 1908 წ. ილია ჭავჭავაძის საღამო მოსკოვში.

ტანა მოსკოველ მხატვართა ნაწარმოებები და თბილისში გამოფენა, რათა ქართველი საზოგადოებისათვის ფერწერის რუს ოსტატთა ხელოვნების ახლო ვაცნობის საშუალება მიეცა. გრ. მესხმა მოსკოველი მხატვრების მხარდაჭერითა და უშუალო დახმარებით, თანაკურსელ ა. ციმაკურიძესთან ერთად, თავი მოუყარა გამოფენისათვის განკუთვნილ 142 ტილოს და საქართველოსაკენ გამოსწია.

1909 წლის 1 მაისის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელიც იუწყებოდა, რომ 6 მაისს ზუბალაშვილების სახლში, კავკასიელ მხატვართა საზოგადოების სკოლაში გაიხსნებოდა მისკოვის ცნობილ მხატვართა სურათების გამოფენა. „ამ გამოფენას მართავენ ჩვენ თანამემამულენი, ახალგაზრდა მხატვარი, მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლის მოწაფენი გრ. მესხი, ალ. ციმაკურიძე, ს. არაქელიანი. ამთ მიანდეს მხატვრებმა გამოფენის მოწყობა, სხვათა შორის, ამ ახალგაზრდა მხატვრების სურათებიც იქნება გამოფენილი“¹. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ს. ივანოვის, ა. ვასნეცოვის, ლ. პასტერნაკის, კ. იონინის, კ. კოროვინის, ს. ჟუკოვსკის, ა. კორინის, ა. არხიპოვის, აგრეთვე ახალგაზრდა რუსი, ქართველი და სომეხი მხატვრების ნამუშევრები. ეს იყო მოსკოველი მხატვრების ნამუშევრების პირველი გამოფენა თბილისში „Тифлис — წერდა იმ ხანად გაზეთი „კავკაზი“, — огутился в положении забытого художниками уголка: за исключением выставок, периодически устраиваемых местными художественными силами, ему еще ни разу не пришлось у себя на месте познакомиться с произведениями столичных мастеров и на видных произведениях искусства воспитать свой художественный вкус и понимание...“².

გამოფენამ დიდი ინტერესი აღძრა. ოსკარ შმერლინგის სამხატვრო სასწავლებლის კარებს, სადაც გამოფენა იყო გამართული, უამრავი ხალხი მოაწყდა. პრესაში დაიბეჭდა ხელოვნებათმცოდნეებისა და მხატვრების მრავალი წერილი. ზოგიერთმა რეპეციულმა გაზეთმა უარყოფითი შეფასება მისცა გამოფენას, მაგრამ საზოგადოების მოწინავე ნაწილი უადრესად დადებითად მოეკიდა გამოფენილ ნაწარმოებებს და მადლობა უძღვნა გამოფენის მესვეურთ. მოწინავე საზოგადოების აზრს გამოხატავდა ცნობილი ქართველი მხატვარი ალ. მერველშვილი, როცა 1909 წელს გაზეთ „დროების“ 22 მაისის ნომერში წერდა: „როგორც ახალმა რამემ, არა ჩვეულებრივმა ამ გამოფენამ დიდი მიოქმე-მოქმე გამოიწვია საზოგადოებაში. თითქმის ყველა ადგილობრივმა გაზეთმა ამოიღო ხმა მასზე; მომეტებულმა, სამწუბაროდ, ზეზუღლად შეჰყნა გამოფენას, ვაკაცინა კიდევ და სრულებით არ ჩაუკვირდა გამოფენის ზოგიერთ ახალ მხარეს, როგორც დიდი ხანის ავადმყოფი, ღლინიად ჩავარდნილი, ჩაკეტილ, დახშულ ოთახში, მარტო თავის სწულ გონების ამარა მყოფი, სულ იმას გაიძახის: დაკეტილ, დაწულ კარები, საიდანაც ნიაგი უბერავს, გაცეცდებით, ისე იქცევიან ჩვენებური პრესის ზოგიერთი მესვერნი“³. ავტორი პატივისცემით იხსენიებსა გამოფენის მინაწილე ცნობილ რუს მხატვრებს და დადებით შეფასებას აძლევდა მათ ნამუშევრებს. აღფრთოვანებით



გ. მესხი ვასო აბაშიძის პორტრეტით

წერდა მხატვარი ახალგაზრდა ფერმწერლებზე, განსაკუთრებით ახარებდა მას ქართველი და სომეხი მხატვრების წარმატება, რომლებსაც ოსტატობას უქებდა და მოშობაში ამხნეებდა: „ამ გამოფენაზე ბევრი ახალგაზრდა მოსწავლე მხატვარი იღებს მონაწილეობას და საუცხოვო ნიმუშებიც აქვთ გამოფენილი—ასეთები არიან გერასიმოვი, სავინი და სხვანი. რაც შეეხება ჩვენს თანამემამულეთ—ახალგაზრდა მხატვარ მესხს, ციმაკურიძეს და არაქელიანს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ დიდი წარმატება ეტყობათ. საუცხოვოა მესხის — ქალის პორტრეტები, ციმაკურიძის ეტიუდები და არაქელიანის „ღამის საიდუმლოებანი“¹.

გაზეთ „დროების“ სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა გ. მესხის, ა. ციმაკურიძისა და ს. არაქელიანის პორტრეტები (იხ. „დროების“ სურათებიანი დამატება №22. 7 ივნისი 1909 წ.). ასევე აღფრთოვანებული წერდა გაზეთ „კავკასის“ რეცენზენტი, რომელმაც საკმაოდ ვრცელი წერილი უძღვნა გამოფენას და ღრმა ანალიზი გაუკეთა წარმოდგენილ ნამუშევრებს. ახალგაზრდა მხატვრების შესახებ ავტორი წერდა: «Не могу не сказать несколько слов по поводу произведений устроителей выставки — Месхи, Цимакуридзе и Аракеяна. Искры таланта видны во всех произведениях этих молодых художников, которые при усленной и серьезной работе

¹ „დროება“ № 95, 1 მაისი, 1909 წ.

² „კავკაზი“ № 104, გვ. 3 9 მაისი, 1909 წ.

³ გაზეთ „დროება“ გვ. 2-3, № 110, 22 მაისი, 1909 წ. მოსკოველ მხატვართა სურათების გამოფენა.



გ. მესხი კოლმურენის პორტრეტი

должны вылиться в нечто стройное. Мы можем также не поблагодарить их за почин устройства выставки столичных художников в Тифлисе»¹.

ეს გამოფენა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო გ. მესხის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, არამედ რევოლუციონარული საქართველოს მხატვრულ ცხოვრებაში. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის ვაძლიერების მიმე პერიოდში, როგორც ცნობილია, ლიტერატურასა და ხელოვნებაში იმავად ანტირეალისტურმა, სუბიექტურ-ინდივიდუალისტურმა მიმართულებამ, რაც ინტელიგენციის წრეებში არსებელი იდეური მერყეობით იყო გამოწვეული. ამას ემატებოდა ნაციონალისტური ბურჟუაზიის ცდა — ჩამოეშორებინა ხელოვნება მუშათა კლასის ბრძოლის ინტერესებისაგან და ეიწრო პირადული თემებისა და იდეების ნაჭუჭში მოემწყვდია იგი. ასეთ პერიოდში ცხოვრების სიმართლად ამასხველ გამოფენას უდიდესი როლი ენიჭებოდა. გამოფენამ გააფართოვა და განამტკიცა ქართველ და რუს მხატვართა შემოქმედებითი თანამეგობრობა და ერთხელ კიდევ სწორი გეზი მისცა რევოლუციურ-დემოკრატიულ რეალიზმის გზაზე დამდგარ საქართველოს მოწინავე შემოქმედ ახალგაზრდობას.

ზუსტად ნახევარი საუკუნის წინათ ამ გამოფენაზე ქართველი საზოგადოება პირველად გაეცნო ახალგაზრდა მხატვარ გრიგოლ მესხის პორტრეტებსა და ეტრუდებს.

მათ შორის უდიდესი მოწონება დაიმსახურა „უცნობი ქალის პორტრეტი“, რომელიც რევოლუციამდელი ქართული პორტრეტული მხატვრობის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია და ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია.

პორტრეტში მთელი სისრულით გამოძვლავდა ახალგაზრდა ავტორის პროფესიული ცოდნა და ინდივიდუალური შემოქმედებითი ხასიათი. ნაზი და მშვიდი ფერადოვანი პარმონიის თავისებური აღქმა, რაც ასე კარგად გამოვლინდა მხატვრის ფერწერაში, ცხადყოფდა იმ დახვეწილ გემოვნებსა და მხატვრულ ოსტატობას, რომელიც თან მიჰყვა ხელოვანს მოწინავე რუსული რეალისტური სკოლის კედლებიდან. მთავარი, რაც პორტრეტის ხილვისას იგრძნობოდა, ეს არის პოეტური განწყობილების სიღრმე და პლასტიკურობა. მხატვრის ყურადღება ძირითადად შინაგანი ფსიქოლოგიური არსის გახსნისაკენა მიმართული. სავარძელში მჯდომი, მწვანე ხავერდის კაბით მოსილი ახალგაზრდა ქალის ზეაწეული თავის მოხდენილ დაჭერა, ღამაზი სახის სინატიფე და სინორჩე, რაც ხაზგასმულია ფერების მეტად რბილი ვადავლებით, ამაყად შობარაში მოვილი თვლების სხივონობა მკაფიოდ გვიჩვენებს ქალურ სინაზეს და კდემამოსილებას.

1909 წელს გ. მესხმა მუშაობა დაიწყო ხატვის მასწავლებლად თბილისის აღ. ყაზბეგის სახელობის ქალთა პროგნაზიაში; ამასთან იგი მიიწვიეს ქართული დრამის თეატრში, სადაც ორი წლის მანძილზე თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა მხატვარმა-დეკორატორმა. ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწის ვალერიან გუნიას სამართლიანი აღნიშვნით, გ. მესხი იყო ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი თეატრალური მხატვარი. „გრიგოლ პარტენის ძე მესხი (მხატვარი), — წერს ვალერიან გუნია, — 1909 წელს იყო ჩვენთან, ქართულ თეატრში, მთავარ დეკორატორად... თავის მოვალეობას ყოველთვის ასრულებდა იშვიათი კეთილსინდისიერებით და მხატვრული ალღოთი, რისთვისაც ჩემვან, როგორც მხატვრული რეჟისორისაგან და ყველა თეატრის მსახიობთაგან იწვევდა გულწრფელ მადლობას და პატივისცემას“. თეატრში მუშაობამ და ქართული თეატრის ბრწყინვალე წარმოადგენლებთან დაახლოვებამ გ. მესხის შემოქმედებას იშთაიფივე იღვეურად მიზანდასახული ხასიათი მისცა. მხატვართა გადაწყვიტა შეემქნა თეატრის სახელოვან მოღვაწეთა სახეები და ამით ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში გარკვეული წვლილი შეიტანა.

1910-1911 წლებში გრიგოლ მესხი ქნის კოტე მესხის, ვასო აბაშიძის, ლაღო მესხიშვილის, ნატო გაბუნისა და მაკო სუფარივა-აბაშიძის პორტრეტებს (სამწუხაროდ, ორი უახსენსელი პორტრეტი ჩვენ დრომდე არ შემონახულია).

უფრო გვიან, თეატრალური მუზეუმის დაარსების პერიოდში (1927წ.) ეს სურათები გ. მესხმა მუზეუმს უსაცდლოდ გადასცა. „შენისთანა ხალხი, — წერდა გ. მესხი თეატრალური და ლიტერატურული მუზეუმის დამაარსებელი დ. არსენიშვილი, — მე მაღვრთოვნებდა და მიმსუბუქებდა სათეატრო მუზეუმის დაარსების საქმეს, თორემ რა დამაარსებინებდა ორ მუზეუმს — სათეატროსა და სალიტერატუროს“, ხოლი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსადმი გაგზავნილი წერილში წერდა: „მან გა-

¹ „კავკაზი“ № 116, გვ. 3, 24 მაისი, 1909 წ.

აკეთა სამადლობელი საქმე და ხალხის მადლობა ეკუთვნის”.

კოტე მესხის პორტრეტი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია, ქართული რეალისტური პორტრეტული მხატვრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

პორტრეტის ფერწერა განსხვავდება „უცნობი ქალის პორტრეტის“ შესრულების მანერისაგან. მხატვარს ეს ტილო დაწერილი აქვს მუქ გამაში, ღრმა ჩრდილების გამოყენებით. მუქი ტონალობიდან გამოიყოფა მსახიობის ნაოლი სახე. კედლის მუქი ფონი საერთო ტონალობას არ ეთიშება, ხოლო მარჯვენა მხარეს მინიშნებული ფარდის ნაწილი ფრწყმის-სურათის საერთო კომპოზიციის და აძლიერებს პიროვნების პროფესიულ დახასიათებას. ფერების მკაცრი გაბანინებებს კონკრეტული პიროვნების მტიკცე და ენერგიულ ხასიათზე. ტილოზე წარმოდგენილია დაუღალავი თეატრალური მოღვაწე, ქუთაისის პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი კოტე მესხის ახივან და ბრგე ფიგურაში, მოღიბარ, მაგრამ მკაცრ სახის ნაკვეთში მხატვარმა გადმოსცა არა მარტო დამახასიათებელი გარეგნული ნიშნები, არამედ გახსნა მგზნებარე მსახიობის და მოქალაქის მდიდარი შინაგანი ბუნება.

კოტე მესხისა და უცნობი ქალის პორტრეტები წარმოდგენილი იყო ქართველ მხატვართა სურათების გამოფენაზე მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის მეორე დეკადაზე.

მომდევნო წლებში მხატვარმა შექმნა ქართული თეატრალური კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების ვასო აბაშიასა და ლადო მესხიშვილის პორტრეტები. ამჟერადაც მხატვარი ცდილობდა მოენახა სადა, მაგრამ ემოციურად მტყვევლი ფერთა პარმონია, რათა ფსიქოლოგიური და მკურებლობით გადმოეცა შესანიშნავი მსახიობების სახეები. სურათების დამთავრება მხატვარმა ვერ მოახერხა მსახიობა მოუცვლელის გამო. ვ. აბაშიას პორტრეტში მაინც შესძლო ეჩვენებინა მოსუვენარი, დაუსურტული ენერჯითა და ხალისით აღსავსე ადამიანის შთამბეჭდავი სახე, ხოლო ლადო მესხიშვილის პორტრეტში — მრავალი წლის რთული და დაძაბული მუშაობით მოქანცული, ჟანტატხილი, მაგრამ მიზანსწრაფივით აღსავსე კეთილშობილი ადამიანი.

1911 წელს გრიგოლ მესხი გადავიდა ქუთაისში და დაწყო ხატვის მასწავლებლად მუშაობა ქუთაისის გაჟთა რეალურ სასწავლებელში; ამავე დროს ვალერიან გუნისის მიწვევით თანამშრომლობდა ქუთაისის თეატრში. ქუთაისში მთელი დრო ჰელაგოვიურ და თეატრალურ მოღვაწეობას მიჰქონდა და ფერწერისათვის მხატვარი ნაკლებად იცვლდა. ამ პერიოდის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის პორტრეტი. აქვე დაწყო აკაკი წერეთლის პორტრეტზე მუშაობა, მაგრამ ვერ დაასრულა პოეტის მოუცვლელის გამო.

ქუთაისში გ. მესხის გაეცნო და დაუმეგობრდა ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს, რომლის ლექსებით აღტაცებული იყო. ამ მეგობრობის შედეგია გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტ-ეტუდი (1912 წ.). სსაფლას პეიზაჟის ნახ ფონზე მსუბუქი და რბილი ფერყე-



გ. მესხი შემოქმედებით ძიებაში

რული მანერით გამოსახულია პოეტის ფიგურა. გალაკტიონი დაფორტული დვას, წინა პლანზე მიჩანს საფლავის ქვა. პოეტის მზერა მშვიდია და კავშირში. მგონის რომანტიკული განწყობილება, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო „მე და დამისა“ და „მესაფლავის“ ავტორისათვის შემოქმედების ადრეულ პერიოდში, სურათში კარგადაა გადმოეცეფული.

1914 წელს გრიგოლ მესხს გალაკტიონ ტაბიძის კრებულიის ყდის მხატვრული გაფორმება დაავალეს. ეს იყო გ. ტაბიძის ლექსების პირველი შეასრულია და შესაფერისი მხატვრული ფორმის გამოქმენით წარმატებასაც მიაღწია. ქნარზე დამკვერტი მწუხარე ქართველი ქალი, რომელიც სვედიან სიმღერებს მღერის, სწორად ხსნის კრებულის შინაარსს და გვანიშნებს მხატვრის გრაფიკული გამოსახვის კულტურასა და გემოვნებას.

მოღვაწეობის ქუთაისის პერიოდს მიეკუთვნება სურათი „ამიანში“, მხატვარ დ. წერეთლის პორტრეტ და რამდენიმე ეტიუდი.

იმ ხანებში გ. მესხის ინიციატივით, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში გაიმართა ახალგაზრდა ქართველ მხატვართა გამოფენა, მაგრამ გამოფენას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გ. მესხის შემოქმედება ახლებური გზით წარმარ-

თა, გაფართოვდა და გაღრმავდა მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც.

1921 წელს საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისიარატის მიერ გ. მესხის გადმოყვანილი იქნა თბილისში, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1924 წლამდე. 1923 წლიდან 1936 წლამდე, მიხეილ მრევლიშვილთან ერთად, მუშაობდა ლექტორად სახვითი ხელოვნების დარგში სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზე, ამავე დროს მასწავლებლობდა მესამე საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში.

გ. მესხმა იშვიათი ენთუზიაზმით მოკიდა ხელი მშრომელ ახალგაზრდობაში სახვითი ხელოვნების სიყვარულის დაწერგვის საქმეს. ამასთან ახალი ენერგიით შეუდგა სოციალისტური სინამდვილის მხატვრული ასახვის ხერხების ძიებას. მხატვარმა სწორად გაიგო ის ამოცანები, რომლებიც საბჭოთა სინამდვილემ ხელგაშტაა წინაშე დაყენა და პირველი დღეებიდანვე კვეთის სოციალისტური გარდაქმნისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მხატვრის შემდგომი მუშაობისათვის ს. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებას „ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“. გაფართოვდა მხატვრის თემატური არე და შემოქმედებითი დიაპაზონი. ახალმა შინაარსმა ახალი ფორმები მოსთხოვა მხატვარს და იგი მუშაობას იწყებს მრავალფეროვან კომპოზიციურ; მათ შორის აღსანიშნავია „ფილიპე მასარაძე მშრომლებს შორის“ (1924 წ.), რომელიც წარმოადგენს იყო ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე. სურათი გამოირჩევა პოლიტიკური სიმბახვილითა და თემის ახლებურად გადაწყვეტით. რევოლუციური თემატიკას მიუღწევა მხატვარმა მიხაკაიას პორტრეტით და ალგორითული ხასიათის ნაწარმოები „კაპიტალისტური მასყარა“ (1924-27 წ. წ.).

1935-36 წლებში მხატვარმა შექმნა ქართველი და კავკასიელი ტიპების (კახელი გლეხის, გურული და სვანი მამაკაცის, იმერელისა და დებელი ქალის) ენთოგრაფიურად საინტერესო პორტრეტები, რომლებიც გამოირჩევიან ნაციონალური კოლორიტითა და კუთხური თავისებურებით. ეს ნაწარმოებები ამჟამად ენოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

გ. მესხის ამ ხანის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „რაჭველი კოლმურნის პორტრეტი“ (1937 წ.) ამ ტილოზე ავტორმა გამოხატა საბჭოთა სოფლის მშრომლების ხალხობრივი შრომის პერიოდი; რაჭველი გლეხის სახე უაღრესად კოლორიტულია. იგი ხელდება ვიწრო დახასიათებას და იქცევა საკოლმურნეო შრომის გმირის ზოგად ტიპად, რომელშიც განსახიერებელია საბჭოთა ადამიანის დამასიათებელი შესანიშნავი თვისებები. მხატვრული ჩანაფიქრის ხანზორციელებისათვის მხატვარმა მოქმენა დინამიური კომპოზიცი, წინა პლანზე გამოსახულია კიბის მოაჯირზე ნახევრად ჩამოყვადარი ჰუარა გლეხი. მისი თავისუფალი პოზა, ჭკვიანი მზერა, მკაფიოვლი გაღიშება გამომხატავს სურათის საერთო იდეას. ეს არის მზისგან გარკვეული და ხელმედაყოფილი, მრავალჭირგამოვლილი, მაგრამ ამჟამად ბედნიერი ადამიანი. ფიგურის თემას ორ-

განუღად ეხამება ნახი და ფერადოვანი ფონი, ღრმა და პაეროვანია უკანა პლანი — ოდებითა და ემოციური დაწვევებით ნებული რაჭველი სოფლის ლამაზი ხედი, სიმინდის ყანებითა და მწვეან გორაკებზე.

ამავე წლებში მან შექმნა კოტე მარჯანიშვილის (1935 წ.), ივანე ჯავახიშვილის (1937 წ.) და სანდრო შანშიაშვილის (1943 წ.) პორტრეტები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწარმოებებში მხატვარმა ვერ შეინარჩუნა კლასიკალი ფერწერული მეთყველობა, თავი ვერ აარიდა ერთგვარ სიმშრალეს წერის მანერაში.

სამამრელო ომის პერიოდში გ. მესხმა დაწერა მეომრების პორტრეტები — „საბჭოთა კავშირის გმირი გოცირიძე“, „გენერალი ჩანჩიბაძე“, „ორდენოსანი მფრინავი დ. ჩხიკვიანი“ და სხვ.

ომის შემდგომ პერიოდში გ. მესხი კვლავ გატაცებით მუშაობს პორტრეტზე და სურათებზე. ეს არის „ჩაის მკერფავი ქალები“ (1947 წ.), „ნორჩი მხატვარი ბიჭური გოგონა“ (1949 წ.), „პირველი ქართველი მფრინავი ქალი რუსულან ჟორდანიანი“ (1957 წ.), „ალექსანდრა ჯავახიძის პორტრეტი“ (1955 წ.), „ბედაგოვი ქეთევან ანანიაშვილი“ (1957 წ.), „შემოქმედებითი ძიებაში“ (1957 წ.), „ნორჩი მხატვარი ბიჭუნა“ (1958 წ.), „ფესტივალის მონაწილე გოგონა“ (1958 წ.) და სხვ.

ამ სურათებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია პირველი ქართველი მფრინავი ქალის რუსულან ჟორდანიანის პორტრეტი. ფიგურის მოძრაობა, რაც ძირითადად გადმოცემულია მოძრუნებული თავის ძლიერ მონახაზებში, პორტრეტის შინაგან დინამიურობას ანიჭებს და პიროვნების ღრმა დახასიათებას იძლევა. პორტრეტი სინათლითა და უხვი პაერითაა სავსე. სახის ვარდისფერი ტონი ვაკოვეტილად ჩანს მოწვეანო-მონაცხისფრო ქურქისა და მივერცხლისფრო გამკვირვალე ფონზე. ნათელი საღებავებით შესრულებული ეს პორტრეტი ამაღლებული განწყობილებით ხასიათდება.

„ბედაგოვი ანანიაშვილის პორტრეტის“ კომპოზიცია, ერთი შეხედვით „უცხოების ქალის პორტრეტის“ გვეკონია, ნაცნობია პოზა, სხეულის მოძრაობა, საერთო განწყობილება, მაგრამ წერის მანერის მხრივ იგი ჩამორჩება მხატვრის აღნიშნულ ადრინდელ ნაწარმოებს. პორტრეტში არ ჩანს ის მძაფრი ფსიქოლოგიური დახასიათება, რაც „უცხოებ ქალში“ ასე მკაფიოდ გამოვლინდა. სახის პათეტური იერი ტოლგავს პორტრეტს უშუალობასა და ბუნდობის სიძაბის ტილოზე „შემოქმედებითი ძიებაში“ ავტორის უდიდესი გადმოცემა ნორჩი ხელოვანის წუთიერი შემოქმედებითი განწყობილება. პორტრეტის ფერადოვანი გამა — სახის ვარდისფერი ტონთან შესამებული მუქი შინდისფერი კაბა, ისფერ-ნაცრისფერი ფონი, საერთო პარზონიულ ტონალობას ქმნის. პიროვნების განწყობილება გადმოცემულია არა მარტო ფერთა ნიუანსებითა და სახის გამომეტყველებით, არამედ ფიგურის მოძრაობითა და კარგად შერჩეული კომპოზიციით. პატარა მაგიდის კიდე, რომელზეც ყვავილებით თავსული, ფუფუნაწაწაობილი ვაზა, სხატავი ქაღალდი და ფანქარი აწყობა, კედელზე დაკიდებული სურათები, აკონკრეტებს შემოქმედ გოგონას დახასიათებას.

მომდევნო წელს გ. მესხი ასრულებს პორტრეტს „ნორჩი მხატვარი ბიჭუნა“. პირველ ტილოზე მხატვრის ყურადღება თუ მუშაობის დაწყების წინა მიმდებარე იყო



გამაზღვრებელი, აქ შემოქმედებითი პროცესია აღბეჭდილი, ნორჩი ხელოვანის საინტერესო დახასიათება მოცემული. მაგრამ ფონი, რომელიც ბალის ხელს წარმოადგენს, საინათლო სიძლიერით არ არის დამუშავებული, რის გამოც არ იგრძნობა სივრცე, საჭირო პერსპექტივა და ჰაეროვნება.

პედაგოგიურმა მოღვაწეობამ განასაზღვრა მხატვრის შემოქმედების თმატურთი არე. როგორც ვხედავთ, ბოლო წლების მისი ტილოების ძირითადი თემა მოსწავლეთა ახალგაზრდობის ცხოვრებაა. ამ თემა უძღვნა მხატვარმა მრავალფეროვანი კომპოზიცია „პოლიტიკური სწავლება სკოლაში“, რომელზეც ამჟამად გატაცებით მუშაობს. დიდი ზომის ტილოზე გამოსახულია მოსწავლეთა ერთი ჯგუფის მეცადინეობა მექანიკურ სახელოსნოში, სახარტო დაგეგმვის. საინტერესოდ გადაწყვეტილი კომპოზიცია შეესაბამება და ხსნის მხატვრის მიერ გააზრებულ თემას და ნათელს ხდის სურათის იდეურ მიზანდასახულებას.

მსოფიანი მხატვარი კვლავ გატაცებით მუშაობს პორტრეტულ ძანრში. ზემოდინხმული ნამუშევრის გარდა, იგი მალე დასრულებს აკაკი ფაღავას და ვაჟიშვილის პორტრეტებს.



მიმდინარე წელს გრიგოლ მესხს შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის თომოცდაათი წლიი უსრულდება. 1909 წლიდან ის მოზარდებს არ მოსცილებია. გ. მესხი ჩვენი რესპუბლიკის სამხატვრო განალოების ერთერთი აქტიური მოღვაწეა. წლების მანძილზე მუშაობდა საერთო-საგანმანათლო სკოლებში, სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში, საქართველოს სსრ განალოების სახალხო კომისარიატის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგინტეში, კითხულობდა ლექციებს სკოლის ხატვის მასწავლებელთა კვლიფიციაციის ასამბლეებელ კურსებზე, აქტიურად მონაწილეობდა პროგრამებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავებაში და საყურადღებო წინადადებებით გარკვეული წვლილი შექონდა მათი სრულყოფის საქმეში.

თვრამეტი წლის მანძილზე გ. მესხი უცვლელად და გატაცებით ხელმძღვანელობს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტს, აღსაზრდელებს უღვიძებს ინტერესს და უნერგავს სიყვარულს სახეითი ხელოვნებისადმი, უნეთიარებს გემოვნებას, აიარალებს მათ თვორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძვლებით. წლების განმავლობაში გულისხმიერმა და მცოდნე პედაგოგმა ნორჩ ნიჭიერ მხატვართა რამდენიმე თომბა გამოავლინა და აღზარდა. მათი ნაწილი უკვე ცნობილ მხატვართა რიგებშია, ხოლო დანარჩენები ჯერ კიდევ სტუდენტის მერხს უსხედან. გოჯი თოთობიპე, ელგუჯა და მერაბ ბერძენიშვილები, ჯიხონს ხუნდაძე, თეონა ასიტაშვილი, რენო თურქია, გივი კემულავა, გივი მისსურაძე — აი ერთი ნაწილი ან ახალგაზრდა მხატვრებისა, რომელთა სახელებით სამართლიანად ამაყობს მსოფიანი პედაგოგი.

უტყუარი პედაგოგიური ალოს მქონე მხატვარმა გ. მესხმა კაბინეტის მუშაობა თავისებური მეთოდით წარმართა. ასაკის მიხედვით სამ ნაწილად (უმცროსი, საშუალო, უფროსი ასაკი) დაყოფილი წრის წევრები სხვადასხვა საათებში მეცადინეობენ. ნორჩი მხატვრები თავდაპირველად ფანქრითა და წყლის საღებავებით მარტივ მოდელებზე და ნატურმორტებზე იწყებენ მუშაობას. „დამწყებ მხატვრისათვის, — ამბობს გ. მესხი, — აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანია ხატვაში ვარჯიში. სწორედ ამ პროცესში უმუშავდება მას ნატურზე დავიკრების უარის, სწავლის ადამიანის ანატომიას, სხეულის ცალკეული ნაწილების სწორი ფიქსირებას, გეომეტრიული ფიგურების ზუსტად გადმოკვებას“. მაგრამ უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის გეომეტრიული სხეულის ან თამაშის მოდელის ხატვა მომბეჭრებელი ხდება. მაშინ პედაგოგი წინადადებას აძლევს მათ დახატონ რამიმე ფანტაზიით. ასეთი მეთოდი უძლიერებს ბავშვებს ინტერესს სახეითი ხელოვნებისადმი, უნეთიარებს ფანტაზიას და მესხიერებას.

სამუშალო და უფროსი ასაკის ბავშვებთან მუშაობა მარტო სახელოსნოში საქმიანობით არ ამორიყურება. ხშირად ნახვით მოზარდებს გ. მესხთან ერთად პიონერთა სასახლის ბაღში, ქალაქის პარკებში, თბილისის ვარუბანში, ზოთაპარკში, სადაც იანინი პედაგოგის უშუალო მეთოდალურებით და ხელმძღვანელობით აკეთებენ ეტიუდებს ისტორიულ ღირსშესანიშნაობებსა და ახალ მიმუხებლობებზე, ეცნობიან მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის გ. მესხს საქართველოს ნორჩ მხატვართა ნაწარმოებების მოზადებაში ბავშვთა სახეითი ხელოვნების ნამუშევართა საკავშირო გამოფენებისათვის. ამ გამოფენებზე, აგრეთვე მსოფლიოს ბავშვთა ნამუშევრების საზღვარგარეთულ გამოფენებზე, საქართველოს ნორჩ მხატვართა ნამუშევრებს არაერთხელ დაუშასხურებიათ უმაღლესი ხარისხის პრემიები და ჯილოები. საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ც. კის მიერ გ. მესხი დაჯილოდებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ ნიშნით და საპატიო სიგელებით.

გ. მესხი რესპუბლიკურ თუნდალ-გაზეთებში ხშირად ათავსებს წერილებს ახალგაზრდა მხატვრების აღზრდის საკითხებზე. ხანგრძლივი და უმრავლყო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის გ. მესხს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, გ. მესხი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მხატვართა კავშირის მუშაობაში და ყოველდღიურ საქმიანობაში. გ. მესხმა, როგორც ჩვენი რესპუბლიკის უხუცესმა მხატვარმა, გასნა მხატვართა მესამე და მეოთხე ყრილობები.

გრიგოლ პართენის ძე მესხი, რომელიც 75 წლის ასაკში კვლავ ახალგაზრდული ენერჯითა და გატაცებით განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობასა და პედაგოგიური მოღვაწეობას, ხალხისადმი უნეგარო სამსახურის მავალითს წარმოადგენს.



კულტურის კიდევ ერთი ახალი კერა

ნუნუ ბერძენიშვილი



ვარელი... ულამაზესი კუბე მადლიან კახეთისა გრივლ ორბელიანის თქმით — „მზრწყინავი კახეთის თვალ“, დიდი ილიასა და სახელმწიფოელი ქართველი რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის მშობლიური სოფელი...

საზეიმო ვითარება 12 და 13 ივნისს ყვარელში. 14 ივნისს აქ იხსნება კოტე მარჯანიშვილის სახლი-მუზეუმი.

ქუჩაში გადაჭიმული ტრანსპარანტები, დროშებითა და ელნათურებით მორთული სახლები სადღესასწაულო იერს აძლევს ამ პატარა, მაგრამ ღამაზსა და მომიზიბულ სოფელს. სოფლის მოსახლეობას, კაცსა თუ ქალს, დიდსა თუ პატარას, სახეზე აღბეჭდილია ეს საზეიმო განწყობილება.

ყვარლის მეკიდრნი ტრადიციული სტუმართმოყვარეობით ხვდებიან სტუმრებს. მადლიერების გრძნობით სურთ უმასპინძლონ მათ, ასე რომ დაფასეს და პატივი სცეს თავიანთ თანამემამულეს, დიდ ხელოვანს, — კოტე მარჯანიშვილს.

12 და 13 ივნისს ყვარელს ეწვივნენ კოტე მარჯანიშვილი

თამარ ჭავჭავაძე, ვასო გოძაშვილი და გერტო ახჯაფარიძე იქსპონატს.



ლის მოწვევები მისივე სახელობის თეატრიდან, რომელმაც ყვარლის კულტურის სახლში კოტეს მიერ განხორციელებული სპექტაკლების — „სურვილ აკოსტასის“ და „ყვარყვარი თუთაბერის“ ფრაგმენტები წარმოადგინეს. უელს სცენური სიციხისის მშენებლისა და მისივე მარჯანიშვილისეული „სურვილ აკოსტა“ და, აი, მისმა მოწვევებმა ეს ქსენობა კვლავ გააცოცხლეს თავიანთი დიდი მასწავლებლის მშობლიურ სოფელში.

გათენდა 14 ივნისი... ყვარელში ნამდვილი სახალხო ზეიმი გაიმართა. სოფელში შემოსასვლელი შარავნები აიკისო ზეიმზე მომავალი ქვეითი მგზავრებით, მსუბუქი და საბარგო მანქანებით, სპეციალურად ზეიმზე დამსწრე ხალხისათვის განკუთვნილი ავტობუსებით. პაეუნი ისინიდა თბილისიდან მომავალი თვითმფრინავების გუგუნი. ზეიმზე მოიქაროდნენ სიმღერით, ყიყინით... სწორედ ეს მზიარული, უჩვეულო ხმაური, ქუჩაზე გამოფენილი სადღესასწაულოდ მოკაშული ხალხი ქმნიდა ნამდვილ საზეიმო განწყობილებას, რაც ასე ძლიერ უყვარდა თვით მარჯანიშვილს.

ყველა, ჩამოსული თუ ადგილობრივი, სახლ-მუზეუმისაკენ მიემართება. ზეიმზე, გარდა მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივისა, ჩამოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კულტურის სამინისტროს, მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები. რუსთაველის სახელობის, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის, თელავის სახელმწიფო თეატრებისა და კინომუშაკთა დელეგაციები. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების პასუხისმგებელი მუშაკები. თეატრმცოდნეები და საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის თანამშრომლები.

ზემოაღნიშნულ ოფიციალურ პირთა გარდა, ზეიმს მრავლად დაესწრო თბილისისა და სხვა რაიონების მშრომელი და ინტელიგენცია.

კ. მარჯანიშვილის ევოს ჭიჭიართან, ქუჩაზე, სპეციალურად ამ დღისათვის გამართულ იქნა ტრიბუნა, რომელზედაც აღმართული იყო კოტეს დიდი პორტრეტი. სწორედ აქვე გაიმართა ხალხმრავალი მიზევიანი. სიტყვებით გამოვიდნენ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი — ალიხან ავაზაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — დავით ჩხივიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტები — ვ. ავაფარიძე და ავ. ხორავა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი — თ. ჭავჭავაძე და პოეტი ი. ბეროშვილი.

სრულ ორ საათზე გაიჭრა ლენტი და დაიწყო ხალხის დენა კოტეს სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად.

სანამ მზახველ შეეცვებოდა და აღჭურვდით სახლ-მუზეუმის ექსპოზიციას, რამდენიმე სიტყვით შეეცხით თვით ამ შენობას.

სახლი, რომელშიაც დაიბადა და აღიზარდა კ. მარჯანიშვილი, წარმოადგენს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საცხოვრებელ სახლთა ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლს. ეს არის დიდი, ორსართულიანი შენობა, რომელსაც ორი მხრიდან გარს უჭლის ფართო აივანი — დამყარებული სვეტებზე. ქვის სვეტებისა და ხის აივნის შენაშენა მეტად თავისებურ იერს აძლევს ამ სახლს, რომელიც ერთგვარად წარმოადგენს ამპიის სტილის თავისებურ გადამუშავებას ქართული ხუროთმოძღვრული კულტურის საფუძველზე.

ქვედა სართულში, რომელიც ზედა სართულზე მალაქჭერიანია, მოთავსებულია მარანი. ამავე დროს იგი გათვალისწინებულია შტრის თავდასმის დროს საიმედო თავშესაფრად, მას შემორჩენილი აქვს სათოფურები. მარანი შეტად საინტერესოდ არის მოწყობილი. იგი მრავალსაუკუნოვანი ქართული მეღვინეობის ძველსძველი კულტურის გამომხატველია. მარანში ჭბაქუკი მარჯანიშვილს გამართული ჰქონდა თეატრი. ახლა ეს სცენის ნაგებობა აღდგენილია იმავე სახით, როგორც ეს გასული საუკუნის 90-ან წლებში გიმნაზიელ კოტეს ჰქონდა. სცენის ნაგებობა მარანში, ფოტოსურათის მიხედვით, სახლ-მუზეუმს აღუდგინა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა.



ქ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის ერთ დარბაზში

მნახველის წინაშე აქ იხსნება ამალეღვებული სურათი იმ ვარემოსი, სადაც ყალიბდებოდა, იწრობოდა ჭბაქუკი მარჯანიშვილის თეატრალური მისწრაფებანი. აქვე, ლამაზად გაორჩებულ ვიტრინებში, გამოფენილია ბერიკების ტანსაცმელი და ნიღბები. ეს თითქოს გახსენებაა მარჯანიშვილის დიდი ინტერესის ქართული თეატრის ხალხური საწყისებისადმი და თუ დღეს კიდევ სადმე შემორჩენილია ქართული ხალხური ნიღბების საიმპროვიზაციო თეატრის წარმოდგენები, ეს, უპირველესად ყოვლისა, ყვარლის რაიონშია. ამიტომაც გასაგებია, რომ მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში ბერიკაობის ამსახველი მსალები დიკავებენ მნიშვნელოვან ადგილს. ამიტომა, აქ, თავის დროზე, კიდევს დაამუშავებს ქ. მარჯანიშვილის სიტყვები: „აიღეთ ჩვენი დღეობები, ჩვენი გამაირება, ფერხული, გაყოფა ქორისი ორ მოკამათე ჯგუფად, მაყრობა, ბერიკაობა, რამდენია ყველა ამათში თეატრალური და ორიგინალური როფუნდი. ერთი მისი პატარა ნაშთი—ოდნავ გვახსოვს—ეს იყო ყვენობა, ეს იყო თეატრი, ნამდვილი თეატრი, რომელიც ასე უმოწყალოდ იყო მოკლული მეფის ძაბანებით“.

მარჯანიშვილმა ხომ თავისი თეატრის ფოიე მოახატინა ლაღო გუდაიშვილს ბერიკაობის ამსახველი სცენით. რა კარგი იქნებოდა, რომ ეს ფრესკა აღდგეს ყვარლის სახლ-მუზეუმის მარნის თეატრში.

მარნის მეორე განყოფილებაში ჩვენ ვხვდებით ეკრანს. აქვე, ექსპონატება, რომლებიც ასახვენ მარჯანიშვილის მოღვაწეობას კინოხელოვნებაში. ალბათ, შემდეგში, მნახველები აქ ნახავენ ქოტეს მიერ განხორციელებულ ფილმებს, ჯერჯერობით კი ისინი კმაყოფილებიან სახელგანთქმული ყვარული დღისნი—კინამარტულის ტანსაცმით. სახლ-მუზეუმის მეორე სართულში გაშლილია ექსპონიტი, რაც რამდენიმე განყოფილებად არის დაყოფილი. პირველი განყოფილებაში მნახველები ათვისებენ მარჯანიშვილის ოჯახური ვარემოს წარმომსახველ ექსპონიტი. ფოტოსურათებით წარმოდგენილი არიან კოტეს მშობლები: ლიზა სოლომონის ასული ჭაჭუკაძე და ალექსანდრე ანდის ძე მარჯანიშვილი. პაპა—სოლომონ ჭაჭუკაძე, კოტეს და-ძმა: თამარი, ნინო, მამო და ვლადიმერი.

მათივე გვერდითაა ფოტოსურათები კოტეს ახლო ნათესაგებისა (დიდა — ეკატერინე აბელაშვილი, დეიდაშვილი — მარიამ საფარივა-აბაშიძისა, მამიდაშვილები — ვენეცია, სერგი, კოტე და დავით მესხები; ბ. გამრეკელი, გ. ანჯაფარიძე), რომელთა უმრავლესობა სამშობლოს ამპლადარი ადამიანები, ხელოვნების ცნობილი ოსტატები არიან. აქვეა მარჯანიშვილის პორტრეტი შესრულებული მხატვარ გ. მეძმარიაშვილის მიერ. დასასრულს ამავე განყოფილებაშია ფოტოსურათი სცენისა სპექტაკლიდან „სასკოლო წყვილი“, რომელიც ჭბაქუკმა კოტემ ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს დაღა და რომელშიც გიმნაზიელის როლი თვითნვე განასახივრა. ცნობილია, რომ ეს პიესა წარმატებით იდგებოდა ყვარელსა და თელავში.

ქ. მარჯანიშვილის მოღვაწეობა ქართულ თეატრში მე-19 საუკუნის 90-იან წლებში — ამ თემას ეთმობა გამოფენის მეორე განყოფილება. აქ გამოფენილია ფოტოსურათები ცნობილი თეატრალური მოღვაწეებისა (ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ნ. საფარივა-აბაშიძისა, ნ. გაბუნია), რომლებიც კოტეს პირველი თეატრალური მსწავლებლები იყვნენ და დიდი როლი ითამაშეს მისი, როგორც მსახიობის ჩამოყალიბებაში. პირველი როლი, რომელიც ქ. მარჯანიშვილმა ქართულ სცენაზე წარმატებით შეასრულა, ეს იყო პატარა ქათამი ავ. წერეთლის ამავე სახელწოდების დრამატულ პოემაში. გარდა პატარა ქათამისა, აქვეა რეცენზიები და პროგრამები იმ წარმოდგენებისა, რომლებშიც მარჯანიშვილი მონაწილეობდა. ამავე განყოფილებაშია გამოფენილი ქართული ერის სასიქადლო შვილების — ილიას, აკაკის, გ. წერეთლის, ს. მესხის სურათები, რომელთა შემოქმედებამ დიდად შეუწყო ხელი ქ. მარჯანიშვილის მოქალაქეობრივი და მხატვრული მრწამსის ჩამოყალიბებას. აქვე შეუმღებელია მნახველის ყურადღება არ მიიპყროს რ. სტურუს მხატვრულმა კომპოზიციამ — „ავ. წერეთელი და ქ. მარჯანიშვილი უსმენენ მიხუტ მფანადურეს ქალაქის ტუნაში“.

მესამე განყოფილება მოგვითხრობს რუსულ სცენაზე კოტეს მოღვაწეობას (1904-1922 წ. წ.). აქვეა კოტესა და



ქ. მარჯანიშვილის საზღმურეუმის გახსნა ყვარელში



ტრიბუნაზეა ყვარლის რაიკომის მდივანი ამზ. ი. ავაზაშვილი



ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გ. ანჯაფარიძე

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკ. ზორაძე

წიგნების სტენდთან





მაქმი ვორკის ურთიერთობის ამსახველი ექსპონატები. ვორკისთან მუშაობამ გარკვეული გავლენა მოახდინა კოტეჯე იმ მხრზე, რომ მის შემოქმედებას რევოლუციური ხელისუფლება და რეალისტური მიმართულება მისცა. ამავე განყოფილებაში ვხვდებით კ. სანაძის მიერ შესრულებულ კომპოზიციას — „კ. მარჯანიშვილის დაკვეება მაქსიმ ვორკის დაბატონებისას რიგაში 1905 წელს“.

ჩოქოვი ცნობილია, მარჯანიშვილი 1909-1912 წლებში მუშაობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში, სადაც მან რამდენიმე დამოუკიდებელი დადგმა განახორციელა. გამოიყენებდა მხანველი ხედავს ხედავსაგა ეპიკოსს ამ დადგმაში. კერძოდ, გამოიყენილია რუბინის მიერ შესრულებული ესკიზების პირები მარჯანიშვილის დადგმისათვის — „პერ-გუნტი“. აქვე ვხვდებით მრავალ ფოტოსურათს, რომელიც ასახავს მარჯანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლს — „ცხოვრების ბრწყინებში“. იგი ათეული წლების მანძილზე ცოცხლობდა სამხატვრო თეატრის სცენაზე სხვათაშორის, ეს სპექტაკლი თეატრმა 1925 წელს, თავის გასტროლებისას თბილისშიაც ჩამოიტანა). აქვე ვხვდებით ინგლისელი რეჟისორის ე. კრევის მიერ ხეზე ამოკვეტილი ფიგურებს — „მომტრალი ქალები“, „ჰამლეტიდან“. აქვეა კოტეს მიერ კ. თბილისში, 1912 წ., დადგმული „ოიდიპოს მეფე“. ნათელ წარმოდგენას აძლევს მხანველს მარჯანიშვილის „თავისუფალ თეატრში“ მუშაობის (1913 წ.) ამსახველი ექსპონატები, რომლებზეც საკმარისადაა წარმოდგენილი გამოფენაზე. აქ არის ცალკეული წარმოდგენების ესკიზებიც და „თავისუფალ თეატრის“ ფარა, შესრულებული მხატვარ სომეხის ესკიზით (ფოტოსურათი).

შედაბრებით უფრო მკრთალად არის ასახული მარჯანიშვილის მოღვაწეობა მუსიკალურ თეატრში, კერძოდ, ოპერებში (პეტროგრადში) მუშაობის პერიოდი. ამ დახატვის, იმიტომ, მუზეუმი შევღებოთ შეავსებს, რათა მხანველს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა ჰქონდეს დიდი შემოქმედის მიერ გაწეულ შრომაზე ამ მხრივაც.

კ. მარჯანიშვილი ერთ-ერთი პირველიაა, რომელმაც ხელოვნება სოციალისტური რევოლუციის ინტერესებს დაუკავშირა და აქტიური როლი ითამაშა ახალი, საბჭოთა თეატრის შექმნის საქმეში. მან ახალი, რევოლუციური სტრუქტურებით გაჯინდა ლოზე დევეკას „ცხვრის წყაროს“ ცნობილი დადგმა (ქ. კიევი, 1919 წ.), რომლის ექსპონატები საკმარისადაა გამოფენილი ამ განყოფილებაში.

ექსპონიციის მეოთხე განყოფილება ასახავს მარჯანიშვილის საქართველოში დაბრუნებას და მის მოღვაწეობას ქართულ საბჭოთა თეატრში.

ამ განყოფილების დასაწყისში ვხვდებით კ. სანაძის დიდ ტილოს — „კოტე მარჯანიშვილი „ცხვრის წყაროს“ რეჟეტიონზე“. ამას გარდა, ამავე განყოფილებაში წარმოდგენილია მაკეტები „ცხვრის წყაროს“, „მზის დაბნელება საქართველოში“ (მხატვარი სიღამონ-ერისთავი) და „ჰამლეტის“ (მხატვარი ირ. გამრეკელი). აქვე დიდი ადგილი აქვს დათმობილი კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლების დეკორაციული გაფორმების ესკიზებს, რომელნიც მხატვრებს ლ. გულიაშვილს, ირ. გამრეკელს, მ. შავიშვილსა და ნ. უშინს ეკუთვნის.

შემდეგი, მეხუთე განყოფილება, ასახავს კოტეს „მე-

ორე სახელმწიფო თეატრში“ (შემდეგში მარჯანიშვილის სახ. თეატრი) მუშაობის ხანას. აქ მხანველი ხედავს ამავე თეატრის სცენაზე კოტეს მიერ დადგმულ სპექტაკლების ესკიზებს, მაკეტებსა და ფოტოსურათებს. მხანველთა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე კოტესთან მრამუშავე მხატვრების დ. კაკაბაძის, ლ. გულიაშვილის, ე. ახვლედიანის, პ. ოცხელის ესკიზებიც.

კ. მარჯანიშვილი განსაკუთრებული მონდომებით მუშაობდა თანამედროვეობის ამსახველი ქართული ორიგინალური ბიესების დადგმებზე. მას ქართულ დრამატულ გეზთან — ზ. დადიანთან, პ. კაკაბაძესთან, კ. კალაშტანთან, დ. შენგელიასთან ახლო შემოქმედებითი კავშირით ბრწყინვალედ განახორციელა მათი ბიესების დადგმები, რაც სათანადოდ არის ასახული გამოფენის მეხუთე განყოფილებაში.

კ. მარჯანიშვილმა, როგორც დიდმა ხელოვანმა, ქართულ საბჭოთა თეატრს სახელი მოუხვეჭა რეპარტოლის გარეთაც (უკრაინასა და რუსეთში), სადაც შესწობა წარდგინა ქართული საბჭოთა თეატრი თავისი დირის მუხანიშვილი დადგმებით. სწორედ ამის დადსტურებაა ის მასალი, რომელიც გამოფენილია იმავე მეხუთე განყოფილებაში.

ქართული კინოხელოვნების, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგებში გაწეულ შრომაზე მხანველს წარმოდგენს უქმნის მეექვსე და მეშვიდე განყოფილებაში მოთავსებული ექსპონატები.

ქართულ სცენაზე მუშაობისას კოტეს არ გაუწყვეტია კავშირი რუსულ თეატრთან. ამის ამსახველია ექსპონიციონში წარმოდგენილი ვორკის, შაშვილისა და იხარის პიესებზე მუშაობა, რომელიც კოტემ განახორციელა მოსკოვისა და თბილისის რუსულ თეატრებში. აქვეა სურათები იმ დიდი ქართველი მიღვაწეებისა, რომლებიც კოტესთან ერთად მხარდასმარ იღვრდნენ ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის მშენებლობისათვის.

კ. მარჯანიშვილის გარდაცვალებით გამოიწვევია მრუხარების გამომხატველი მასალები მხანველი განაცდევინებენ იმ გულსტკივილს, რაც იმ ხანად განიცადა ყველა მისმა თანამემამულემ და მთელი საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაობა ფართო წრეებში.

მადლობის ღირსია ყველას რაიონის ხელმძღვანელობა, რომელმაც მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის შექმნის საკითხი აღძრა. კულტურის სამინისტრომ ყოველმხრივ ხელი შეუწყო კულტურის ამ ახალი კერის შექმნას და მუზეუმის მუშაების ქ. ხუციშვილის (დირექტორი), მ. ბუჯიაშვილისა და ნ. იაშვილის (მეცნიერმუშაკები) ენერგიულ შრომას უნდა მიეწიოს, რომ ჯერ კიდევ მხოლოდ გახსნისას, სახლ-მუზეუმში ასე მიღწერულად გამოიყურება და მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალმხრივი დახასიათებით აკმაყოფილებს მხანველის ცნობისმოყვარეობას.

დიდი დახმარება გაუწია მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმს მასალების მიწოდებით, რჩევითა და კონსულტაციით საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმმა (დირექტორი — გ. ბუნიაშვილი, სწავლულნი მდივანი — ჩხიკვაძე, მეცნიერმუშაკები — ტ. იაშვილი, ნ. ელიაშვილი).

აღსანიშნავია მხატვარ პეტრე ალვარადის მიერ გაწეული შრომა გამოფენის გემოვნებით გაფორმების საქმეში.



ორი კარგი სკამტაკლი

კოტე მესხი

ამ ბოლო წლებში საგრძნობი გარდატეხა დაეტყო ქართული ობერტის ყანრს, ამასთან ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრსაც, მკვირდარ ამაღლდა კოლექტივის პროფესიული ღონე. ასეი შეიქმნა ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალ-მსახიობებით, თეატრის ახალმა ზღმძღვანელობამ გადაწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა იმ მანკიერ, დიეტეტურ ჩვევებს, რომლებიც ავრე რიგად დამახასიათებელი იყო მუსიკალური კომედიის სპექტაკლებისათვის მთელ რიგი წლების განმავლობაში.

თეატრის ამ საფუძვლიანი შემობრუნების ნათელი მაჩვენებელი იყო ვასული სეზონი, თუნდაც მისი ორი სპექტაკლი — ორი ახალი ობერტა აღ. შვეერზაშვილის „აღლუმი“ (ლიბრეტო ჭ. გელიეშვილისა და კ. მაჰარაძისა) და შ. მილორაფას „სიმღერა თბლისზე“ (ლიბრეტო ლ. ჭუბაბრასის).

ბიესა „აღლუმის“ ქართულ სცენაზე დადგმას კარგა ხნის ისტორია აქვს. ცნობილმა მსახიობმა ვალერიან გუნიამ იგი ვაღმოაქცია-ვადმოქართულა ვ. ველიჩიკოს ბიესიდან „Маневры“. ქართულ თეატრში „აღლუმის“ დადგმის შესახებ გამოცხადებული იყო გაზუთ „ივერიის“ პირველ ვეერზე 1891 წლის 25 დეკემბერს. განცხადება ვაკეთებულა ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის საფაროვა-აბაშიძის სახეგნისოდ. ამავე გაზუთში 1894 წლის 11 თებერვალს გამოქვეყნებულია იგივე განცხადება ვ. გუნისას სახეგნისოდ.

1893 წლის 27 ოქტომბერს გაზუთ „ივერიის“ მეორე ვეერზე დაბეჭდილია რეცენზია თვით ამ ბიესაზე. რეცენზიის ავტორია „გარდაბეწული“. რეცენზიაში ნათქვამია: „კვირის წარმოდგენას ადრევე სიაზოვნებით მოველოდით. ეჭვი არა მქონდა, რომ სამხიარული კომედია „აღლუმი“, სავეუ თასის სასაცილო წარმომარეობით, სწორედ რომ საუცხოოდ იქნებოდა წარმოდგენილი. და ჩვენმა იმედმა არც გვიტყუნა. მართალია, ქართულს ნიადაგზე ძალად ვადმონაყუფებრებული რუსული ბიესა, როგორღაც სრულიად ვერ არის გამომხატველი ქართულა ცხოვრებისა. მართალია, ზოგიერთან კომედიის ავტორი სციდილობს საზოგადოება ვაამხიარულოს არა ისეთის კომიზმით, რომელიც თვით საქმის ვითარებისაგან ვამომდინარეობს, არამედ ზოგიერთ მოქმედთა უცნაურისა და უხიანის ხასიათით, მაგრამ მანაც ბიესა თვითონაც არ არის ლაზათსა და მარლიანობას მოკლებული.

...სცენები ქალბატონ საფაროვისა და ბატონ აბაშიძის წყალობით, სწორედ რომ მეუღარებულად იქნა წარმოდგენილი. ქალბატონმა საფაროვისამ, რომელიც, სამწუხაროდ, იშვიათად დაგვიხანგება ხოლმე ქართულ სცენაზე, რანინისა მისწავლის კნაიანა ნუცას როლში სწორედ ალტაკებაში მოიყვანა საზოგადოება თავისი მოხდენილისა, ნიჭიერისა და ზომიერის თამაზობით. იმის სცენაზედ გამო-

ჩენამ, როდესაც ალტაკებული ტაშის კვრა და ყვავილები სირლად დაუწყეს, ნათლად დაანახა ყველას, თუ რადრმად აქვს ჩანერგილი საზოგადოებას ამ ნიჭიერ არტისტ-ქალის სიყვარული გულში“.

„აღლუმი“ მრავალი წლის მანძილზე იდგებოდა ქართულ სცენაზე. ამ ბიესის ვადმომკეთებელმა ჭ. გელიეშვილმა და კ. მაჰარაძემ ბიესის ქარვანი ვარკვეული ცვლილებები შეიტანეს. მაგალითად, ახალია სამხედრო ბანაკის სცენაზე ჩვენება, მსუბუქაშვილის წასვლა სურნელოვანი ყვავილის მოსატანად, ალიაქოთი ბანაკში. კომპოზიტორმა ა. შვეერზაშვილმა ამ ობერტის ლეიტმოტივად შეარჩია ცნობილი ქართული პანკი „ჩარი-რამა“, რომელსაც მარმისებური იერი მისცა. ლეიტმოტივი ორვანულად უკავშირდება ყველა იმ სცენას, რომელიც ჯარის მოძრაობას ასახავს. ლეიტმოტივი ობერტას პირველი აქტიდანვე გასდევს, მასზეა აგებული უვერტურად და ობერტის ფინალიც.

ობერტაში ვებვლება მოქმედ პირთა რამდენიმე წყვილი: ბეტრე რანინდაის ძმისწული ნუცა და პორუჩიკი მირვანდელი, ნუცას რეპეტიტორი თამარი და ექიმი ლევან საყვარელიძე, აზნაურ ლუკა მწიფარაშვილის ქალიშვილი ნოზა და აფთიაქარი ივლიანე ჭარბლაძე.

აღ. შვეერზაშვილის მუსიკაში არის არიები, კანცონეტები, ლუეტები და ანსამბლები (კვარტეტებისა და სექსტეტების სახით). განსაკუთრებით მიმოხედვილია ნუცას არიები პირველსა და მეორე აქტებში, გენერალ ჯანრხაძის არია ვალისის მოტივზე და რიტმზე და სხვ.

მხიარულ ტონებში დაწერილი ნუცასა და მირვანდელის ლუეტე, აგრეთვე თამარისა და ლევანის ლუეტე (პირველ მოქმედებაში), რომელიც თამარის ლირიულ არიას ეხმარება ამავე მოქმედების დასაწყისში.

აღ. შვეერზაშვილს გამოყენებული აქვს კულბეტური სახის ლუეტებიც, რომლებიც ჩვეულებრივ ცყვის ილეთებით მიაგრდება — ღიზასი და ჭარბლაძის ლუეტები პირველ და მეორე მოქმედებაში და სხვ. ყოველ აქტს აქვს თავისი მუსიკალური ფინალი, სადაც რეზოუმირებულია მოქმედების წამყვანი მოტივები. ყოველი არია თუ არიოზო ორვანულად უკავშირდება ობერტის მოქმედებას. ეს, ცხადია, მკვეთრი შემობრუნებაა ჩვენი ობერტის განვითარების იმ ეტაპიდან, როცა მუსიკა სპექტაკლის მხოლოდ თანსღებას წარმოადგენდა.

კომპოზიტორი კარვად ფლობს ხასიათების გამოკვეთის საორკესტრო ხერხებს, ასევე იჩენს დამახასიათებელი ინტონაციების შერჩევის უნარს. თამარისა და ლევანის ლუეტები ქალბატონი საყუთაცხოვრებო რომანსების პანგებზეა აგებული; მსუბუქაშვილის რომანის ქარვა აღებულა ძველი ბოშური მოტივებიდან. ყოფილი სემინარისტის აფთიაქარ ჭარბლაძის მუსიკალური სახის

შესაქმნულად კომპოზიტორმა გამოიყენა საექსლესო რე-
ჩიტატევიები ინერული მოწინილი ჰანგების დართით.

ბიესი და დამდგმელმა, საქართველოს სსრ დამსახურე-
ბულმა არტისტმა ზ. გამრეკელმა სპექტაკლი საინტერესო
სანახაობად აქცია. გამართლებული და დამაჯერებელი მი-
ზანსცენები წარმოადგენს მიმზიდველს ხდის. პერიოტიკე-
ბი თანმიმდევრულად მისდევნენ ერთმანეთს, გასაგებია
ყველა მოქმედი პირის ზრახვა და მისწრაფება. დადგამში
ბევრია ფუფქტიანი სცენა.

შემსრულებლებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს
ახალგაზრდა მომღერალი ე. გურაშვილი. დღეს იგი თეატ-
რის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია. კარგი ვარგეზობა,
მწვენიერად მჭერლი ლირიულ-კლორატურული სობრანო,
მოფიქრებული, მსუბუქი და მოხდენილი თამაში — აი ის
ფიესები, რომლებიც აგერეიგად მნიშვნელოვანია ოპე-
რეტის მსახიობისთვის. ვანსაკუთრებით ძლიერია მსახიო-
ბი ლორიულ სცენებში.

მსახიობი თ. ხელაშვილი ასრულებს გენერალ გულბათ
ჯანისხაძის როლს. იგი გამოირჩევა მკაფიო ექსტიკულა-
ციით, მეტყველი მიმოცით. თ. ხელაშვილის გენერალი ისე-
და ადამიანია, რომელიც ძალზე უფრთხილდება თავისი
მწღერის ღირსებას.

ო. ზახტაძემ კარგად განასახიერა პორუჩიკ ნესტორ
მირანდელის სახე. ზახტაძე უდავოდ მზარდი აქტიორია.
მას აქვს ჩინებული დიქცია, კარგი ტემბრის ტენორი, სცე-
ნოური ტემპერამენტი.

ა. ტურიაშვილის სახით მუსკომედიის თეატრს ჰყავს
ნიჭიერი კომედიური მსახიობი. მის მიერ წარმოდგენილი
პორუჩიკი ფ. მსუბუქაშვილი თავისი გვარის შესაფერი
ოფიცერია, რომელიც გატაცებულია საყოთარი ვარგეზო-
ბით. მისთვის ცხოვრების ალფა და ომეგა მხოლოდ დეზუ-
ბის ჟღარანი და ულვაშის აგრესია. მაგრამ ამ სპექტაკლ-
ში ა. ტურიაშვილი ზოგჯერ კარგავს ზომიერების გრძო-
ბას და ამით მსუბუქაშვილის სახე ზედმეტად გამარკებუ-
ლი გამოდის.

სპექტაკლის საერთო წარმატებას ხელს უწყობენ ივ.
ბაბაშვილი (თავადი პეტრე რაინდაძე), თ. კოდანიშვილი
(ლეილა — ბაბაღ), ი. ქუთათელაძე (ანზაური ლუკა
მწოდარაშვილი), ბ. იანვარაშვილი (ლუკას ცოლი რუსუ-
დანია).

სპექტაკლში ორგანულად ვერ არის ჩართული აფთია-
ქარ ილიანე ჭარხლაძის სახე, თუმც მის განსახიერებას
ბევრი აქტიორული ხერხი მოახმარა მსახიობმა ჯ. თალაკ-
ვაძემ.

აშკარად ვერ არის თავის სიმაღლეზე ცეკვები. იღეთე-
ბი სრულდება დუნედ, სისხარტეს მოყვებულთა ჩქარი
ტემპის ცეკვები.

* * *

...დარბაზში სინათლე ქრება. არც ერთი თავისუფალი
ადგილი. ამ დღესაც ანშლაგით მიდის წარმოდგენა.
პულტს დაკუყრება დრიფორი. მაყურებლის უკვე იყ-
როს უფერტობა. იხსნება ფარდა, სცენაზე მერე, თხე-
ლი ფარდა, რომელსაც აწერია — „გილოცავთ თბილისის
1500 წლისთავს“. გამჭვირვალე ფარდის უკან ვაისმის
ღამაში სიმღერა:

თბილისო, ჩემო თბილისო,
თვალთ ცხრათვალა მელისო,
ემში გაქვს თამარ ქალისა,
მუხლი ალგეთის მგლისაო.
ჩვენი რწმენა ხარ,
ჩვენი გული ხარ.
მითი გამობარა საქართველოს
თაიგული ხარ.

ისმემ ამ სიმღერას და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ
შოთა მილორავა ნიჭიერი ხელოვანია.

სცენაზე წარმატაქი სანახაობა: ტოტბშირი, ვაშლილი
ჭადრები, მათი ტროების საშუქტებში მოჩანს თბილისის
ხან ერთი, ხან მეორე ხედი. — რუსთაველის ბროსქექტი,
ჩამუქტებული მთაწმინდის კალთები, ცად აზიდული სატე-
ლევიზიო კოჭურბი, მრავალსართულიანი შენობებზე და-
მაგრებული ლიოთისის შილინი... მიდის სპექტაკლი „სიმ-
ღერა თბილისზე“. აი ამ სპექტაკლის სიუჟეტური ქარავც:
ახალგაზრდა, რომანტიულად განწყობილ პოეტს ზურაბ
თეთრაძეს უყვარს თავისი მეზობელი მოქანდაქე ეკა ლაღ-
ძე. რომელიც სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვშია. პირ-
ველსავე მოქმედებაში ირკვევა, რომ იგი კვლავ თბილისში
ჩამოიღის უკვე კურსდამთავრებული. ვაჟსა და ქალს ვა-
ნუზურახავთ 1500 წლის თბილისს მიუქმდნან თავიანთი
ნიჭის ნაყოფი: ზურაბი ლექსს ამთავრებს, ხოლო ეკას
ადამიანის ფიგურა გამოუქმნადაქვია.

ლიბრეტის ავტორს ლევან ტუბაბაძის კომპოზიტორი
ტოპაყე შეუქმნია. ზურაბის ღებდა, მისი ძმა — გურამი
მოქიქევე, დარღმინდი ახალგაზრდაა, რომელიც ქეი-
ფის გარდა ფულის იოლად შოვნით არის გატაცებული.
მზადაა ყველაფერი ჩაიღინოს ამ მიზნის მისაღწევად. და
აი შესაფერი შემოხვევა: თბილისში ნივითიდან ჩამო-
დიან თეთრაძეების ოჯახის შორეული მოვარეები — კა-
სიანე, მისი ცოლი კეკია და მათი შვილი ჰამლეტა, რომ-
ელიც უმაღლეს სკოლაში უნდა მოაწიონ.

მაყურებელი ეცნობა კომპოზიტორ ქალს თინა ჯაფა-
რიძეს და მის მამას, პროფესორს. თინამ დასწერა სიმღე-
რა, მაგრამ ტექსტი სიმღერისა ჯერჯერობით სრულად არ
აქვს. იგი დადაწვევებს ვაიციან მის მიერ მოწონებული
ლექსის ავტორი ზურაბ თეთრაძე, და დააწერინოს კიდევ
თუნდაც ერთი ტაკეტი. თინა მიდის ზურაბის ბინაზე. აქ
ხდება გაუგებრობა. გურამი, რომელსაც მოეწონებდა თინა
ჯაფარიძე, თავს ასალებს პოეტ ზურაბ თეთრაძედ, გადა-
წყვეტს გამოიყენოს ეს ნაცნობობა იმ მიზნით, რომ თინას
მეშეგობით მამამის მიადლებინოს ვეტინსტიტუტში ჰამლე-
ტა. ამაში გურამი ექმბს შემოსავლის წყაროს — კასიანე
მას „ფულიან კაცად“ ეგულება. თეთრაძეების ბინაზე ხვედ-
ბიან ეკა და თინა. ეკა უსაფუძვლო ეშვებს ელვეა, ეშვიან-
ნობა მოიკავს აგრეთვე ზურაბ თეთრაძესაც. ბოლოს კვან-
ძი იხსნება. ნათელი ხდება, რომ ზურაბისა და ეკას სიყვა-
რული უმწიკვლოა. წარმოდგენის ფინალში თინა ჯაფარი-
ძე იხიბლება გურამ თეთრაძის გამოწვეული გულახილ-
ლობით თავისი უქნარა ცხოვრების ვაიმ სინდისის ძლიერი
ქენჯნით და თანხმობას აძლევს ვახდეს მისი მეგობარი.

ბიესში მოქმედებენ აგრეთვე მოღებმის ამჟოლი ბიჭი
გია და თბილისის ძველი მოქალაქე. მათი სიუჟეტური ხა-



ზემიც ლოგოკურად უკავშირდება ლიბრეტოს საერთო აღნაგობას: სპექტაკლი ძირითადად ნათლად ავლენს ნაწარმოების ცენტრალურ იდეას. კომპოზიციური სტრუქტურა წარმოდგენისა საკმაოდ მონოლოთურიცაა. ამაში სათანადო წვლილი აქვს შეტანილი სპექტაკლის დამდგმელს, თეატრის მთავარ რეჟისორს შოთა მესხს, რომელმაც მთელი რიგი სცენების იდეური მიმართება გამოკვეთა და ისინი კონკრეტული, იოლად გასაგები გახადა.

ღეკან ჭუმბარბაის სასახელიდ უნდა ითქვას, რომ მაცურებელი გრძობის მოქმედი პირების ენობრივი თავისებურებას, მათ ინდივიდუალურ სპხოვანებას. მაგალითად, თეთრაძეების მეზობლების ვარლამისა და კატოს სალაპარაკო ენა ქალაქელი ოზიგატლისათვის არის დამახასიათებელი.

მასფრი სატირითა და გონებამახვილობით არის მოხაზული კასიანეს, კეკიასა და განსაკუთრებით ჰამლეტას სახეები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კომიზმის გაძლიერების მიზნით ლიბრეტოს ავტორი ზოგჯერ მიმართავს უხამს გამოთქმებს, რაც კომიზმის ძეხნის იოლი გზაა. ეს ტენდენცია საერთოდ დამახასიათებელი იყო ბევრი ქართული მუსიკალური კომედიისათვის, რომლებიც ამ თეატრში იდგმებოდა. ამ მხრივაც „სიმღერა თბილისზე“ მათზე ბევრად მაღლა დგას. საერთოდ, ლ. ჭუმბარბაის ეს ლიბრეტო ერთ-ერთი საუკეთესოა ქართული ოპერეტების ლიბრეტოებს შორის და მის ავტორს უნდა მივუთითოთ ამ ნაკლის შესახებ იმ მიზნით, რომ ქართული ოპერეტა საბოლოოდ განთავისუფლდეს ყოველივე უხამსობის „ტრადიციისაგან“.

სამწუხაროდ, ამ სპექტაკლში ვხვდებით კომიზმის გამომწვევს ისეთ ტრაფარტულ ქცევულ ხერხს, როგორიც არის მოქმედ ბიროს ერთმანეთში შეშლა. ამავე თეატრს გააჩნია „გაუგებრობაზე“ აგებული რამდენიმე სპექტაკლი. მართალია „სიმღერა თბილისზე“ ამ მხრივ მეტი ღირსებით განირჩევა, მაგრამ თეატრი ფაქტად რჩება.

სპექტაკლში გურამ ფორაძის ვარდარეცხა მკრთალადაა მომზადებული. ეს გაიძვერა, იოლ ცხოვრებას ნაჩვევი ახალგაზრდა მოულოდნელად ხდება პატისიანი.

სპექტაკლი კარგად მიიღო მასურებელმა, რაც ლიბრეტოს ხარისხზედაც მეტყველებს. ძალზე სასიხარულოა, რომ თეატრის ჰყავს ახალი შემსრულებელი ძალები, რომლებმაც გადაჭრით ზურგი შეაქციეს შაბლის, ვაკცევილ, დილტანტურ ხერხებს, რაც ეგზოტიკურ დამახასიათებელი იყო წარსულში ამ თეატრისათვის. ასეთ შემოპირუნებაში ცოტა ამაკო როდი მიუძღვის თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელობას.

ო. ბანატაძე მოსაწონად განასახიერებს პოეტ ზურაბ თეთრაძეს. მისი ზურაბი კეთილშობილი, მკუნებარე გულისა, ლაღი ბუნების და ცხოვრების მოტრფიალე ახალგაზრდაა. ვატაცვებით უმღერის იგი მშობლიურ ქალაქს მისი 1500 წლისათვის გამო. შ. მილორაგას მუსიკა საშუალებას აძლევს მომღერალს გამოავლინოს თავისი ხმის დიაპაზონი, მუსიკალურად და ვოკალური კულტურა.

ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობის თ. მერკურელაძის მიერ განსახიერებელი ითანა ჯაფარიძე ხასიათდება კლემანოსილიზმით, სათუთი ადამიანური ბუნებით, შემოქმედებით შრომისადმი თავდადებით. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი დრამატულ სცენებში. მომღერალს ჩინებული ვოკალური მონაცემები აქვს.

ლიბრეტოს ავტორმა გურამ თეთრაძის როლის შემსრულებელს ბევრი კოლორიტული საშუალება მისცა ამ მხატვრული სახის წარმოსადგენად. რესპუბლიკის დამსახურებელმა არტისტმა გ. სალარიძემ ძირითადად თავი გაართვა ამ როლს ამოცანას და შექმნა დამაჯერებელი სახე ადამიანისა, რომელიც თუმცა უწინარობისა და ლოთობისაგან გაპარაზიტებულა, მაგრამ პოტენციური გააჩნია დადებითი თვისებებიც. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. სალარიძეს ადრეც აქვს ნათამაშები ამგვარი ხასიათის როლები და ფაქტობრივად იმეორებს უკვე შექმნილ სახეებს. მსახიობმა თავი უნდა დააჯიწოს ერთფეროვნებას.

პირველ ორ წარმოდგენას დაესწრო აგრეთვე ახალ-ქალქიდან საგანგებოდ ჩამოსული სრულიად ახალგაზრდა მართ თარხნიშვილი, რომელიც უსოშიო აღფრთოვანდა და შეიკმედლებითი სურვილით აღივსნო, ელენეს ჩინებულ სხივთ შთაფრთხვებში გადარწმუნდა დაუფლებად და ვოკალური ხელოვნებას და სახელოვანი მოვარის გზას დაგომოდა.

პირველი ქართველი მომღერალი ქალი ქუთაისსაც ეწვია. 12 იანვარს საზოგადო საკრებულოს დარბაზში საკრებულოთა სასარგებლოდ გამართულ საღამოში მიიღო მონაწილეობა და რამდენიმე სიმღერა შესასრულა, მათ შორის, ორი ქართულად. მერე ბათუმს ესტუმრა და 14 იანვარს ქართულ კონცერტზე იმღერა. — შესასრულა რუსული „ბაიუშკი ბაიუ“ და არია „მეფისტიფოლიდან“. ხალხით გაჭედილი დარბაზი აღტაცებით მიეგება. მეორე განყოფილებაში საზოგადოებამ სთხოვა ქართულად ემღერა. ე. თარხნიშვილმა, რა თქმა უნდა, მსმენელთა თხოვნას დააკმაყოფილა და „მხოლოდ შენ ერთის“ პანაღი იმღერა აკაკის მიერ მისადმი მიძღინილი ლექსის ტექსტზე. „ნეტავი მას, ვინც შენს ტკბილ ხმას“... რამაც დაუსრულებელი ტაში და ოვაცია გამოიწვია. თბილისის საოპერო დასთან ერთად თებერვალში ბათუმს ჩასულმა თარხნიშვილმა ოპერა „ფაუსტში“ საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქართული ქალი აზერბაიჯანელებს და ბაქოში მცხოვრებ თანამამამულოებსაც ეწვია და 1912 წლის 21 იანვარს საქველმოქმედო მიზნით გამართულ ქართულ საღამოში მიიღო მონაწილეობა, ვანო სარაჯიშვილთან ერთად მან წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბაქოელებზე, გუზერთი წყრდინი, რომ ე. თარხნიშვილმა და გ. სარაჯიშვილმა მოლოდინს გადააჭარბეს, დიდძალ საზოგადოებას ძლიერ მოეწონა მათი ქართული სიმღერები, რომლებიც რამდენაირე გაამეორებინეს.

4 თებერვალს ელენე და ვანო თბილისში დაბრუნდნენ და დრამატული საზოგადოების სასარგებლოდ ქართულ თეატრში დადგმულ „რიკოლტოში“ მონაწილეობდნენ ე. ბიოვიტანს ერთად, ნ. ქართალიშვილის ლიტპარობით. 14 აპრილს ქართულ თეატრში გაიმართა ე. ი. თარხ-

ნიშვილის გამოსათხოვარი კონცერტი, რომელშიც ვ. სარაჯიშვილიც მონაწილეობდა. განსაკუთრებით მოეწონათ ბალახიეების „ტყემან მოსხა ფოთოლი“. დღეები სამეურნეო გაამეორებინეს. კიდევ სხვა რამდენიმე რომანსი იმღერეს ქართულად. ელენე თარხნიშვილს რამდენჯერმე სთხოვეს ემღერა „ბის-ბი“, რაც მან სიამოვნებით შესასრულა. კონცერტმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. კონცერტის შემდეგ გამართულმა ვახუშტაძე მხიარულად ჩაიარა. აქაც ბევრი იმღერეს ელენემ და ვანომ ნიკ. ქართველიშვილის აკომპანიმენტით.

მომღერალმა ქალმა 15 აპრილს დასტოვა თბილისი და პეტერბურგს გაემგზავრა, იქ 21 აპრილს მონაწილეობა მიიღო ქართველი სტუდენტების მიერ მოწოდებულ კონცერტში, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ხელოვნებისა და კულტურის დემონსტრირებას.

საქართველოდან იტალიაში დაბრუნებული ელენე თარხნიშვილი მილანის „ლა-სკალას“ თეატრში გამოდიოდა. ყურბალ-ვაჯოთები, ქებით იხსენიებდნენ მას. მის ხმას მკაცრი რეცენზენტებიც კი ხოტბას ასხამდნენ. სხვათა შორის, მილანის გავთ „რივისტა თეატრალე მელოდრამატკას“ 1913 წლის 7-14 აგვისტოს ნომრებში ე. თარხნიშვილის პორტრეტთან ერთად მოთავსებულა ვრცელი წერილი და მოყვანილა სხვა იტალიურ გაზეთებში უხვად მიმოხვეული რეცენზიები, რომლებშიაც აქკობდნენ მის ხმას და არტისტულ ნიჭს.

გავიდა ხანი. პირველმა მომღერალმა ქართველმა ქალმა ბევრი გასაჰირი და უსიამოვნება გადაიტანა იტალიაში, მაგრამ იგი ჩვეული ენერჯილი მღერის 1923 წლამდე, შემდეგ კი გახსნა ვოკალური სკოლა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. ბევრი ცნობილი მომღერალი აღუზარდა თავის მეორე სამშობლოს — იტალიას. მისი აღზრდილები წარმატებით მღეროდნენ მილანის „თეატრ-სუბონოს“, „თეატრ-ლირიკოსს“ და აგრეთვე ამერიკის უფროთბული შტატების სცენაზე.

გადიოდა წლები. მძიმე ოჯახურმა პირობებმა წელში გაუქვიტა ვან-ლონით აღსავსე მომღერალი ქალი. მეორე მსოფლიო ომის წლებში კიდევ უფრო მეტი ჯავა დაადგა. წლოვანებას, ცხოვრების არანორმალურ პირობებს, დედა-სამშობლოზე ოქტის და აჯარის თავისი გაქონდა. მომღერალი ქალი მძიმედ დაავადდევოდა. 1955 წელს დახურა თავისი სკოლა, მილანი მიატოვა და სამხრეთ იტალიის პროვინცია რეჯო-ლი-კალაბრიაში გადასახლდა, სადაც ყველადაკან მივიწყებული მარტოობაში ატარებს მოხუცებულობას.

საქართველოს სახლური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის იტალიაში საგასტროლოდ ყოფნის დროს სამშობლოთიც დაოლღებული პირველი ქართველი მომღერალი ქალი შეხვდა და ღირსეული მასპინძლობა გაუწია თავის თანამემამულეთ. ეს იყო მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი დღე.





ბალეტი «მეზარეულები»-მ. მონტეკალესევილი. და. მ.
კატკინი





ბალეტი „ამინარე მზეთუნახავი“, პრინცი დეზირე — ზ. კვალეიშვილი

ბათუმალი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

ვლადიმერ შარაშიძე



ათუმის მრქეფარე კულტურულ ცხოვრებაში სამხატვრო გამოფენებმა მტკიცე ადგილი დაიმკვიდრეს.

მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების მარჯვენებელია უკანასკნელ სამ წელისწინ მოწყობილი სამი სამხატვრო გამოფენა. ამ აღმავლობას საფუძველი ჩაეყარა თბილისში აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში (1957 წ.) გამართული გამოფენით. დედაქალაქის საზოგადოებრიობამ ბათუმელი მხატვრების ნამუშევრებს მაღალი შეფასება მისცა. რესპუბლიკურმა კურნალ-გაზეთებმა მოათავსეს წერილები, რომლებშიც საკმაო სიღრმის იყო განხილული ბათუმელი ფერწერების, მოქანდაკეებისა და გრაფიკოსების შემოქმედება.

მომდევნო გამოფენა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავს მიეძღვნა. მიუხედავად რატონსაგეტულო ხასიათისა, გამოფენაზე იგრძნობოდა თეატური სურათების სიმკვირე, მაგრამ ბევრ პუბლურ ეტიუდში გამოჩნდა ავტორების მაღალი პროფესიული დონე. ახალი გამოფენა ბათუმელმა მხატვრებმა კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ცროლობას მიუძღვნეს. გამრფენისათვის შუადღის პროცესში მხატვრები გამსჭვალული იყვნენ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით: ცდილობდნენ შექმნათ ნაწარმოებები, რომლებშიც მაღალმხატვრულად იქნებოდა ასახული მნიშვნელოვანი თემები.

უნდა ითქვას, რომ მხატვრებმა მათ წინაშე დასმულ ამოცანებს ძირითადად თავი გაართვეს. თემატიკურად და ანრობრივად მრავალფეროვანი გამოფენა მაღალი პროფესიული დონითაც გამოირჩეოდა ყველა ადრინდელი გამოფენიდან. სასიხარულოა ისიც, რომ გამოფენის კატალოგში მოხვდა აქამდე უცნობი ახალი სახელებიც.

გამოფენაზე უპირველეს ყოვლისა გამოირჩეოდა ფერწერის განყოფილება. თუ ჩვენი ფერწერების შემოქმედებაში ადრე დიდი ადგილი ეკონა ეტიუდებს, ამ გამოფენაზე ბევრი მათგანი თემატური ტილოების ავტორებად მოგვევლინა.

შ. ხოლუაშვილმა ხუთი წლის წინათ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის განყოფილება, ამ ხნის განმავლობაში ბევრი საინტერესო მხატვრული ტილო შექმნა და მხატვრული ხერხების ძიების პროცესში საკუთარი წერის მანერას გამოიძუშავა. მისი

წარმატებები განაპირობა დაულაღვემა და სისტემატურ-მა მუშაობამ. მხატვარმა გამოავლინა საკუთარი მხატვრული ინტერესების სფერო, რომელიც ისტორიულ-რევოლუციურ წარსულს მოიცავს. ამ თემაზე დაწერილ ტილოებში ხოლუაშვილმა გამოამჟღავნა კომპოზიციისა და ფერწერული ამოცანების ცოდნა, მაგრამ მხატვარი ვერ აცდა ოცდაათიანი და ორმოციანი წლების ქართულ ფერწერაში დამკვიდრებულ ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის დამუშავების ერთგვარ შტამს („ი. ბ. სტალინი ბათუმის არალეგალურ სტამბაში“, 1956 წ. „გ. ი. ლენინი და მ. გ. ცხაკია პარტიის მესამე ყრილობაზე“, 1954 წ.).

ხოლუაშვილი ბევრს მუშაობს აგრეთვე ჩვენი თანამედროვეობის ამსახველ სურათებზე, განსაკუთრებით ეხერხება პორტრეტში. როდესაც უცქერით ხოლუაშვილის ნაწარმოებებს, გრძნობთ თუ რა სურვილმა აღუქრა მას ამათონი ადამიანის გამოსახვის ინტერესი. კონკრეტულ პიროვნებათა ინდივიდუალური სახეების გახსნის ამოცანა მხატვარმა ბევრ შემთხვევაში კარვად გადაწყვიტა; მაივრო მათ დამახასიათებელ პოზებს და პორტრეტების კომპოზიციური გააზრების თვალსაზრისითაც საინტერესო შედეგს მიღწა. შ. ხოლუაშვილის ფერწერული და გრაფიკული პორტრეტებიდან აღსანიშნავია საქართველოს დამსახურებული არტისტის, მოცუკვეთ კობლაძის (1956 წ.), სტუდენტი ქალიშვილის (1956 წ.), მოხუცის (1955 წ.) და სავათა პორტრეტები.

ახლანდელ გამოფენაზე მხატვარმა 13 ნამუშევარი გამოიტანა. მათგან ორი კომპოზიციის ავტორის უუაიო კოლორისტულ ნიჭზე მეტყველებს. ეს არის აჭარის განთავისუფლების თემაზე დაწერილი სურათი „ბნელეთის დასასრული“, რომელიც დაუმთავრებელია, და თანამედროვეო-



შ. ხოლუაშვილი ბნელეთის დასასრული



გ. მეგრელიძე ბლიაჯზე

ბის ამსახველი ტილო „მზადება ოლიმპიადისათვის“. იგი გამჭვირვალე, ღია ფერებშია გადაწყვეტილი და კარგად გადმოცემს ბუნებას. ეს თემა, ჩანს, ძლიერ აღუღებდა ავტორს. მის გაკეთებულ აქვს ამ კომპოზიციის რამდენიმე ვარიანტი. ერთი მათგანი ექსპონირებული იყო თბილისში რესპუბლიკურ გამოფენაზე. ბოლო ვარიანტი მხატვარმა ფერწერული და კომპოზიციური გადაწყვეტის გარკვეულ სიმაღლეს მიაღწია.

ამჯერადაც შ. ხოლუაშვილმა გამოფენაზე სხვადასხვა მასალაში შესრულებული რამდენიმე პორტრეტული ტილო წარმოადგინა. ფერწერული პორტრეტები —საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. კობახაძე დ. შვერდნაძის როლიში (ვრ. ბერძენიშვილის ბიუსა „დაჭრილი არწივი“), კომპოზიციურად საკმაოდ კარგად გააზრებულია, მაგრამ მხატვრული სიძლიერით რამდენადაც ჩამორჩება სხვა დანარჩენ პორტრეტებს. კარგი გემოვნება ჩანს გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკით განხორციელებულ პორტრეტებში. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სანჯინთა და ტუშით შესრულებული „ჩემი მეგობარი“ და „ქეთევანი“ (ნახშირი), რომლებშიც აღამაინათა შინაგანი ბუნება, ფსიქოლოგიური განწყობილება ფაქიზადაა გადმოცემული. აი, თქვენს წინაშე დგას პატარა მოსწავლე გოგონა ქეთევანი. მის გულბრწყვილო სახეზე კმაყოფილება და დაფიქრება იხატება.

გამოფენაზე ექსპონირებული გ. ი. ლენინის პორტრეტი (პასტელი) უთუოდ წარმოადგენს დიდი ბელადის პორტრეტის ორიგინალურად გადაწყვეტის გაბედულ ცდას. დამჯერებლადაა გადმოცემული ბელადის ღრმა აზრით აღებულებული თვალები, სახის იერი, ოღანე დანაოქებული ფართოდ გაშლილი შუბლი...

ბათუმის მეციღერი მხატვარი გ. მეგრელიძე 1946 წლიდან სისტემატურად მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. იმთავითვე მან თავი გაავსოვნა, როგორც მშობლიური ბუნებით გატაცებულმა ფერწერმა. ბევრს ასსოვს მისი პოეტური ლირიზმით აღსავსე ეტულები. გ. მეგრელიძე ერთი პირველთაგანია, რომელმაც ტილოზე აღებუდა შავი ზღვის ლამაზი სანაპიროები და ფაქიზად დახატა არარტი მარინები სურათი. პლიაჟი, მზემოკიდებული ფიგურები, სინერჯები, მეთევზეთა ცხოვრება მხატვრის გატაცების საგანია.

გ. მეგრელიძემ ამჯერადაც გამოფენაზე ზღვის ბეიზაჟის ამსახველი ხუთი ნამუშევარი გამოიტანა. ერთი მათგან-

ნი — „პლიაჯზე“ თემატური სურათია, რომელიც მკაფიოდ გადმოცემს გარკვეულ განწყობილებას. ახალგაზრდა გოგონებისა და ვაჟების ჯგუფს ერთად მოუყრია თავი, ზოგ მათგანს, ეს არის, ბანაობა დაუთავრებია და ფართო ქოლვის ქვეშ ისვენებს; ერთი ვაჟი, რომელსაც ცალ ხელში ბურთი აუტაცნია, სათამაშოდ იწყებს დანარჩენ ამხანაგებს. მხატვარმა უთუოდ მოახერხა ცალკეული ხასიათების გადმოცემა და სურათში ახალგაზრდული განწყობილება ჩააქსოვა. მაგრამ ნაწარმოებს აკლია ფერწერული დამუშავება და კომპოზიციური დახვეწა, რის გამოც ტილო ნაკლებ შთამბეჭდავია.

გ. მეგრელიძის დანარჩენი ტილოებიდან ყურადღებას იქცევს „შესვენება“. ნაწარმოები საკომპლერენო შრომის თემაზეა დაწერილი. სამი გოგონა წყაროსთან ისვენებს. ერთი მათგანი ყვავილის მოსაწყვეტად დახრილა და ტუჩებზე კმაყოფილების ღმიმილი უკრთის, ხოლო ორნი შორს გააყურებენ და თითქმის რაღაცაზე ოცნებობენ. სურათის გმირები აღბათ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი არიან და ცხოვრების ფართო ვაზზე სურთ აიგონ თავიანთი სამდვილი მოწყობება.

მხატვარმა ძირითადად შეძლო დასახული ამოცანის გადაწყვეტა. მის გმირებს არ აკლიათ ფსიქოლოგიური დახასიათება, მაგრამ სურათი მაინც არ შეიძლება სრულყოფილად მივიჩნიოთ, ვინაიდან იგი, როგორც მხატვრის შემთხვევაში დასახელებული სურათი საჭიროებს ფერწერულ დამუშავებას და დამთავრებას. სინტეტრესია გ. მეგრელიძის სხვა ნამუშევრებზე — ეტიუდები და პორტრეტები. რაც შეეხება მოზრდილ ფერწერულ ტილოს „სოსუმჯობრებაში გამარჯვებული“, მასზე ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო.

ახალგაზრდა მხატვარი შ. ზამთარაძე მხოლოდ მესამედ ეტუდებში გამოფენაზე მონაწილეობას. ბათუმელი შორის იგი უკვე საკმაოდ პოპულარული ვახდა და ეკონონერად დაიმიკვირა ნიჭიერი ფერწერის სახელი. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ შ. ხოლუაშვილთან ერთად ისიც მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ საკავშირო სამხატვრო გამოფენაზე (1957 წ.), ხოლო გამოცემლობა „სოვეტსკი ხულოცნიკა“ დიდი ტირაჟით დაბეჭდა მისი ერთ-ერთი ნამუშევარი — „ბათუმის ნავსადგურის“ ფერადი რეპროდუქცია.

ზამთარაძეს ძალიან უყვარს ზღვის ბეიზაჟების, განსაკუთრებით, ნავსადგურის ასახვა. სქელი, გაბუნდული მონასმები, სუფთა და გამჭვირვალე ტონებით ქმნის ლამაზსა და ემოციურ კოლორიტს. ამჟამად მხატვარმა გემოვნებით შესრულებულ ეტიუდებთან ერთად გამოფენაზე წარმოადგინა ისტორიული თემაზე დაწერილი დიდი ტილო. ბათუმის ნავსადგურ-რევოლუციური წარსული ბევრი ქართველი მხატვრის თემა იყო და არის. მაგრამ თითქმის ყველა მათგანს ძირითადად 1905 წლის რევოლუციის ბეროილის ამბები აქვს ასახული. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის თემები თითქმის დათმუმებულია და ტილოებზე გადატანას ელოდება. წიფთი არმიის ნაწილები გოლერძის უღელტეხილზე გადასვლა და აჭარაში შემოსვლა, მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი მშრომელებისადმი მათი დახმარება — შესანიშნავ მასალას იძლევა. ამიტომაც მისაღმლებელმა მხატვარ ზამთარაძის ცდა — შეექმნა სურა-

თი ამ თემამზე. მიუხედავად კარგი ჩანაფიქრისა და სურათის ცალკეულ დეტალებში გარკვეული წარმატებისა, ნამუშევარი არ ღვას დასახული ამოცანის სიმაღლეზე. მას ვერ კიდევ სჭირდება შემდგომი მუშაობა და მხატვრული სრულყოფა.

ახალგაზრდა მხატვრის ვ. ტროფიმოვის „კვირადღე ზღაპარზე“ ავტორის პროფესიული ზრდის მაჩვენებელია, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ნაწარმოებში გარკვეული არ არის მოქმედების დრო და ადგილი, ამასთან, ტიპაჟიც ვერ არის შერჩეული.

განსხვავებით ადრინდელი გამოფენებიდან გრაფიკა ამ გამოფენაზე უფრო მრავალფეროვანი ნამუშევრებით იყო წარმოდგენილი. ენახეთ სურათები შესრულებული გუანით, სანავნით, ლითოგრაფიული წესით, აგრეთვე გრაფიურები ხეზე.

ბათუმელი მხატვარი გ. სეჩინიანი საინტერესო გრაფიკოსია. ის მუშაობს აკვრდელით და რბილი ფანქრით. ბევრ ჩვენთაგანს ასსოვს მის მიერ ფაქიზი გემოვნებით დამატებული პორტრეტები და პეიზაჟები. გამოფენაზე სეჩინიანმა გამოიტანა ხეზე შესრულებული გრაფიურები, უმათურესად პორტრეტები. ყველა ეს ნამუშევარი — „ავტოპორტრეტი“, „სახბუთა კავშირის გმირი ა. ჯინჭარაძე“ თუ „მოხუცი კოლმეურნი“ — აღბეჭდილია მისთვის ჩვეული ოსტატობით, ადამიანის შინაგანი ბუნების გადმოცემის მხვეილი უნარით. გ. სეჩინიანი კარგად გრძნობს გრაფიურის სპეციფიკას, მისი გრაფიურები ლაკონურობით და ზომიერი სიძუნწით ხასიათდებიან. მისასაღებელია, რომ მხატვარი კვლავ დაუბრუნდა იმ სფეროს, რაც უფრო ეხერხება და კვლავ გაგვახარა მაღალი ეგზომენტობა და სინატრფით აღბეჭდილი გრაფიკული ნაწარმოებებით.

აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. იმინაიშვილი გრაფიკაში მუშაობის პარალელურად დეკორაციულ ფერწერაშიც ცდის თავის უნარს და რამდენიმე სანატრესოდ დეკორაცია ექსიზის ავტორია. გამოფენაზე ექსპონირებული იყო ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე დამკმული „სინანის ძახილის“ მხატვრული გაფორმების ესკიზები. ცნობილია, რომ ბათუმელი მწერლის ფ. ხალვაშის ბიესას და თეატრის სპექტაკლს მასურებლის დამსახურებული მოწოდება ხვდა.

მცოვანი მხატვრის, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ილუმიანის აქვარტლები, მართალია, შესრულების მაღალი ტექნიკითა და კულტურით გამოირჩეოდნენ, მაგრამ წმინდა ეთნოგრაფიულ ხასიათს ატარებდნენ.

ყურადღებას იქვეოდნენ ახალგაზრდა გრაფიკოსების რ. ჩხვიციანილისა და ვ. კვერნაძის ნაწარმოებები. ვ. კვერნაძის საზოგადოებრიობა იცნობს, როგორც მხატვარ კერამიკოსს, რომელიც ქართული ორნამენტებით ღამაზად მოხატული რამდენიმე ღარნაკის და სუფრის სხვადასხვაგვარი სერვიზის ავტორია. ამ გამოფენაზე მან გამოიტანა ორი ღარნაკი — ერთი საკმაოდ მოზრდილი, მეორე უფრო პატარა ზომისა, რომელზეც ბათუმის ხედა აღბეჭდილი. კერამიკული ხელოვნების ეს ნაწარმოებები, დამზადებული ფაქიზი გემოვნებით მოხატული ქართული ორნამენტით და ბათუმური პეიზაჟით, მხატვრის წინსვლის მაჩვენებელია. ბოლო დროს ვ. კვერნაძემ საინტერესო ნამუშევრები



შ. ზამთარაძე სენიერები

წარმოადგინა გრაფიკაშიც. ტუმითა და აქვარელით შესრულებული ეს ნაწარმოებები, მიძღვნილია საქართველოს დედაქალაქის თბილისის 1500 წლისთავისადმი. ისინი მეტყველებენ ავტორის კარგ მხატვრულ გემოვნებაზე, მეტყველი პლასტიკური ხერხებისა და სახვით საშუალებათა ლაკონურად გამოყენების უნარზე („ქალაქსიაკე“, „გარეუბანში“ და სხვ.).

რ. ჩხვიციანი, რომელიც პირველად მონაწილეობს გამოფენაზე, თავის კომპოზიციებში კარგად იყენებს თეორიას და შავის კონტრასტებს. ამ გზით გამოშასხველად გადმოსცემს სხვადასხვაგვარ განწყობილებას. მის მიერ შესრულებული ლითოგრაფიული სერიის ხუთი ფურცლისათვის დამახასიათებელია სპეციფიკურად გამოხატული გრაფიკულობა, ძლიერი ნახატი, ხაზის პლასტიკურობის გრძნობა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე დეკორაციული ფერწერის ნიმუშებიც.

აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ფილიპოვის დეკორაციებს აქვთ გარკვეული მიზანდასახულება, სახელობორ ის, რომ სპექტაკლის მხატვრული გაფორმება უნდა ქმნიდეს ბიესაში ასახული ამბების შესატყვის გარემოს. ამასთან მასურებელს ენაჩემბრებს ჩაწვდეს ნაწარმოების დედაზრს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებენ „მეფე ერეკლეს“, „მეუღლის“ და სხვა სპექტაკლების მხატვრული გაფორმებანი.

გამოფენის საინტერესო ექსპონატები იყო აგრეთვე ქანდაკებები. თუ წინათ ბათუმელი მოქანდაკეები უფრო ხშირად პორტრეტებზე და პარელიეფებზე მუშაობდნენ, ახლა მრავალფეროვანმა ნაწარმოებებმა მათ შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაიჭირა.

აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ტ. ჭანტურია აჭარაში ქანდაკების პიონერად ითვლება. 1938 წლიდან დღემდე ნაყოფიერად მუშაობს და ბათუმელები მას ეცნობენ როგორც მრავალი ნიჭიერად შესრულებული სკულპტურული პორტრეტის ავტორს. მას გამოძიერწილი აქვს ჩაის მკრეფავის ვ. ჯინჭარაძის, დამსახურებული მასწავლებლის ა. ქავთარაძის, მწერალ ბ. ლორისა, ძველი რევოლუციონერის ვ. კარაბოვის პორტრეტები. მის უკანასკნელი ნამუშევარი მეგობრობის ეტილომობილურ თემაზე შესრულებულ ორფიგურიან კომპოზიციას წარმოადგენს. ჩვენს აზრით, ავტორმა ვერ მოძებნა სათანადო ფორმა ამ თემის გასახსენლად. ერთნაირ მოძრაობა-



ქანდაკეზში ავტორმა მოახერხა ამ ცუკვისათვის და მახასიათებელი ექსპრესიულობის გადმოცემა.

დანარჩენ სკულპტურულ პორტრეტებს მოქანდაკის ზრდის მარეგენზლად ვერ მივიჩნევთ, ვინაიან მათში ამოცანები არ არის ღრმად და ახლებურად გააზრებული.

ბათუმელ მხატვართა გამოფენაზე პირველად გამოჩნდა მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების ნაწარმოებები. მოზაიკისა და კერამიკული ქანდაკების საინტერესო ნიმუშები გამოიტანა ახალგაზრდა ბათუმელმა მხატვარმა ნელი ნოვიკიამ. მან ორი წლის წინათ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და დღეს უკვე ათამდე დამოუკიდებელი ნამუშევრის ავტორია. გამოფენაზე იყო მისი ოთხი მოზაიკური ნაწარმოები, ერთი მაიოლიკა და ერთი კერამიკული ქანდაკება. მხატვრის თემატიკური ინტერესები მრავალფეროვანია. იგი მუშაობს როგორც პორტრეტებზე, ისე პეიზაჟებზე; სხვადასხვა თემების დამუშავებისას სხვადასხვა მხატვრულ-ტექნიკურ საშუალებებს ექმნება და მეტყველ ნაწარმოებებს ქმნის. მხატვრული გემოვნება და დახვეწილობა ჩანს „ქალის პორტრეტში“ და „ნატურ-მორტში“. სხვადასხვა ელფერის მოზაიკისაგან აწყობილი ყველა ეს ნახელავი ხასიათდება ნახატის გამომახველობით, სასიამოვნო კოლორითა და განზოგადებული ფორმებით.

გამოფენის მონაწილე ნ. პელიპენკოს, ვ. რუდის, ს. ტაკიძის, ა. აირაპეტოვის, ჰ. იუსტინსკაის, ო. გიორგაძის, ნ. ჯალაღანის ნამუშევრები მეტნაკლები სიძლიერით ამჟღავნებდნენ ავტორთა პროფესიულ დახელოვნებას. მნახველის ინტერესს იწვევდა ა. აირაპეტოვის და ნ. ჯალაღანის სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები, ო. გიორგაძისა და ს. ტაკიძის ფერწერული ეტიუდები და ნატურმორტები.

საბჭოთა ხელოვნების ძირითადი თემა, მისი აზრი და შინაარსი ყოველთვის იყო და არის თანამედროვე ადამიანი, მისი მრავალმხრივი და მდიდარი სულიერი და შრომითი ცხოვრება.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ბათუმელი მხატვრების გამოფენას, უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ნაწარმოები ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, სქემატური, ნაკლებად ამაღლებებელია, ჩვენმა მხატვრებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს დღევანდელი დღის, დღევანდელი ცხოვრების სულისკვეთების გადმოცემა ნათელ, ცოცხალ და მჭიდრულ ფორმებში, საყურადღებო თემატური სურათების შექნა.

გვაქვს საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ მუშაობარი და სისტემატური შემოქმედებითი მუშაობით ბათუმელი ფერმწერები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები, მონუმენტალისტები მალე გაგვახარებენ ისეთი ნაწარმოებებით, რომლებშიც ფართოდ იქნება ასახული ჩვენი ხალხის მრავალფეროვანი ცხოვრება.



ნ. ნოვიკიას ქალი ღარიბი

ში მოცემული ორი მკლავებდადახვეული ქალი ნაკლებმეტყველია; ნაწარმოებს ემჩნევა ნაუცბათეობაც.

ახალგაზრდა მოქანდაკის მ. ბოლქვაძის გამოფენაზე წარმოდგენილი ჰქონდა ხუთი ნამუშევარი. მას საკმაოდ რთული ამოცანისათვის მოუკიდნია ხელი, როდესაც ნატურალურ ზომაზე შეტი სამფიგურიანი ქანდაკების შექმნა განუზრახავს. მისი განზრახვა ძირითადად ხორცშესხმულია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მონუმენტური ქანდაკება „ხორუმი“. თიოქმის ფორტალურად გადაწყვეტილ

რ. ჩხვიშვილი მეთევზეები



ახლო აღმოსავლეთის ძველნი

კარლო გოგოძე



ინოხელოვნების ჩვენი სპეციალიზირებული ტურისტული ჯგუფი ათი კაცისაგან შედგებოდა. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენა ახლო აღმოსავლეთის ორი თვალსაჩინო ქვეყანა — ეგვიპტე და სირია, დაგვეფალოვებინა მათი ღირსშესანიშნავი ადგილები, გავცნობოდი ამ ქვეყნების კინოხელოვნებას, შევხვედროდი და მეგობრული ურთიერთობა დაგვეყვარებინა მის გამოჩენილ მუსაქებთან.

ჩვენი მუსები, კოლმეურნეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები ახლა ხშირად მოგზაურობენ საზღვარგარეთ. არაერთი ღირსშესანიშნავი შეთხვეტილება გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში.

ჩვენს წინაპრებს ამაზე ფიქრიც კი არ შეეძლოთ. რაფილ დანიბეგაშვილმა წლები მონადომა ინდოეთში ჩასვლას, ბოლოს კლდოვან ნაპირებზე ნავშიღვიწილმა ძელები კინადამ დატოვა უღაბურ ჯუნგლებში. წლები შეიჭირეს სულხან საბას, ბესიკის და სხვათა მძიმე ბრძოლებში მოგზაურობამ. ჩვენ კი აი ექვს საათში თვითმფრინავმა ეგვიპტის ნაპირებზე მიგვიყვანა.

გამოჩნდა ზეპარული ნილოსი თვალუწვედენელი ჭაღლებით. რამდენი არ გვსმენია მის შესახებ?

ნილოსი იმთავითვე იყო და არის ეგვიპტელი ხალხის ეკონომიური დოღათისა და კულტურული განვითარების მაცოცხლებელი ძალა; ტყუილა კი არ აღიარებ იგი თავის ერთ-ერთ უდიდეს ღმერთად ეგვიპტელებმა, ტყუილად როდი სწირავდნენ მას მსხვერპლს, და უგალობდნენ დიად საგალობლებს. რა იქნებოდა ეგვიპტე უნილოსად, — იგივე, რაც საპარაა. სიციხით გადაზღუდული უსიცოცხლო უღაბნო, რომელიც ახლა თვითმფრინავის სარკმელში შემოიჭრა და ყვითელი ქვიშის დაუსრულებელ ზღვად მოიღვავეს ჩვენს გვერდით. აეროდრომი ქალაქგარეთაა. მძიმე ზიძგი. თვითმფრინავის თვლები მიწას შეეხო, ეს უკვე ეგვიპტის მიწაა, მისრის მიწა, როგორც მას არაბულად ეწოდება... ჩვენ უკვე ქაიროში ვართ.

აეროდრომზე პასპორტების შემოწმების შემდეგ ქალაქისაკენ გავიშვეს.

აგტობუსი მოსაფალტებული გზატკეცილით ჯერ უღაბნოს გაივლის, ბორცვებიან ფერდობს გადასჭრის და შემდეგ ქალაქისაკენ მიემართება.

სარკმლის იქით გაუცაცებით ვიცქირებთ; რა გამოჩნდება? ბირველი, რაც დავინახეთ და რამაც ყველა გულიანად გააცინა, ეს იყო ნახევრად ტიტველი ქალის სურათი, საბანაო კოსტუმის რეკლამით. ცოტა მოშორებით მოჩანს მსოფლიოში უძველესი რეკლამა „სეთი კოკა-კოლა“. მალე დავრწმუნდით, რომ სიცილი ნაადრევი იყო, ბევრს ჩვენთაგანს შემდეგში მთელი ასი პროცენტით მოუხდა ამ მოწოდების შესრულება. ეგვიპტეში უცხოთათვის უღარი წყლის სმა, ცოტა არ იყოს, საშიშია, ნადულარ წყალს მუდამ სად იშვიათად, და ჩვენც მივეძალეთ კოკა-

კოლას, რომელიც თავისი გემოთი და სურნელებით ისე შეედრება ჩვენს ცნობილ ლაღიძის წყალს, როგორც საპარის გადაწვეარი მიწა ბაკურინის აწვეანებულ მიდამოს.

გაიერთო მაღალი სახლებითა და ბალებით დაშენებული „მდიდართა უბანი“ და სასტუმრო „ეკვიტორიასთან“ ჩამოვხვით. ცოტა დავისვენეთ და ქალაქი დაეთავალიერეთ.

ქაირო, — აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ეს უდიდესი ქალაქი, ერთ-ერთი უძველესთაგანია მთელ აღმოსავლეთში. იგი მდინარე ნილოსის ნაპირებზეა გაშენებული და როგორც საპარო, სარკინიგზო, ისე წყლითა და შარავებით მიმოსვლის ძირითად კვანძს წარმოადგენს მთელს ეგვიპტეში.

ქაირო უმთავრესად მსუბუქი მრეწველობის ქალაქია, არის საქსოვი და ფეხსაცმელების ფაბრიკები, შაქრის დამამზადებელი ქარხნები, დიდი წყალსაცავი და სხვ. არს უმაღლესი სასწავლებელი, სამედიცინო ინსტიტუტი, ამერიკული, იტალიური და სხვა სკოლები. ქაიროს ნ.ციონალური შემადგენლობა მეტად ტრეულია.

ქალაქი ორი ნაწილისაგან შესდგება: ძველი და ახალი ქაირო. ძველი ქაირო ღიდად განსხვავდება ახალისაგან. ახალი ქაირო უფრო კეთილმოწყობილია. მაღალი სახლები, ფართო ქუჩები, მთავრობის დაწესებულებები, საელჩოები უფრო ამ მხარეზეა მოთავსებული. აქვეა შექმნილია საცხოვრებელი სახლები. ძველ ქაიროში აღსანიშნავია არქეოლოგიური ნაშთები და ისტორიული ნაგებობანი.

სალამოს ჟამია. ელნათურები უკვე აინთო. კარვად განათებულ ქუჩებს მივყვებით, გრილა. ხალხი ქუჩებში გამოფენილა. ქუჩის ორსავე მხარეზე დიდი მაღაზიები და წერილობანი სავაპრობია ჩამწკრივებული. მაღაზიები სავ-

სირიის გზის პირამიდების





ეგვიპტური ტაძრის სველბრაო

სეა საქონლით, — უმთავრესად ფართო მოხმარებისა და ფუფუნების საგნებით. მყიდველთა შორის უმეტესად უცხოელები ან შეძლებული არიან. გლეხებს, მუშებს ამ მდიდრულ მაღაზიებში ათასში ერთს თუ შეხედებით, მათ ამ ძვირი საქონლის ყიდვის საშუალება არა აქვთ.

ფართო მოედანზე გავედით. ქაიროში ბევრი კარგი მოედანია, სხვადასხვა მოღაწეთა მონუმენტებით დაშემკვნიებული. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს თავისუფლების მოედანი და რამზეს მეორის მოედანი. ამ მოედნის შუაგულში აღმართულია თვით რამზეს მეორის მონუმენტი. პიტალო ქვისაგან გამოკეთილი ეს მონუმენტი ნაპოვნი იქნა ეგვიპტის უძველეს ქალაქ მემფისის გათხრების დროს და შეუცვლელად გადმოტანილია მოედანზე. რამდენიმე ათასი წლის წინათ მემფისის დამაშემკვნიელი მონუმენტი ყოვლად ძლიერი ფარაონისა ყველა წარმომადგარა მიწის სიღრმეებიდან და კვლავ ამაყად დგას შორეული ჩამომავლობის მიერ გაშენებული ქალაქის თვალსაჩინო ადგილას.

რამზეს მეორის მონუმენტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქაიროში და საერთოდ ეგვიპტის სხვა ქალაქებში ქუჩებისა და შენობების დასამშენებლად ძალზე ხშირადაა გამოყენებული სხვადასხვა დროს გათხრებისას აღმოჩენილი უნიკალური ნაშთები: ბიუსტები, ცალკეული ფიგურები, ფრესკები და სხვ. გავვიყვარად ასეთი უნიკალური განძეულის ასეთ უბრალო ადგილებში გაზნევა, მაგრამ მათი რაოდენობა თურმე ისე დიდია, რომ არ იცინა რომელ მუზეუმებში დატვირთი ისინი.

საღამოს 10 საათზე სასტუმროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა კინოფილმის საცქერად მივიწვივა.

* * *

ეგვიპტის უძველესი ქალაქის მემფისის დასათვალისწინებლად გავეშურეთ.

ჩვენი სწრაფი ავტობუსი ნილოსის ერთ-ერთი დიდი არხის გასწვრივ მოასვალტებულ გზატკეცილზე მიჭრის, გზის აქეთ-იქით მაღალი ეკვალიბრები და ტანწყურწყეტა პალმები ჩამწყკრივებულან. ნილოსის ტალღებიდან მონაბერი დილის გრილი ნიაკი სახეში ვცემს, ყველაზე საამბო დროა. ფელახები ეველინდებრებზე გამოფენილან და გატაცებით მუშაობენ. თხნიან ბამბას, შატრის ლერწამს, გაყავთ

სარწყავი კვლები; ბოსტნებიდან მოაქვთ ხახვი, სტაქილო, უფრო მეტად სალათა. რეცხავენ ნილოსში, ტვირთობენ ურიკებს და პატარა სახედრებით ქალაქისაკენ მიაქვთ გასასყიდად.

შრომაში მამაკაცებთან ერთად მონაწილეობენ ქალებიც. თავზე უზარმაზარი ტვირთით ისინი ჩქარი ნაბიჯით მიეშურებიან ქალაქისაკენ. ვხედვით ჩადრით პირსხევეულ ქალებს, მაგრამ უჩადრი ქალებიც შევინა. შვევერმანი, შავთვალწარბა ქალები მეტად სანდომიანი და ლამაზი შეხედულების არიან.

ეგვიპტის უძველესი ქალაქის მემფისის ნანგრევებთან შეჩერდით. ნანგრევთა შორის ყურადღებას იპყრობს პატარა სფინქსი და რამზეს მეორის მონუმენტი, რომელიც ახლა წაქცეულია და გატეხილი. იგი რესტავრაციის პროცესშია. რამზეს მეორის მონუმენტი, როგორც ვთქვით, აქ იყო ნაპოვნი აგრეთვე პატარა მონუმენტიც და შეამდეგ მოედანზე დადგმული.

აქედან სოფელ გიზისაკენ გავეშურეთ. შორს უღრბლო ცაზე უკვე გამოჩნდნენ სილუეტებად აღმართული პირამიდები. თვალს ვერ ვამოჩვენებთ მათ. როდის მივალთ მათ კედლებთან? თითოეული ჩვენთაგანი გულისფანცქალით ისწრაფვის ახლო შეხედოს, ხელით შეხვოს, ალამიანის შრომისა და ფანტაზიის უდიდეს ქმნილებებს, რომლებმაც მრავალი ათასი წლის მანძილზე მწვევე სიცხეეზის, წვიმებისა და უდაბნოს ცხელი ქარების გამოვლით ჩვენამდე მოაღწიეს და გადასულ შორეულ დღეთა დიდი და მშვენიერი ცნობები უნაკლოდ მოუტანეს შთამომავლობას.

მთავალტებული გზატკეცილი, რომელსაც პირამიდების გზას უწოდებენ, ჩქარა თავდება, იწყება უდაბნოში შევავალი გზატკეცილი. ყველა პირამიდა უდაბნოშია აშენებული, და ჩვენც უკვე ვგრძნობთ საპარის ცხელ სუნთქვას.

მოხუცმა არაბმა, რომელსაც ხელში თიხისტარი ეჭირა და ისე მარდად ართავდა მატყლს, რომ გამოცოდლი დედაკაცის ქი შეშურებულად მისი ოსტატის, საშვი ჩამოგვართვა და პირამიდებისაკენ გაგვატარა. ეს ადგილები დატყლია და სპეციალური ნებართვების გარეშე იქ არავის უშვებენ.

ჩვენი წინ ზოზუნის პირამიდაა.

— ეს პირველი პირამიდაა, რომელიც აშენდა ეგვიპტეში. — გვეუბნება გამყოლი. ეს არის პირველი ქვის შენობა. ისტორია არ იცნობს ამაზე ადრინდელ ქვის ნაგებობას, — დასძენს იგი.

პირამიდები სამარხების ერთ-ერთი სახეობაა, ფარაონები ტანტზე ასვლისთანავე შეუდგებოდნენ პირამიდების აგებას, რათა მისი მშენებელთა სიციხეებზე დაემთავრებიათ. პირველ პერიოდში პირამიდები საფეხურებიანი შენდებოდა, შემდეგ კი დაიწყო მათი მოპირკეთება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხუფოსის, ხუფურისა და მიკერინის პირამიდები — ყველაზე უდიდესნი პირამიდებს შორის, ხოლო ამ სამთავან ყველაზე უდიდესია ქეოფეს ანუ ხუფუს პირამიდა.

პირამიდებთან მისასვლელად აქლემები დავიჭირავეთ, როცა აქლემზე შევეკვი და აქლემმა აღდგომა იწყა, უნებურად მომაგონდა ბავშვობისას წაკითხული პატარა მოთხრობა „აქლემის და აქლემი“. მართალია არ დამიხსენია

„შვილობით, ჩემო დედაბაბო“, მაგრამ ჩამოვარდნის შიში ბოლომდე მქონდა.


პირველად ქოფსეს პირამიდასთან მივედი. რამდენი წამიციტხავს, რამდენჯერ გამიგონია ეს სახელი, რამდენჯერ მინატრია, ნეტავი ოდესმე მაინც მანახა როგორია, რას წარმოადგენს მეთქი ეს შენობა და აი ახლა ცალ კუზიან აქლემზე ამხედრებული ნელ-ნელა ვუახლოვდები მას. აქლემი შევჩაგრე. ზევით ავიხედე, თვალი ვერ სწვდებოდა მის სიმაღლეს. იგი თავდაპირველად 160 მეტრი ყოფილა, დროთა განმავლობაში მწვერვალს ჩამოშლულა, ახლა იგი 145 მეტრი სიმაღლისაა. ბერძენი ისტორიკოსი პეროდოტე გადმოგვცემს, რომ ქოფსის პირამიდის ასვენებას 100 ათასი კაცი მოუხდა, იგი ოცი წლის განმავლობაში შენდებოდაო. გამოკვლევულია, რომ აქ დაახლოებით 3 მილიონი ქვა დევს, რომელთაგან თითოეული საშუალოდ ორხაზოვანი ტონას იწონის. გზა, რომელზეც პირამიდის საშენ მასალას ტრენდობდნენ, ათი წლის განმავლობაში შენდებოდა.

ჩაუკურთ ერთიმეორის ახლო ასვენებულ სხვა პირამიდებს. სოფელ მენას დაეკავებოდა ჩამოხლებული, ჩამოხტეტი და ქვემოთ დიდი სფინქსისაკენ გავეშურეთ.

ეს სფინქსი სხვა ნაგებობებთან ერთად დაფარული ყოფილა შლიამით და სილით. დროთა განმავლობაში უდაბნოს ძლიერ ქარებს და წვიმებს თანდათან შემოყოფილია საბურველი და იგი ისევ ამოსულა მიწის ზეგით. სფინქსი და მასთან აღმართული ტაძრის ნანგრევები შესასვლელი ყოფილა პირამიდებისაკენ. ამ ტაძრის სფინქსის ტაძარი უფროა. მდ. ნილოსი, რომელიც ახლა ძალზე დამორეზულია ამ არემარეს, იმ დროს სფინქსის ტაძრის მახლობლად დიოდა. მდინარით მოჰყავდათ გარდაცვალებული ფარაონები პირამიდებში დასაკრძალავად.

დავინტერესდით, რატომ აქვს სფინქსს ცხვირი მოტეხილი? ერთმა სიტყვა: „ნაოლონმა თავისი გამარჯვების აღსანიშნავად მიამტკრიოა სფინქსს ცხვირი. გამოყოლა კი აგვიხსნა, თვითონ ხალხმა რელიგიური დროების დროს მოამტკრიოა. ვინც ქვას ესროდა და ცხვირზე მორატყამდა, ბედნიერი იქნებოდაო. ასე სწამდათ თურმე ძველად. გავიარეთ დიდი ხელოვნებით გაკეთებული სვეტებიანი დარბაზი, შევედით საშუალო სიღრმის ქვის ოთახში, სადაც ხდებოდა გარდაცვლილი ფარაონების მუმიად გარდაქმნა.

ისევ აქლემებზე შევსხედით. უკან გამობრუნებისას, გზაზე, ქოფსეს პირამიდასთან გამოიღო შეგვეკითხა, ხომ არავის სურს პირამიდაში შესვლა და ფარაონის სამარხის საფლავიერებაში. მეც სურვილი განვაკვირე. პირამიდის საფლავებთან რამდენიმე საფხვრელი ავიარეთ, ბატარა ჭრალში შევეჭვრეთ და წილში მიხიარული ზევით ამავედ ვევიტარა გავცვიტეთ. სწორედ ამ ვევიტარით გაატარეს ფარაონი ქოფსე ათასი წლების წინათ. მივდივართ, სწამთქვა გვიგირს, ძალზე დავიქანცეთ, მაგრამ შეჩერება არ შეიძლება. როგორც იქნა, ავღადასს მივადრევი. ეს მოხრდილი ოთახი, დაახლოებით 20 კვადრატული მეტრი, სიმაღლე 4 მეტრზე მეტი იქნება, ცენტრის ცოტა უკანა მხარეს პოიტალურ განიხტასგან გამოკვეთილი ქვის დიდი სამარხი დგას სარკოფაგის ჩასადგმვლად, აქვეა გატეხილი სარკველი. ფარაონის ნეშტი აღარ არის, აქვდა ძალიან ადრე გაუძარცვავთ, მუმია მოუსპიათ, აქ მდებარე აუარება სიმდიდრე სრულიად გაუტაცინათ.



ხატ-შეხ-სურსის ტაძარი

პირამიდების მახლობლად ჩვენ ვნახეთ უმაღლესი ქურუმის თის სამარხი, ე. წ. მასტაბა. მასტაბა მიწის სიღრმეშია. იგი სავსეა იეროგლიფური წარწერებითა და ნახატებით. იეროგლიფები თის ცხოვრებში მოვიგობრებენ. ნახატების სიუქვებში კი თის ოჯახის საქმიანობას ასახავენ.

აქედან არც თუ ისე შორს უდაბნოს სიღრმეში ღვთაებრივი ბარის აბისის დაახლოებით 24 სამარხია. თვითუღი განიხტის ქვისაგანაა გამოკვეთილი და 65 ტონას იწონის. აქვე ვნახეთ ერთი სამარხი, რომლის შესახებაც გამოყოლა გავიტარა: არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ ამ სამარხში ის პატარა აბისი ვსევნა, რომელიც სპარსეთის მეფემ კამბიზმა ეგვიპტის დასაყობისას მოაკლავო. მიწის სიღრმე, სადაც ეს სამარხებია მოთავსებული, კატკომებში შობევილებს სტოვებს და ძალზე შენიღბულია. გადმოვცექს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანელ ფაშისტთა ჯარის ნაწილები ეგვიპტეში შეიჭრნენ, ეს სამარხები გამოყენებულ იყო ეგვიპტის სახელმწიფო განქულოების დასამაღლი.

პირამიდებიდან დაშორებით, მაღალ ბორცვზე პატარა ქვის ქოხი დგას, ე. წ. მარიეტ ფაშას ქოხი. არქეოლოგი მარიეტს ამ ქოხში ცხოვრებას და აქვე აკრთვება გათხრებისას აღმოჩენილ ნივთებსო. ქაიროს სიძველეთა მუზეუმში მის მიერაა დაარსებული 1858 წელს.

პირამიდების გასწვრივ მივდივართ, სასტუმროს შენას ფანატურაში უნდა შევისვენოთ და შინ დავბრუნდეთ. ამხანაგები წინ წავიდნენ, მე მარჯვნივ შევხვედი, განვიპირე, პირამიდის მახლობლად შეგერედა და მის იქით შორის გაშლულ უდაბნოს გადავხედე. ფიქრებმა წამიღეს. ვიგონებდი საქართველოს წარსულ შავ დღეებს. პაპანება სიცხეზე უფრო მწვადა და უდაბნოს ვაგარეარებულ ქვიშაში, ოდესღაც ჩალებულ ჩვენი ქვეყნის უზღელურ შეგოთა ბედი. ვეჭვობდი მათზე, საქართველოს ბაღნარებიდან მოტაცებულ, აქ მოწონაში გაყიდულ მხეველებად და მამულეებად ქცეულ საქართველოს ტურფა ქალ-ვაჟებზე. მშობლის გავლევრდს მივალეწილი ამ უტეხ მხარეში რომ დილუნენ. ვინ იცის, რამდენი „გაი, დღა“ მოუსმენია ამ პირამიდებში ქვის კედლებს. რამდენი ცენსის ხმა წაუღია ქარს ნილოსის შორეულ ნაპირებისაკენ, გულის სიღრმეში დან აღმოხეთქილი რამდენი ქართული წყველა შერჩენი უდაბნოს ამ ქვიშან ბორცვებს... შორს, სადაც სოფელში ყორონაა დაჩხავლა... ამბობენ ყორნები ასეულ წლებს



ვაგობათლო მებრტუ

ცოცხლობენო... უნებურად გავიფიქრე, იქნებ ამ ყორნის ჩხავილი ჩავსმათ ჩემი ქვეყნის გაკაცვებს დედის უკანასკნელი ნაწას ნაცვლად.

სასტუმროდან წამოსვლისას ჯიბეში ჩადებული ბატარა ნივთი ამოვიღე, გავხსენი, შიგ ფოტოფირის ნაცვლად ქართული პურის ნაჭერი და ნახევარი ჭიქის ოდენა ზოთლით წინანდლის ღვინო მელი ამ წუთებისათვის საკანგებოდ წამოიღებული. ქართული წესისამებრ პური ღვინოში ამოვაწე, ქვიშაზე დავედ, ზოთლს ცოტა მოვსვი, დანარჩენი გარშემო მოვახსურე — დედის ცრემლებად დაგუკუროთ ქართული ღვინის წვეთები უცხო მიწის ქვეშ დამარხდნო ჩემო დეგო და ძმებო მეთქი, — წარმოვთქვი გულში, — მამაკითვ, თუ შორეული მხრიდან მოსულმა უფრო უკეთ ვერ შეეძალ თქვენდამი სიყვარულისა და თანაგრძნობის გამოხატვა.

როცა პურის ნატები ქვიშამ დაფარა და ღვინის წვეთები ჰაერში გაშრა, ეერთი კიდევ მოვაღებ თვალს გარემოს და სასტუმროსაკენ გამოვსწვი. ამხანაგები უკვე გაშლილ სუფრას შემოსხდომოდნენ. არაკისთვის არაფერი არ მითქვამს, სანტიმენტალობა არ დამწამონ მეთქი. ფანჩატურაში თვისუფალ საქაზზე ჩამოვჯექი და ისევ დრმა ფიქრებში წასულმა ჩვენს ქვემოთ გაშლილ სოფელს და ვუწყე კვირა.

ზინდი წვებოდა ნილოსის ველებზე.

7 მაისს ეგვიპტის სახელმწიფო მუზეუმს ვეწვიეთ. აქ წარმოდგენილია ამ ქვეყნის ხელოვნების უქვირფასესი ნიმუშები. ვათვალიერებთ ათასი წლების წინათ გაკეთებულ ძეგლების კოლექციების თაროებს. ჩვენს წინაა სამკაულები, საოჯახო ნივთები, საკოფაგები, სამარხთა შესამკობი ოქროს, მარმარილოსა და სპილენძის მასალისგან გაკეთებული ხელნაქარი. ფიქრობ რა ხელმას, რა შემოქმედებითაა ფანტაზიამ და დაუზარელმა შრომამ გააკეთა ისინი?

ატლაცებში მოყვადართ დარბაზებს, მიძღვნილ ფარაონ-ტუტანამონისადმი, რომლის სამარხიც, საუბებით დაცულია და შემონახული, აღმოჩენილი იქნა 1922 წელს,

ლუქსორში, ფარაონთა ველზე. სამარხში ნაპოვნი ყველა ნივთი, გარდა მუმისა, როგორც ჩვენმა გამყოფმა გიგანტმა მოგვცა, გადმოტანილი იქნა სახელმწიფო მუზეუმში.

მრავალ სხვა უნიკალურ ძეგლებს შორის ჩვენამდე დაუზიანებლადაა მოღწეული უმაღლესი ქურუმის მთავარ-სარდლის რა-რაზობის და მისი მეუღლის ქანდაკებები. ისინი ეკუთვნიან ფარაონთა მეოთხე დინასტიას; მიუხედავად ამისა, სრულიად დაუზიანებლად არიან შენახულნი. ქმარს ვაკვაცური ძლიერი გამოხედვა შეუცვლელი აქვს. ცოლს კედამოსილი ღიმილი ახლაც უმშვენებს ღამაზს სახეს.

ასევე კარგად გამოიყურება ფარაონ ხეფრესის მონუმენტი, რომელიც აღმოჩენილი იქნა სფინქსის ტაძართან. სოფელ მენას მახლობლად. ეს მონუმენტი ბრწყინვალე ნიმუშია უძველესი სკულპტურული ხელოვნებისა. სრულიად შეუცვლელადაა შენახული სკულპტორის ჩანაფიქრი — გამოხატა ძლიერი ნებისყოფის ადამიანის სახე. ვანსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული სახის, ხელებისა და ფეხების დეტალები. ღამაზად გამოკვეთილი ფრჩხილებიც მხატვრის დიდოსტატობაზე მეტყველებს. გამოსვლისას კედლის მხატვრობასთან მიჯიყვანავს. აქ ნაირ-ნაირი საღებავებით შესრულებული სამი წყვილი ბატია დახატული. ეს ნახატიც რამდენიმე ათასი წლისაა, მაგრამ ისეა შენახული, თითქოს გუშინ დაეხატათო. აქვეა ბიუსნატი იმ არქეოლოგებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ეგვიპტის სიძველეთა აღმოჩენებში. მათ ძალიან დიდი დავწლი მიუძღვთ ეგვიპტელთა კულტურის ისტორიის შესწავლაში და ისინიც არ იფიქვებენ ამ მეცნიერთ.



ამავე დღეს, საღამოს, თვითმფრინავით ხმელთაშუა ზღვა გადავიარეთ და 2 საათსა და 15 წუთის შუადევამასკოში დავეწვიეთ.

სასტუმრო „კატანში“ მოგვათავსეს.

მთელი საღამო მრავალფეროვანი ელნათურებით გაჩაღებული ქალაქის ქუჩების ცქერით ვტკბებოდი.

მეორე დღით დამასკოს ძველი ხუროთმოძღვრების მშენებმა — ომაიადების ცნობილი მეჩეთი დავაოვალიერეთ.

ეს მეჩეთი აღმოსავლური არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლია, აქ მშენებელ საუკუნეზედ ქრისტიანული ეკლესია ყოფილა. შემდეგში იგი მეჩეთად გადაუკეთებიათ. მისი სიგრძე 137 მეტრია, სიგანე—40 მეტრზე მეტი, სიმაღლე—40 მეტრი. მეჩეთის სამლოცველო ფართობზე გაშლილია 850 საშუალო სიდიდის ხალიჩა. მასზე ერთსა და იმავე დღის შეიძლება დაეტოს 5 ათასი მლოცველი. მეჩეთის მშენებლობის სირთულესა და სიძნელეზე ლაპარაკობს ის, რომ მის მოზაიურ გაფორმებას 8 წელი მოანდომეს (მუშაობდა 2 ათასი გამოჩენილი ოსტატი).

მთელ მეჩეთსა და უბანს თავს ვადმოყურებს მაღალი მინარეთი, რომელიც ძვირფასი არაბული ჩუქურთმებითაა დამაშენებული.

დამასკის თვალსაჩინო კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს აგრეთვე აზიის სასახლე, ანუ ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც მოთავსებულია ასად ფაშა აზიის მიერ ორი საუკუნის წინათ აგებულ სასახლეში. მასში

წარმოდგენილია სირიის, როგორც წარსულის, ისე თანამედროვე ცხოვრების ამსახველი შეახინძნავი ძეგლები.

მრავალი რამ არის საინტერესო ამ მუზეუმში, დამასკოს ფოლადის იარაღებით დაწყებული ძვირფას ხალჩიჩებამდე. მაგალითად, ძალზე საინტერესოა სოფელ ხორანის მკვიდრთა დამახასიათებელი ჩეხეები, რომლებსაც ახლაც მისდევენ. მამაკაცები და დედაცაცები თმის ერთნაირ ნაწვევებს ატარებენ. გათხოვილი ქალები ცხვირ-პირს ტატუროვით „ილამაზებენ“. მომავონდა, დილით სისტუმროდან რომ გამოვდიოდი, ერთ ახალგაზრდა ლამაზ ქალს შევხვდი, რომელიც ასეთივე ტატუროვით იყო „გალამაზებული“, როგორც ამ მუზეუმის ფიტული. მაშინ გამიკვირდა, მაგრამ ვერაიის გვითხე, მუზეუმში კი მივიღე მისი პასუხი.

მუზეუმის ხელოვნების განყოფილებაში წარმოდგენილია თოჯინების ერთ-ერთი სახეობა — „კარაკოზა“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს სირიაში. დამასკოს განთქმული ფოლადის ხმლები, რომლებიც წრისებურ მოგრუნასაც კი უძლებს, ხავერდებსა და ფარჩებზე ოქროს ძაფით ნაქარგი საფენები, შუშის ფერადი სურები, რომელთა ფერებისა და მოხატულობის შექმნის საიდუმლოება, როგორც გადმოგვცეს, ჭერჯავიზით დაკარგულია და, ვინ მოსთვლის, კიდევ და. დამასკოში 30 აბანოა. მუზეუმში მოთავსებული მაკეტი სრულ წარმოდგენას გვაძლევს მის მოწყობილობასა და ხასიათზე.

დამასკოს სიამაყეა მისი ნაციონალური მუზეუმი. აქ მოთავსებულია როგორც სირიული, ისე რომაული, ასურეთ-ბაბილონური და ბიზანტიური ძეგლები, სხვადასხვა ეპოქის მუსეტები და სამარხები.


დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე მეთორმეტე საუკუნის გამორჩენილი მხედართმთავრის საღადინის აულდამამ. აულდამა დიდი პატივითაა მოვლული და ერთ-ერთ წმინდა ადგილად ითვლება დამასკოში.

სალამის კინოთეატრში შევედი, ენახეთ ცნობილი კინორეჟისორის აღან დუანის ფილმი „ენებათა შეჯახება“. იგი ძველი ყაიდის კოვბოური ფილმია, გაკეთებული ტრაფარეტული სიუჟეტზე.



9 მაისს, ცხელი უდაბნოს გავლით, ექსპრესი ავტობუსით ალექსანდრიაში ჩავედი. სიყრმიდან რაღაც ზღაპრულ ქალაქად წარმომიდგინა იგი, ზღაპრული ან აღმონიანდა, მაგრამ ერთ-ერთი უფასინისვაგეის ქალაქინასვადგური კი არის. ქალაქი დაარსებულია ალექსანდრე მაკედონელის მიერ 322 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დღემდე ეგვიპტის დიდ სავაჭრო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. საუკუნეების მანძილზე არაერთხელ დარბეულსა და აოხრებულს, მას დღემდე არ დაუკარგავს ზღის ქალაქის შესანიშნავი იერი. ეს ნახევრად ევროპულ ქალაქია. მუღამ მომდიმარია, საქმიანი და სტუმართმოყვარე ხალხით, კობხად მორთული დიდი მაღაზიებით, კერძო და საზოგადოებრივი დაწესებულებებით, მაღალი დამაწი შენობებითა და სუფთა ქუჩებით. განსაკუთრებით შესანიშნავია სანაპირო ქუჩა, რომელიც ზღის ნაპირს ქამარით ერთ არტყია.

ზღვის ნაპირზე გაშენებულია შესანიშნავი ბაღი და სასახლე, რომელიც ეგვიპტის უკანასკნელ მეფეს ეკუთ-



კატაკომბის შესასვლელი

ნოდა. როგორც ეს სასახლე, აგრეთვე მეფის ცოლების სასახლეები, ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ მეფე საკუთარი სიამოვნებისათვის უფრო ზრუნავდა, ვიდრე ხალხის კეთილდღეობისათვის. იმასაც კი ამბობენ, რომ მან საზღვარგარეთ გაეცვივისა ეგვიპტული ხალხის ოფით მიზანბოვარი 75 მილიონი ეგვიპტური გირვანქა გატაცაო.

შესანიშნავად მოწყობილი პლაჟის გასწვრივ ნივდივართ. პლაჟზე მხოლოდ ევროპული კოსტუმით შეიძლება შესვლა, არაბული ეროვნული ტანსაცმით იქ ვერ შედიან, რელიგიური კანონით ეს სასტიკად აკრძალულია. ხელმარჯვებო საპოლონის დროინდელი სიმაგრეები მისჩანს, სადაც ძველი ქვემეხიც შემორჩენილია.

ალექსანდრიაში გასასუფრებით მნიშვნელოვანია რომაული ტაძრის ნანგრევები, რომის იმპერატორის კალიგულას სავეჯარეული სამარხი და კატაკომბები.

რომაული ტაძრის ნანგრევებზე აღმართულია 29 მეტრის სიმაღლის მრგვალი სვეტი, აშენებული 300 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქვეა 30 მეტრის სიღრმის ტა და პატარა სფინქსი ეგვიპტური სხვა სფინქსების მსგავსად გაკეთებული.

„კალიგულას ოჯახს, — გვიამბობს გამყოლი, — აქ, 39 სასაფლაო ჰქონდა. ახლა მხოლოდ გათხრილი მიწა და დარჩენილია. გადმოცემა ამბობს, რომ კალიგულამ აქ დაამარხებინა მის მიერ კონსულად არჩეული სსავთარი ცხენი“.

გაშლილ ეზოში შედივართ. ეზო სავეჯა ქვის სამარხებით. სამარხების ქვეშ მიწაში კატაკომბებია, რომლებიც შემთხვევით იქნა აღმოჩენილი. ადგილობრივი მცხოვრები ტას თხრიდა. როცა მიწის სიღრმეში ორიოდ მეტრი ჩავიდა, იქიდან წყალტალახმა ამოხეთქა. ტალახი ამოწინდეს და მარხველთა თვალწინ სამართულიანი კატაკომბები გამოჩნდა.

ალექსანდრიის კატაკომბები განთქმულია მსოფლიოში. მის კვლევაზე შერჩენილი იეროგლიფური წარწერები მოწმობენ, რომ მათ 4 ათასი წლის ისტორია აქვთ, გაკეთებულია ეგვიპტელთა მიერ, ხოლო შეუდევ გადაკეუბულია ბერძნულ-რომაულ ხანაში. ამას მოწმობს რომაულ სტილზე შეკეთებული სვეტები, აგრეთვე რომაული ბიუს-

ტები, ამავე კატაკომბებში აღმოჩენილია 300 საფლავი.

ნათლად ჩანს ამ კატაკომბების დანიშნულება. იგი საიდუმლო სათაბირო ადგილაც იყო, თავშესაფარაც, წარჩინებულთა სამარხიცა და სხვადასხვა რელიგიური ცერემონიისათვის განკუთვნილი შენობაც. ჯერჯერობით კატაკომბების ზედა და შუა სართულის დათვალიერება შეუძლებელია. სულ ქვედა სართული გავსუფთავებულია. ამბობენ, რამდენჯერაც არ ჩავიდნენ ქვემო სართულის გასაწმენდად, ისევე უკან ამობრუნდნენ, მიწა ცახცახს იწყებდა და ჩანგრევას აპირებდა.

კატაკომბებიდან ალექსანდრიის ბერძნულ-რომაული მუზეუმის დასავლეთით აღმოჩნდა გავეჭურვით. გზადაგზა სურათების გადაღება გადაწყვიტეთ, მაგრამ ბევრ ადგილას ამის ნება არ დაგვართვა. ეგვიპტის ტურისტულ ორგანიზაციებს ამ უკანასკნელ ხანებში დადგენილება მიუღია, რომ უცხოელ ტურისტებს ცერკალებთან ეგვიპტის ტერიტორიაზე გადაიღონ ობიექტები, რომლებიც სახელმწიფოს სიღარიბესა და რაიმე დარგში ჩამორჩენილობას აღსატურებენ.

ალექსანდრიის ბერძნულ-რომაულ მუზეუმში თავმოყრილია ეგვიპტის ტერიტორიაზე ნაპოვნი ბერძნულ-რომაული კულტურის ნაშთები, დაწყებული ქალთა სამკაულებითა და მოსართავებით, დამთავრებული ხელოვნების უნიკალური ნიმუშებითა და მუმიებით. მუზეუმში წარმოდგენილია მასალა, რომელიც ნათესს ფენს ძველი ეგვიპტისა და ბერძნულ-რომაელთა ხალხების ურთიერთობას. მათ ეკონომიურ-კულტურულ დონებს.

საინტერესოა დარბაზები, სადაც მოთავსებულია ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი წარჩინებული მემორებისა და სარდალების მუმიები, რომლებიც ალექსანდრიის რაიონებშია ნაპოვნი. მუმიებს თანდართული აქვთ თავიანთი პორტრეტები ფერადი საღებავებით, შესანიშნავად შენარჩუნებული. როცა სარკოფაგების გაკეთება გაჩენილა, მუმიების გვერდით დგამდნენ ფერადი საღებავებით შესრულებულ მათ პორტრეტებს ცხოვრებაში არსებული სახის წარმოსადგენად. ჩვენ ვნახეთ მუმიები, რომელთაც ფეხები უჩანდათ, მაგრამ ისე კარგად შენახულან, რომ თავისუფლად შეგვიძლიათ ვანსაუფრობო ტურფის სივრცე, სივანე და სიმაღლე. ფრჩხილები ხომ სულ დაფიქსირებულია. რააკურც ადვინდნენ, ეს მუმიები 2000 წლისაა. მართლაც, ვასაკვირველია ცოდნა იმ ოსტატ ექიმებისა, რომლებიც მუმიებს აკეთებდნენ.

განსაკუთრებულ მკვნიერულ ღირებულებას წარმოადგენს ამ მუზეუმში დაცული როზეტის ქვის ასლი. როგორც ცნობილია, შვეი ზაზალტის ფიროფტა ნაპოვნი იქნა ნაპოლეონის ლაშქრობის დროს, და მასზე სამი სხვადასხვაგვარი წარწერა იყო აღბეჭდილი (იეროგლიფური, სალპარაკო ეგვიპტური, ბერძნული). ამ ქვის ღდაინი ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. ასლიც უდავოდ დიდი შენაძენია მუზეუმისათვის, თუმცა უმჯობესია იყო ღდაინი სამშობლოში ყოფილიყო, ხოლო ასლი — ბრიტანეთის მუზეუმში.

აღსანიშნავია ალექსანდრიის პლდრომიოლოგიური მუზეუმი. ამ მუზეუმში ჩვენ ვნახეთ ხმელთაშუა ზღვის ძირითადი დამახასიათებელი თევზების ჯიშები, ციხობები და სხვ. მუზეუმის ზედა სართულში მოთავსებულია ვეშაპის კარგად შენახული ჩონჩხი.

მთელი საღამო ქუჩებში გავატარეთ, ვათვალიერებდით ქალაქის მცხოვრებლებს, ხალხს. განცვიფრებას იწვევს ქალაქის ნაციონალური სიჭრელე — მრავალფეროვნება. ვის არ შეეხვედით ერთ.

შემხვედით იქი მალაზიაში იტალიელ ქალიშვილს შვეხვდით. იგი მშვენიერად ლაპარაკობდა რუსულად. მისგან გავიგეთ, რომ ალექსანდრიის ბევრი ლაპარაკობს რუსულს.

ვნახეთ კინოფილმი.

მეორე დღითი, ისევე უღანოს გაღატორთ ქაიროსკამოვემურეთ.



ამავე დღეს, ქაიროში ჩასვლის შემდეგ, საღამოს 8 საათზე ლუქსორისაკენ გავემგზავრეთ. პატარა, მაგრამ სუფთა და მოვლილ ვაკონებში ჩავსხვდით. მთელი დამევიმგზავრეთ. ცხელად. ფანჯრები დავადეთ. საშინელი მტვერი შემოვიდა, ისევე დახურეთ და ვენტილიატორი ჩაერთეთ. პაერი გაიქმინდა. ცოტა აკრიდა.

მატარებელი ნილოსის არსს მიყვება. ფანჯრის იქით მკრთალად მოსჩანს ნათესი ველები, პალმებში ჩაფლული სოფლები და შუქით განათებული პატარა სადგურები.

დილით ლუქსორში ჩავდიით და ამავე სახელწოდების კარგად მოწყობილ სასტუმროში დავბინდით. საუზმის შემდეგ კარნავო გავემგზავრეთ, სადაც უძველესი ტაძრების ნანგრევებია.

კარნავის ტაძრებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფარაონები აშენებდნენ, მაგრამ ყველა ისინი ერთი მთლიანი არქიტექტურული ანსამბლის შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ტაძრის შესასვლელთან ტანქსების მთელი წყება ჩამწყვირებული. სფინქსებს ხანა ლომის აქეთ, თავი კი — სხვადასხვა ფრინველის. თითოეული გარკვეულ ღმერთს გამიხატავს.

ღმერთ ამონ-რას ტაძარში შევიღვართ. აქ 134 სვეტი დგას, თითოეული დაახლოებით 23 მეტრი სიმაღლისაა. ყოველ მათგანს მისი სიმაღლისა და სიძიმის შესაფერი პიტლო ქვისაგან გამოთლილი საფუძველი აქვს. კაპიტელი ლოტოსის ყვავილის მსგავსადაა გაშლილი. ამბობენ, ამ ყვავილზე 100 კაცი დაეტევია. სვეტები ერთიმეორესთან სქელი ქვის სახურავებით არის შეერთებული. ჩვენს მკითხველებს ემასოვრებთ ფილმი „ბრძოლა ველზე“, ცნობილი მხანობის ფაუნა მანამას მონაწილეობით, მთელი რივი სცენებისა ფილმში ამ სვეტებიან დარბაზშია გადაღებული.

სვეტებიან დარბაზს იქით ტაძრის მალაი კენელია. კედელი დაფარულია იეროგლიფური წარწერებითა და შესანიშნავი მხატვრობით ფარაონების ცხოვრებით.

რომ უფრო დავენახა ტაძრის სიდიადე, საცალფეხო ბილიკით 135 საფეხურიანი კიბე ავიარეთ და ზემოდან გადავხედეთ. აღტაცებაში მოვყვართ ტაძრის მშენებელთა მხატვრულ გემოვნებას, მაღალ ნიჭსა და ოსტატობას. ამაზე უკეთეს ადგილს ამ ტაძრის ასაშენებლად ვერსად ვერ შეარჩევდა ადამიანი, აქ ყველაფერი გათვალისწინებულია ტაძრის გრანდიოზულობის საჩვენებლად, მისი უზალო სილამაზის წარმოსადგენად.



აქედან ცოტა მოშორებით ბიჭო ტაძარიანა. მის ნანგრევთა შორის განსაკუთრებით აღტაცებში მოგვიყვანა ხაჩვსუტ დედოფლის ბრძანებით 3500 წლის წინათ დაღწეულმა სუფთა გრანიტის ობელისკმა, რომლის სიმაღლე 25 მეტრს აღემატება. იგი აღმართულ იქნა დედოფლის ბრძანებით ეგვიპტელთა მიერ სომალში სავაპირო ექსპედიციის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით. ამ ექსპედიციის ამსახველი სურათები წარმოდგენილია ხაჩვსუტ დედოფლის მიერ ნილოსის გაღმა ავებულ ამონის ტაძრის კედლებზე.

ობელისკის იქით, რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე, მრავალფეროვანი საღებავებით მოხატული ტაძრის ერთ-ერთი ეგვიპტური, არ დაფიქრებია წმინდა ჯიორგისა და ქრისტეს ეფრადი სურათები, რაც იმას ამტკიცებს, რომ ტაძრის ეს ნაწილი ოდესღაც ქრისტიანული ეკლესიისათვის ყოფილა გამოყენებული.

აქედან ხელმარჯვნივ, ნანგრევთა იქით, პატარა ტრიად აღვილას თლილი ოთხკუთხოვანი დრანგის ქვა ვლიანა. — ამ ქვას მომდერალ ქვას ეძახიანო, — გვითხრა გამყოლიმა. გავვიყვირა, არ დაფიქრებთ ქვის სიმღერა, მაშინ ხელმძღვანელმა ქვის ნატები აიღო და გრანიტის კუთხეს შემოკრა, ქვის შიგნით საღებავ შორს წელა დარჩა წმინდა, ნარნარი, მეტად სასაშური ხმა. იგი თანდათან გაძლიერდა, გრანიტის მთელი სიღრმე გაიარა და ნელ-ნელა მიწყდა გრანიტის გარეთ.

მომდერალ ქვას რომ გავცდით, მოშორდილი ტბის ბირას აღმოვიჩინეთ. ამ ტბას წმინდა ტბას ეძახიან. იგი ახლაც სასევა წყლით, მაგრამ ამ წყლის შემოსავალი და გასავალი გზა დღემდე ცნობილი არ არის. ამობუნ ეს ტბა ამ ტაძრის ხსენასში.

ტაძრებს ათი შესასვლელი ჰქონდა. ახლა რამდენიმეა დარჩენილი, მათ შორის, შესასვლელი ტბის მახლობლად.

ძალზე ჩამოცხა. ბინაზე დავბრუნდით. სასტუმროში მოძრაობაც კი შეწყვეტილია. სტუმრები თავიანთ ოთახებში ისვენებენ. თანამშრომლების უმრავლესობა პალმებისა და მაკენილიის ჩრდილში წამოვიყვანა. ჩვენი გუგუსის რამდენიმე მონაწილე კი ნილოსზე წავედით საბანაოდ. გავიარეთ სანაპიროს ქუჩა — ყველაზე კეთილმოწყობილი და ღამაში ქუჩა. აქ სრული წესრიგი და სისუფთავეა. სხვა ქუჩებზე ამახ ვერ იტყვი. სხვაგან ოფლში ეგვიპტე ნავიანი, უსუფთაო ქუჩები, მტკვრისა და ჭუჭუმი ამოსვრილი ბავშვები. შავებში ჩაცმული ქალები, გამპარნი ვაჭაღატყავეული მუშები, ფლახები და მეწვიროლმანები.

სანაპიროს ქუჩის მარცხნივ შევუხვით, კიბე ჩავიბრინეთ და ნილოსის ნაპირს მივადექით. ორმა სასწრაფოდ ტანთ გაიხადა და ნილოსში შეტურდნენ. მე ბანაობა ვერ ვაძებდე. მხოლოდ შიშველი ფეხებით ჩავდექი წყალში. ერთი შეხედვით, ნილოსი დამდგარი, მძიორედ მიმაგალი მინიარა, არსებითად კი იგი ძალზე ჩქარია. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან სუფთა იყოს.

ბევრი რამ გამიგონია ნილოსის ნიანგებზე. მივირდა რატომ არსად ჩანან ისინი, აღმოჩნდა, რომ ახლა ნილოსში ნიანგების ჰუკანებაც კი არ არის. სულ გაუწყვეტიათ. ამ-ნიანგ ნილოსის სათავეში თუ შეხვდებოთ ადამიანი ნიანგს. ასე რომ, ნიანგის ქვეყანაში ერთი პატარა ნიანგი ვნახე და ისიც ზოონარკში.

ავკრიფით სანაგდე ლუქსორის ტაძართა ნანგრევების დასათვალისწინებლად წავედით. ეს ნანგრევები აქვეა, ნილოსის ნაპირს. იგი მრავალი საუკუნის განმავლობაში დეფარატი ყოფილა ნილოსის შლამითა და სილით. ტაძრის რევიტი სახელი მდგარა. ერთ დღეს სახელი ჩაეცვლელა. როცა მიწა გაუფხრიათ, აღმოჩნდა მთელი წყება ტაძრის ნანგრევებისა. დმერთ ამონის ლუქსორის ტაძარი თავისი სიდიდითა და არქიტექტურული სტილით მთორეა კარნაკის ტაძართან შედარებით. იგი უჩველესი სურათითმძღვრების უნიკალური ძეგლია მსოფლიოში.

კარნაკისა და ლუქსორის ტაძრებს შორის მიმოსვლა ნილოსით და სფინქსების გზით ხდებოდა. ამ ხაზზე ამა-მად ოღუცა ნელი ტემპით. მაინც სწარმოებს გათხრები სხვა ტაძრებისა და უძველეს სასახტო ქალაქ ფიას ნანგრევთა აღმოსაჩენად. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ ლუქსორიდან კარნაკამდე მიწის ქვეშ მრავალი სიძველენია ჩამარხებული.

მრავალ მოწუმენტს შორის ყურადღებას იპყრობს რამ-ზეს მეორისა და მისი მეუღლის მოწუმენტები. ისინი ერთად სულდან ტახტზე. ცოლი ქმრის მარცხენ ზის, მარჯვენა ხელი ქმრის მხრისათვის მოუხვევია და ბედნიერი ღიმილით იქით იცქირება, საითაც სახელგანთ ფარაონს თავისი ძლიერი ნებისყოფის გამოიმტკვლია მარჯა მიუმართავს. მეტად ღრმა ამ მოწუმენტის იდეური გააზრება.

ან ნანგრევთა შორის მრავალად საინტერესო, მაგრამ მათი აღწერა შორს წავეყვანდა.

12 მაისს, დილის აფრან ნავში „ბერნარდში“ ჩავეყვით და ნილოსს გადავცურეთ. ვავიარეთ კლდეებისა და გამოშრობილი მიწის სიგით გახურებულ ხეობა და ფარაონთა სასაფლაოებს მივადექით. ამ მიმართ ფარაონთა ველს უწოდებენ. აგრეთვე სიკვდილის ველსაც ვუწოდებთო, — გადმოგვცა გამყოლიმა.

